პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58, ღამის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისთვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

ოთხშაბა, 30 ივნისი 1926 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 147 (1602)

დღიური

- გერმანიიდან საბჭოთა კავშირში მოდის მუშათა ახალი დელეგაცია.
- დასრულდა საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა; არჩეულია ახალი პოლიტბიურო.
- დღეს ბრიანი დეკლარაციას წაიკითხავს [illegible].
- დიდი მიწისძვრა იტალიაში.
- მაროკოში რიფების ზოგიერთი ტომები [illegible] ლას ფრანგების წინააღმდეგ.
- პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში მოხდა განხეთქილება.
- საბჭოთა კავშირის ცხოვრების გასაცნობად, ამერიკიდან ჩვენში მოემგზავრება შეერთებულ შტატების საზოგადო მოღვაწეთა ერთი ჯგუფი.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
ივლისისათვის

პარტიის ხაზის გამრუდების წინააღმდეგ

ღარ. გლეხთა შორის მუშაობა

ჩვენი ადგილობრივი პარტორგანიზაციების ყურადღებას ვაქცევთ საკავშირო კომპარტიის ცეკას დებულებაზე ღარიბ გლეხობას შორის მუშაობის შესახებ (იბეჭდება გაზეთის დღევანდელ №-ში). ღარიბი გლეხობა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენი სოციალური ბაზა სოფელში, იმთავითვე შეადგენდა პარტიის და ხელისუფლების მზრუნველობის საგანს. მისი დახმარების და ორგანიზაციის ფორმები სოფლად აღმოცენებულ პოლიტიკურ და სამეურნეო პროცესებთან შედარებით, კონკრეტულად იქნა ჩამოყალიბებული ცეკას ოქტომბრის პლენუმზე; უკანასკნელის დადგენილებებმა ამ საკითხზე ჰპოვეს დადასტურება მე-XII-ე ყრილობაზე.

ღარიბ გლეხთა მუშაობის დარგში უმაღლეს პარტიულ ორგანოთა დირექტივების გატარების მხრივ საერთოდ თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს, რაც გამოიხატება ღარიბ გლეხთა შეკავშირებასა და მათ პოლიტიკურ და სამეურნეო თვითმოქმედების განვითარებაში, სოფლად მათი საზოგადოებრივი ძალის გაზრდაში, საშუალო გლეხობასთან დაახლოვებაში და სხვ. მაგრამ ამავე დროს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადგილობრივ მრავალი ნაკლულევანებაა, სათანადო პარტდადგენილებათა არასწორად გაგებას და მათ გატარებას ნამდვილში.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ალაგ-ალაგ თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის საკითხს. ღარიბ გლეხობაში სპეციალური მუშაობის მნიშვნელობა, მისი შეკავშირების როლი ადგილებზე არა ყველგანაა შესაფერისად შეფასებული. სხვათა შორის ა.-კ. უკანასკნელ პარტთათბირზე ხაზი გაუსვეს ამ გარემოებას. ამას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო და ღარიბ გლეხობას შორის მუშაობა უნდა შეიქნეს სოფლად მთელი მუშაობის ერთ უმთავრეს და ამასთან მუდმივ ელემენტად.

ჩვენ ვამბობთ — მასიური მუშაობის ელემენტად. [illegible] და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. საქმე ის არის, რომ აქა-იქ შემჩნეულია ერთი მეტად მავნე გადახრა ღარიბ გლეხობის მუშაობის დარგში, სახელდობრ ამ მუშაობის წარმოება სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან განცალკევებულად, მათთვის გვერდის ავლით. ამაში სერიოზული საფრთხე იმალება, საფრთხე ღარიბ გლეხობის მოწყვეტისა საშუალო გლეხობისაგან და მისთვის დაპირდაპირებისა.

პარტიის ხაზი კი იმაში მდგომარეობს, რომ ღარიბ გლეხობის აქტივობა წარიმართოს სოფლის ორგანიზაციების გზით (როგორიცაა: საბჭო, კოოპერატივი, გლეხკომი და სხვ.), რომ აქ მან მოიპოვოს სათანადო გავლენა, შესძლოს მათი საშუალებით თავისი ინტერესების დაცვა და ამ მუშაობის დროს მჭიდროთ დაახლოვდეს საშუალო გლეხობას და შექმნას მასთან მთლიანი ფრონტი კულაკების წინააღმდეგ.

რომ ეს მოსახერხებელი გახდეს, საჭიროა ღარიბ გლეხობის დარაზმვა და მისი საზოგადოებრივი შეგნების და აქტივობის გაზრდა. ამისათვის საუკეთესო ფორმად, რომელიც ცხოვრებამ გაამართლა, უნდა ჩაითვალოს პირველ ყოვლისა ღარიბ გლეხთა საერთო კრებები. ეს კრებები უნდა ეწყობოდეს, რაც შეიძლება ხშირად და სისტემატიურად. კრებების მოწვევა უნდა ხდებოდეს არა ადმინისტრატიული წესით, რა თქმა უნდა, არამედ პარტორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობით და ღარიბთა აქტივის მეშვეობით. ღარიბთა კრებებს არ უნდა ჰქონდეს კარჩაკეტილი ხასიათი. მათზე თავისუფალი დასწრების და მათში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა მიეცეს საშუალო გლეხობას, კერძოდ მისი იმ ელემენტებს, რომელნიც სოციალურად დამგვანებით ღარიბ გლეხობასთან უფრო ახლოს დგანან.

ღარიბთა კრებებზე უნდა ისმებოდეს ნაირგვარი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული საკითხები, უმთავრესად ისეთები, რომელსაც უახლოესი დამოკიდებულება აქვს ღარიბ გლეხობასთან, იქნება ეს სხვა და სხვა სახის კოოპერაციის, გლეხთა ურთიერთ დახმარების, მიწადმოწყობის, აგროდახმარების, საგადასახადო თუ სხვა საკითხები. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრებებზე გადაწყვეტილებათა გამოტანის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საშუალო გლეხობის ინტერესებიც, აგრეთვე სხვა და სხვა ორგანიზაციებისათვის კანდიდატების დასახელების დროს უნდა იქნეს წამოყენებული საშუალო გლეხობის წარმომადგენლებიც. საერთოდ ფართე განმარტებითი კამპანია უნდა იქნეს ჩატარებული ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის და როლის შესახებ, რომლიდან ნათელი უნდა გახდეს საშუალო გლეხობისათვის, რომ ეს ორგანიზაცია უკანასკნელის ინტერესებს სრულებით არ ეწინააღმდეგება, არამედ მას მიზნად აქვს დასახული გლეხობის ამ ორივე ფენის ინტერესთა დაცვის და შეთანხმების ნიადაგზე მათი ერთიანი ფრონტის შექმნა კულაკების გასარიყავად.

ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შემდეგი ფორმა მათი ჯგუფების შექმნა სასოფლო ორგანიზაციებთან. აქაც საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა. ეს ჯგუფები არ შეიძლება დაუპირდაპირდნენ საშუალო გლეხობის წარმომადგენლებს. მათი მიზანია სასოფლო ორგანიზაციების მუშაობის წარმართვა ღარიბ და საშუალო გლეხთა სასარგებლოდ.

ცხადია, რომ არც ღარიბ გლეხთა საერთო კრებები, არც მათი ჯგუფები არ სწევენ სოფლის ორგანოების მაგიერობას. მათ მხოლოდ ევალებათ ღარიბ გლეხთა წინასწარი მომზადება და დარაზმვა, რათა ისინი შეთანხმებულად გამოდიოდენ ამ ორგანოების მოღვაწეობაზე სათანადო გავლენის მოსახდენათ.

შემდეგი საკითხია, თუ როგორ უნდა მოეწყოს ღარიბ გლეხობის დახმარება, რა მიზნებს უნდა ისახავდეს ის. აქ გადაჭრით უნდა იქნეს აღმოფხვრილი ე. წ. [illegible] უზრუნველყოფის ფსიქოლოგია, [illegible] მოკიდებული ღარიბ გლეხობას შორის. ღარიბ გლეხობას სახელმწიფო მრავალ ნივთიერ დახმარებას და შეღავათს აძლევს. ყველაფერი ეს მან სრულად და თავის დროზე უნდა მიიღოს, რა თქმა უნდა. მაგრამ ეს შეღავათები თუ დახმარება უნდა იქნეს გამოყენებული საწარმოო მიზნით, ღარიბ გლეხთა მეურნეობის ფეხზე წამოსაყენებლად. საქმე ისე არ უნდა იქნეს დაყენებული, რომ ღარიბ გლეხმა რაიმე შეღავათი და დახმარება მიიღო, და ეს მოიხმარა მიმდინარე პირადი საჭიროებისათვის და შემდეგ დარჩა გულხელდაკრეფილი ახალი დახმარების მოლოდინში. საჭიროა ღარიბ გლეხების გაერთიანება სხვადასხვა ამხანაგობებში (მიწის საჭირო დამუშავება, სამანქანო ამხანაგობა, არტელები, კოლექტივები, კომუნები) და მისი სამეურნეო თვითმოქმედების განვითარება. ღარიბი გლეხობა კოლექტიურად უნდა შეკავშირდეს და დადგეს საკუთარ ფეხზე. სახელმწიფოს დახმარება აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი პარტორგანიზაციები სავსებით შეიგნებენ უმაღლეს პარტორგანოების დირექტივებს და ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის საქმეს გაუწევენ უშუალო ხელმძღვანელობას. ღარიბ გლეხობას შორის მუშაობაში, ცხადია, აქტიურად უნდა ჩაებან სოფლის შეკავშირებული ძალები—პროფკავშირი, კომკავშირი, გლეხკომი და სხ. მაგრამ სხვა ორგანიზაციებზე ამ მხრივ ხელმძღვანელი როლის დაკისრება, როგორც ეს აქა-იქ შემჩნეულია, დაუშვებელია; ამით პარტიის ხაზი გაბათილდება, და ამის მაგალითები კიდევაც მოგვეპოვება.

საჭიროა ყველა ამ საკითხებს ერთხელ კიდევ მიაქციონ ყურადღება ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა და გააძლიერონ ამ მხრივ მუშაობა ცეკას დადგენილების ურყევლად გატარების საფუძველზე.

◆

სამუშაო ხელფასი და შრომის ნაყოფიერება

(„პრავდა"-ს მოწინავე)

მოსკოვი, 29 ივნისი. „პრავდა" მოწინავეში „სამუშაო ხელფასი და შრომის ნაყოფიერება", შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების გამო, ნახევარი წლის კონიუნქტურის შესახებ, რომელშიაც შრომის სახ. კომისარიატსა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ევალება, რომ დაამუშაონ და შრომისა და თავდაცვის საბჭოში შეიტანონ სამუშაო დროის გაცდენის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტიული ზომები, შემდეგს სწერს:

„იმის გამო, რომ შრომის ნაყოფიერება უფრო ნაკლების ტემპით იზრდება, ვიდრე სამუშაო ხელფასი, ხარჯები სამუშაო ხელფასის ხაზით, დამზადებული პროდუქციის ერთეულზე იზრდება და მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში უფრო მაღალ დონეზე სდგას, ვიდრე წარსულის წლის პირველ ნახევარში იდგა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე კვარტალში ამ მხრივ ზოგიერთი გაუმჯობესებები გვაქვს.

წარმოების ნაყოფიერების დაბალი დონე უმთავრესად აიხსნება შრომის დისციპლინის დაცემით, განსაკუთრებით, ნაკლები კვალიფიკაციის მქონე ახალ მუშებს შორის, რომელთა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში 438 ათასამდე ავიდა, სათბობისა და ნედლეულის მიწოდების შეჩერებით და იმით, რომ სამეურნეო ორგანოებმა საკმაო ყურადღება ვერ მიაქციეს ახალი სამუშაო ძალის წარმოებაში ჩაბმის საკითხებს, და აგრეთვე ამ ძალის რაციონალურად გამოყენების ამოცანას.

მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დღე ჩვენში შემცირებულია 22%-ით ომის წინა ხანასთან შედარებით, სამუშაო წლის გამოყენებაც ნაკლები გვაქვს, ვიდრე ომამდე, 1922 წლამდე იყო, სამუშაო დროის გაცდენის პროცენტი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უფრო მეტია, ვიდრე შარშან იყო.

მთელ რიგ ზომების გატარებამ შრომის ნაყოფიერების ასაწევად, მეორე კვარტალის განმავლობაში შექმნა ერთგვარი გარდატეხა და ამ მხრივ მოგვცა მუშის ნაწარმოების ზრდა 5,5%-ით პირველ კვარტალთან შედარებით. აუცილებელია ამ ბრძოლის გაძლიერება მრეწველობის განვითარების საჭირო ტემპის უზრუნველყოფისა და ეხლანდელ ფინანსიურ სიძნელეთა ლიკვიდაციის მიზნით. შრომის ნაყოფიერების აწევა ისევ რჩება ერთ-ერთ პირველ ხარისხოვან ამოცანად.

პარტია უეჭველია გადასჭრის ამ ამოცანას და ამით მიაღწევს მუშათა კლასის ნივთიერ მდგომარეობის რეალურ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა

სახალხო კომისართა და შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 29 ივნისი. სახალხო კომისართა საბჭომ და შრომის და თავდაცვის საბჭომ გამოიტანეს შემდეგი დადგენილება საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის საკითხის შესახებ.

1925—26 სამეურნეო წლის პირველი ნახევრის სამეურნეო კონიუნქტურისა და იმ წინასწარ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც შეეხება აპრილისა და მაისის სამეურნეო პირობებს, სახალხო კომისართა საბჭო და შრომის და თავდაცვის საბჭო აღნიშნავენ: **მრეწველობის დარგში მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარს ახასიათებს სამრეწველო წარმოების საგრძნობი ზრდა.**

მთელი სახელმწიფო მრეწველობის საერთო სამრეწველო გეგმა 1925—26 წლისათვის, დამტკიცებული შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ, შესრულებულია 50 პროცენტით, აქედან მძიმე მრეწველობის დარგებში გეგმა შესრულებულია 44,6 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის დარგებში კი—55 პროცენტით. ამ ცნობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ დამტკიცებულ სამრეწველო გეგმის შესასრულებლად საჭირო არ იქნება საფეიქრო და ტყავეული ნედლეულის დამატებითი იმპორტი, დამტკიცებული ზედმეტი საექსპორტო-საიმპორტო გეგმა.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების პროცესი გრძელდებოდა შენელებული ტემპით და არ ეთანხმებოდა გეგმაში გათვალისწინებულ ვარაუდს. გასული ნახევარი წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება იზრდებოდა, მაგრამ ნელი ტემპით.

საზღვარგარეთიდან მოწყობილობის მიღების შეფერხებამ შეუძლებელი გახადა კაპიტალურ სამუშაოების გეგმის შესრულება მრეწველობის იმ დარგებში, რომელთა მშენებლობა დიდათ დამოკიდებული იყო იმპორტისაგან.

მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობის გაუარესებამ, რომელიც საგრძნობი იყო წლის მეორე ნახევრის დასაწყისში, გამოიწვია დაბრკოლება როგორც საწარმოო, ისე კაპიტალურ სამუშაოების გეგმის შესრულების საქმეში.

სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობის მდგომარეობას მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ახასიათებს ტვირთზიდვის ძლიერი ზრდა, რაც შარშანდელს 45 პროცენტით აღემატება. ნახევარი წლის ბოლოს ტრანსპორტმა განიცადა ფინანსიური სიძნელენი, რომელნიც ნაწილობრივ აღმოფხვრილია შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებით და რომელნიც ნაწილობრივ კიდევ საჭიროებენ დამატებითი ზომებს.

სასოფლო მეურნეობის დარგში გასულ ნახევარ წელს ახასიათებს საქონლის პროდუქციის საგრძნობლად გადიდება, როგორც ხარისხით, ისე ღირებულების მხრივ; ამავე დროს შემცირებულ იქნა გადასახადის სიმძიმე, რამაც გამოიწვია ერთგვარი დამატებითი დაგროვება საგლეხო მეურნეობაში და სყიდვითი უნარისა და მოთხოვნილების ზრდა.

აღნიშნულ ნახევარი წლის განმავლობაში ვაჭრობას ახასიათებს საქონლის უაღრესად დიდი ნაკლებობა და სყიდვითი უნარის მქონე მოთხოვნილების საგრძნობლად გადიდება მიწოდებასთან შედარებით.

საბითუმო-საცალო მაკრატელი ნახევარი წლის განმავლობაში გაიშალა იმ საქონლის ბაზარზე, რომლის ნაკლებობა საგრძნობია. აღებ-მიცემობის მოსაწესრიგებლად მიღებულ წინასწარ ღონისძიებათა შეწყობით შესაძლებელი გახდა საბაზრო კონიუნქტურის ერთგვარი გაუმჯობესება. თითქმის ყოველგან მცირდება პურის ფასები. სამრეწველო საქონლის საბითუმო და საცალო ინდექსებსაც ამ უკანასკნელ დროს შემცირების ტენდენცია ემჩნევა.

1925—26 წლის პირველ ნახევარში საგარეო ვაჭრობაში სალდო უარყოფითი დარჩა.

ბიუჯეტის შესრულების პროგრესში გამოირკვა, რომ შემოსავალი პურისა და შაქრის ბაზრის აქციზებიდან საგრძნობლად ნაკლებია, ვინემ ეს გათვალისწინებული იყო ბიუჯეტის დამტკიცების დროს. ამას გარდა, ხაზინის შემოსავალში დაგვიანებით შემოდის მოგება მრეწველობიდან. ყველა ამ გარემოებათა გამო საჭირო ხდება სპეციალურ ღონისძიებათა მიღება, რომ შესრულებული იქნეს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, რითაც რეალურად განხორციელებული იქნება ბიუჯეტში გათვალისწინებული სახელმწიფო რეზერვი.

გამოშვებული ფულის მასა ნახევარი წლის განმავლობაში გაიზარდა 61 მილ. მანეთით, მაგრამ საგრძნობლად გაიზარდა იმ საქონლის მასაც, რომელიც აღებ-მიცემობაში იმყოფება. მიუხედავად საქონლის მასის გადიდებისა, ფულის ტრიალის დარგში ფორმალური შეფარდება ვერ იყო მიღებული საქონლის და ფულის მასას შორის, რაც აიხსნება ზედმეტი ემისიით წინანდელი წლის უკანასკნელ მეოთხედში და მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში.

საქონლის ფასების ინდექსები ნახევარი წლის განმავლობაში გაიზარდენ; საცალო ფასების ინდექსებმა წინ გაუსწრეს საბითუმო ინდექსების ზრდას. აპრილის ბოლოდან დაწყებული სასოფლო-სამეურნეო ინდექსს, ხოლო მაისში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ინდექსებს ემჩნევათ დაკლების ტენდენცია.

იღებს რა მხედველობაში ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის ასეთ შეფასებას, სახალხო კომისართა საბჭო და შრომის და თავდაცვის საბჭო ადგენენ:

მრეწველობის ფინანსიური გეგმა სამეურნეო წლის ბოლომდე უნდა ემყარებოდეს შემდეგ დირექტივებს: **უზრუნველყოფილი იქნეს მრეწველობის ყველა დარგების შეუჩერებელი მუშაობა და სამუშაო ხელფასის თავის დროზე გასტუმრება.**

მრეწველობამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს განსაზღვრული თანხების გაღება კაპიტალურ სამუშაოებისათვის. მიმდინარე სამეურნეო წლის დარჩენილი თვეების განმავლობაში სავალდებულო დირექტივად ცნობილ იქნეს შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ. დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ შრომის და თავდაცვის საბჭოში პროექტი ღონისძიებათა, რომელნიც გატარებული უნდა იქნენ საცალო ფასების დასაკლებად; წინადადება მიეცეს საცალო ფასების დამკლებ ცენტრალურ საუწყებათაშორისო კომისიას გააძლიეროს თავისი მუშაობა და ერთი კვირის განმავლობაში გააცნოს შრომის და თავდაცვის საბჭოს იმ ღონისძიებების სისტემა, რომელნიც მიმართული უნდა იქნენ ამ უმთავრეს სამეურნეო ამოცანის გადაჭრისაკენ.

წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ღონისძიებები საეტიკეტო ფასების გამოყენების პრაქტიკის საფართოებლად და საცალო პრეისკურანტების შემოსაღებად მთელ რიგ ახალ საქონელზე, შეიმუშაოს აგრეთვე ღონისძიებანი საეტიკეტო ფასების დარღვევასთან საბრძოლველად.

ბიუჯეტის, კრედიტის და ფულის ტრიალის დარგში დადგენილ იქნა: წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და სახელმწიფო ორგანოებს მათი ხელმძღვანელების პირველი პასუხისმგებლობის ქვეშ უყოყმანოდ და თავის დროზე შეასრულონ ყველა ვალდებულებანი იმ მხრივ, რომ **ხაზინაში შემოიტანონ ის თანხები, რომელიც მათზე ირიცხება ბიუჯეტის თანახმად.**

წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს გადამწყვეტი ზომები მიიღოს სახელმწიფო შემოსავლის ნარჩენთა ასაკრეფად, საჭირო შემთხვევაში ადმინისტრატიულ და სასამართლო პასუხისგებაში მისცეს სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებათა ხელმძღვანელებიც, რომელთაც ბრალი მიუძღვის წარმოების ნარჩენების დაგროვებაში.

წინადადება მიეცეთ საბჭოთა კავშირის შრომის და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს დააწესონ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის გასტუმრების ვადა იმ ანგარიშით, რომ ხელფასის გასტუმრება ხდებოდეს ნამუშევარ დროის მიხედვით.

დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს სისწორით შეასრულოს საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილება, **რომ ბიუჯეტის გასავლის ნაწილის შესრულება ხდებოდეს მხოლოდ ფაქტიური შემოსავლის მიღების მიხედვით;** მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თავისუფალი რეზერვის შექმნის აუცილებლობა.

ფულის ტრიალის დარგში პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ჩერვონეცის—სყიდვითი ძალის დაცვას და გადიდებას ქვეყნის შიგნით და აგრეთვე ჩერვონეცი ოქროს პარიტეტის უეჭველ დაცვას.

საბჭ. პროფკავშირების მიმართვა ინგლისის პროფკავშირებისადმი

ჩერჩილ-ბირკენხედის გამოსვლებს არ [illegible]

ბირკენხედ-ჩერჩილ-ჩემბერლენს შორის უთანხმოებას აქვს ადგილი

— დღეს თემთა პალატაში გაირჩევა 8 საათის სამუშაო დღის საკითხი

მუშური სოლიდარობა

მოსკოვი, 29 ივნისი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭომ შემდეგი დეპეშით მიმართა ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს:

„გენერალურ საბჭოს გარდაწყვეტილების გამო, რომ კვლავ ღისივს სამთამადნო მუშებისადმი დახმარების საკითხი, საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭ. წინადადებას იძლევა, რაც შეიძლება დაჩქარებით იქმნას მოწვეული ინგლის - საბჭოთა კომიტეტი სამთამადნო მუშების დასახმარებლად. ეს განსაკუთრებით აუცილებელია ბრძოლის გამწვავებისა და ბურჟუების მთელი ძალების კონცენტრაციის გამო. ს. ს. რ. კ-ის სამთამადნო მუშების კავშირის წარმომადგენლებს, რომლებიც ბერლინში იმყოფებიან, უკვე ეცნობა, რომ ინგლისის სამთამადნო მუშების ზოგიერთი ლიდერები უკვე ფიქრობენ, როგორც ს. ს. რ. კ-ის სამთამადნო მუშები, რომ ინგლის-საბჭოთა კომიტეტის მოწვევა სავსებით მიზანშეწონილი და აუცილებელია.

ძმური სალამით საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოსა მდივანი დოგადოვი.

8 საათის სამუშაო დღე

ლონდონი, 29 ივნისი. დღეს, 19 დღის შესვენების შემდეგ ლონდონში იკრიბება სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომი.

აღმასკომი განიხილავს დავის ახალ ფაზას, რომელიც დაიწყო 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კანონპროექტის წარმოდგენის დღიდან; ფიქრობენ, რომ ამ კანონპროექტის მესამეჯერ წაკითხვა თემთა პალატაში დაიწყება ხუთშაბათს.

ამ აქტის მიღებით სამთამადნო მუშების ფედერაცია სანახშირო რაიონებში ისეთ პირობების წინაშე დადგება, რომ მათი კონტროლი შეუძლებელი გახდება.

თვითნებური გამოსვლები

ბერლინი, 28 ივნისი. მსხვილი ინდუსტრიის ორგანო „დოიტშე ალგემეინე ცეიტუნგ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ბირკენხედის და ჩერჩილის ანტი-საბჭოთა გამოსვლებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისის მთავრობის სხვა [illegible] ჩერჩილის გალაშქრება საბჭოთა კავშირისათვის კრედიტის მიცემის წინააღმდეგ და სხვა ამგვარ განცხადებებს მთელი კაბინეტის უფლებების უზურპაციათ სთვლიან, მით უმეტეს, რომ ინგლისის მთავრობამ ამ ცოტა ხნის წინად მიიღო გადაწყვეტილება არ იხმაროს არავითარი „სასტიკი" ზომები საბჭოთა კავშირის მიმართ.



ამასთან დაკავშირებით, შესდგა მინისტრთა კაბინეტის სპეციალური სხდომა, რომელზედაც ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ის გადადგება თუ ბოლო არ მოეღო მთავრობის საგარეო პოლიტიკის კურსის ჩაშლის ცდებს.

აღნიშნავენ, რომ **ბირკენხედი ცდილობს დაიჭიროს გარეშე საქმეთა მინისტრის ადგილი. ჩერჩილს იმედი აქვს, რომ დაიჭერს ბალდუინის ადგილს.**

პრესის გამოძახილი

ლონდონი, 28 ივნისი. ინგლისის გაზეთების უმრავლესობამ უცვლელად დაბეჭდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატის განცხადების ტექსტი ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე.

ძვირათ დაუჯდათ

ბერლინი, 28 ივნისი. **კუკმა განაცხადა, რომ სამთამადნო მუშების გაფიცვა მაღაროების მეპატრონეებს იმდენი დაუჯდათ, რომ ამ თანხით შეიძლებოდა სამუშაო ხელფასის გასტუმრება 32 თვის განმავლობაში.**

ინგლისის მთავრობის ორპირობა

ლონდონი, 28 ივნისი. ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ორგანო „სენდეი უორკერი"-ს დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს, რომ ის დიდ განსხვავებას ვერ ხედავს ჩემბერლენის პოზიციასა და ჩერჩილის და ლოკერ ლემპსონის პოზიციებს შორის, ისე როგორც ვერ ხედავს განხეთქილებას მთავრობაში.

ჩემბერლენი და ბალდუინი—სწერს ის—ისეთივე ფანტასტიური სიძულვილით და შურისძიებით უყურებენ რუსებს, როგორც ჩერჩილი და ბირკენხედი.

კორესპონდენტი აცხადებს, რომ **გარეშე საქმეთა სამინისტრო უცდის მოხერხებულ მომენტს ბრძოლის დასაწყებათ. სამინისტროს სურს, რომ საფრანგეთმა შესწყვიტოს საბჭოთა კავშირთან წარმოებული მოლაპარაკება, რომ გერმანიამ საბოტაჟი გამოუცხადოს სავაჭრო შეთანხმებას, პილსუდსკიმ განამტკიცოს თავისი დიქტატურა ახალი ომის სასარგებლოდ და რომ ოსმალეთზე დაწესებულ იქნეს სასტიკი კონტროლი.**

„თუ ექსპერტები დარწმუნდებიან—სწერს გაზეთი—რომ შესაძლოა საბჭოთა მთავრობის განადგურება ერთხელ და სამუდამოთ, მაშინ ურთიერთობა უყოყმანოდ იქნება შეწყვეტილი.

ბალდუინის, როგორც მშვიდობიანობის დამცველის პოზა, იმდენადვე შეუშლის მას ხელს საბჭოთა რუსეთისთვის ომის გამოცხადებაში, რამდენათაც ედუარდ გრეის პოზამ შეუშალა ხელი უკანასკნელს გერმანიისათვის ომის გამოცხადებაში.

კერზონის მეგობარი

ლონდონი, 28 ივნისი. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა რონალდ მაკნეილმა სხდომაზე განაცხადა:

„ლოიდ-ჯორჯის მთავრობის ერთი უგუნური მოქმედებათაგანი იყო საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადება, რომელმაც საშუალება მისცა ბევრ რუს ინტრიგანებს ინგლისში ჩამოსვლისა და დიპლომატიური პრივილეგიებით სარგებლობისა, რომელსაც ისინი ყოველთვის ბოროტად იყენებდენ ბრიტანეთის იმპერიისათვის ზიანის მოყენების მიზნით".

შემდეგ, მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ 1923 წელში მან ყველაფერი გააკეთა, რაც კი იყო შესაძლო, რომ დაერწმუნებია კერზონი სავაჭრო შეთანხმების დარღვევის საჭიროებაში.

კუკის განცხადება

ლონდონი, 28 ივნისი. მაღაროს მუშების ფედერაციის მდივანმა **კუკმა** მიტინგზე განაცხადა: თუ მთავრობა უკანვე წაიღებს თავის კანონ-პროექტს რვა საათიან სამუშაო დღის შესახებ და ნებას დართავს მაღაროებში მუშაობა განახლდეს იმ პირობებში, რომელიც გაფიცვამდე არსებობდა, მაშინ ის პირობას იძლევა რომ, მაღაროს მუშების ფედერაციის აღმასკომი ხელს შეუწყობს მთავრობას, რომ სამუშაო ხელფასი საზოგადოთ მოწესრიგდება სათანადო აპარატის შექმნით, ყოველგვარ იძულებით არბიტრაჟის გარეშე.

„მემაღაროებს არ უნდა მოვთხოვოთ რაიმე მსხვერპლის გაღება—სთქვა კუკმა—მაშინ, როდესაც ქვანახშირიანი მიწების პატრონები შუამავლები და სხვა პირები გადაჭარბებულ მოგებას ღებულობენ ქვანახშირის მრეწველობიდან".

ბრიანის დეკლარაცია

მთავრობის პოზიცია

პარიზი, 29 ივნისი. დღეს დილით ახალი კაბინეტი წარუდგება პალატას.

მთავრობის დეკლარაცია არ იზიარებს საფინანსო პროექტებს მოკავშირეთა ხელშეკრულებების რატიფიკაციის და ფულის ტრიალის სტაბილიზაციის და ყველა იმ ზომებს, რომელიც წარმოდგენილია ფულის ტრიალის გასაჯანსაღებლად.

მთავრობას განზრახული აქვს ზოგიერთ გადასახადების და უზომო დაბეგვრის გადასინჯვა.

რობინოს გადადგომა

პარიზი, 28 ივნისი. ეხებიან რა საფრანგეთის ბანკის დირექტორის **რობინოს** გადადგომას, მემარცხენე რადიკალ-სოციალისტების გაზეთები აცხადებენ, რომ რობინო მხარს უჭერდა ნაციონალურ ბლოკის მთავრობას, რომელიც ერთი მეორეზე უშვებდა მოკლე ვადიან სესხებს, ხოლო საბოტაჟს უცხადებდა მემარცხენე ბლოკის მთავრობას, რომელსაც მძიმე ტვირთად დააწვა ეს მოკლევადიანი სესხები.

ამ გაზეთების სიტყვით, რობინი არაფერს არ აკეთებდა ფრანკის სტაბილიზაციისათვის, ადგენდა ყალბ ბალანსებს, ყოველმხრივ ზრდიდა დივიდენდს და ამცირებდა ხაზინის მონაწილეობას ბანკის მოგებაში. ამგვარი პოლიტიკის შედეგად მთავრობამ რამოდენიმე ას მილიონ ფრანკით ნაკლები მიიღო.

სოციალისტების შეკითხვები

პარიზი, 28 ივნისი. დეპუტატთა პალატის სოციალისტურმა ფრაქციამ დაადგინა მისცეს ახალ მთავრობას მთელი რიგი შეკითხვებისა: მთავარი შეკითხვები შემდეგში უნდა გამოიხატოს: რას ხმარდება სესხი 100 მილ. დოლარის რაოდენობით, მიღებული მორგანისაგან; როგორია დაწვრილებით ფინანსიური სტაბილიზაციის პროგრამა; როგორია პერსპექტივები ინფლაციის, რომლის წინააღმდეგ სოციალისტებს განზრახული აქვთ ბოლომდე იბრძოლონ ყოველივე ძალ-ღონით; საზღვარ-გარეთიდან სესხის მიღების შესაძლებლობის შესახებ; ამერიკისადმი საფრანგეთის ვალის საკითხის მომწესრიგებელ შეთანხმების შესახებ, რომლის წინააღმდეგ სოციალისტები გაილაშქრებენ, თუ ყოველწლიური გადასახადის შეტანა არ იქნება გამოანგარიშებული იმის მიხედვით, თუ როგორ გადაიხდის გერმანია თავის რეპარაციებს; დაბოლოს, შეკითხვა შეეხება მოხმარების შემცირების პროგრამას.

საბჭოთა კავშირი და ოსმალეთი

პარიზი, 28 ივნისი. „**ტანი**" ათავსებს დიდ კორესპონდენციას, რომელშიაც ინგლის-ოსმალეთის ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით ახასიათებს ოსმალეთის და მთელი შუა და ახლო აღმოსავლეთის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის პოლიტიკისადმი.

ხაზს უსვამს რა ოსმალეთის პრესის აღფრთოვანებას გერმანია - საბჭოთა ხელშეკრულების დადების გამო, წერილის ავტორი აცხადებს, რომ **ახალი ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა თავისი მიზნებით და მისწრაფებებით სავსებით ეთანხმება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას.**

ხაზს უსვამს რა საბჭოთა კავშირის კულტურული პოლიტიკის მნიშვნელობას აღმოსავლეთის ხალხთათვის და ოსმალეთის პარალელურ მისწრაფებებს ქურთისტანში, კორესპონდენტი სწერს:

„შესაძლოა საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის მაგალითს მიჰბაძონ აზიის სხვა ხალხებმაც. ასეთი ნაბიჯი იქნებოდა, მაგალითად, ოსმალეთ-სპარსეთის ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ.

ბრიტანეთის პოლიტიკამ მოსულის საკითხში განამტკიცა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა. ნიშნავს თუ არა ინგლის-ოსმალეთის შეთანხმება მოსულის შესახებ ინგლისის პოლიტიკის ახალი კურსის დასაწყისს აღმოსავლეთში? შესაძლებელია, რომ ის დამაახლოვებელი ხიდი იქნება ინგლისსა და ოსმალეთს შორის. საფრანგეთმა თვალ-ყური უნდა ადევნოს აღმოსავლეთის პოლიტიკის ყველა ხვეულებს და სისწორით უნდა გამოარკვიოს მასში მონაწილე მხარეთა ხვედრითი წონა".

◆

მაროკოში ომი გრძელდება

პარიზი, 28 ივნისი. რიფის ოლქში სამხედრო მოქმედება გრძელდება.

გაზეთები იუწყებიან საფრანგეთის ჯარების შეტაკებების შესახებ რიფებთან. ადგილი აქვს მნიშვნელოვან ოპერაციებსაც მთელი ესკადრილიის და ყუმბარის მფრქვეველთა დივიზიის მონაწილეობით.

პარიზი, 28 ივნისი. ტანჟერიდან მოსულ ცნობების მიხედვით, **მაროკოში აჯანყებულთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება ეხლაც გრძელდება,** აბდულ-კერიმის კაპიტულაციის მიუხედავათ.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

კამათი

პარიზი, 28 ივნისი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა პარიზის რაიონის დელეგატმა კოსტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ **მუშათა მოძრაობის მთლიანობა შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ კომპარტიის დროშის ქვეშ.** ამიტომ პარტიაში არ უნდა იყოს ფრაქციები და ვინც მოქმედებს დეკემბრის ყრილობის რეზოლუციის საფუძველზე, უნდა ემორჩილებოდეს ერთ ცენტრის ხელმძღვანელობას.

კომპარტიის ჩრდილოეთ დეპარტამენტის ორგანიზაციის წარმომადგენელმა გიუ აგერამმა აღნიშნა, რომ **საჭიროა სოციალისტური ბელადების შემდგომი მხილება და მასების განთავისუფლება მათი გავლენისაგან.**

დორიო არ ეთანხმება იმ აზრს, რომ არსებობს ინგლისის და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ბლოკი, რომელიც მზად არის გაერთიანებული ფრონტით გამოვიდეს ამერიკის წინააღმდეგ. დორიოს აზრით არსებობს ინგლის-ამერიკის ბლოკი, რომელიც მიმართულია ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს წინააღმდეგ. **ამერიკის კაპიტალის დიქტატურას ევროპა საბოლოო ლახვარს ჩასცემს მაშინ, როცა განხორციელებულ იქნება სოციალისტური ევროპის შეერთებული შტატები.**

ტრენის აზრით ანტაგონიზმი ევროპასა და ამერიკას შორის უფრო ძლიერია, ვინემ ცალკე სახელმწიფოებს შორის.

სემარმა აღნიშნა, რომ იმპერიალისტები ემზადებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ამასთანავე მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია აგრეთვე ომი თვით იმპერიალისტებს შორის. ეს გარემოება კომპარტიამ მუშაობის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს.

შემდეგ სემარი მიუთითებს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მასების დაპყრობას და აღნიშნავს, რომ საჭიროა დახმარების გაწევა სოციალისტების მემარცხენე ფრთისათვის, რომ მათ შესძლონ მუშაობა მთლიანი ფრონტის სასარგებლოდ.

კომინტერნის წარმომადგენლის სიტყვა

პარიზი, 28 ივნისი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა კომინტერნის წარმომადგენელმა, რომელმაც განაცხადა:

„ინგლისის საყოველთაო გაფიცვის დამარცხების გამო, რომელიც გამოიწვია ინგლისის პროფკავშირების მემარჯვენე ბელადების ღალატმა, ლაპარაკი დაიწყეს ინგლის - რუსეთის კომიტეტის გაუქმების აუცილებლობის შესახებ. ეს შეცდომა იქნებოდა. საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერებულ იქნეს კავშირი ინგლისის მუშებთან.

კაიომ განაცხადა, რომ „საჭიროა წესრიგის დაცვა ქუჩებში". როგორც სჩანს ბურჟუაზია მოელის სოციალურ კონფლიქტებს. საფრანგეთში მოსალოდნელია ან ვალიუტის სტაბილიზაცია, ან ინფლიაცია. პირველიც და მეორეც პროლეტარიატის ხარჯზე მოხდება.

[illegible] ორატორები ამტკიცებენ, რომ პარტიის წევრთა რიცხვის შემცირება არის პარტიის ცუდი ორგანიზაციის შედეგი. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ პარტიის წევრთა რიცხვის შემცირება არის შემცდარი პოლიტიკური ხაზის შედეგი. კომპარტიას აქვს შეცდომები აგრეთვე მთლიანი ფრონტის პრაქტიკაში. ასე მაგალითად, ფაშიზმის წინააღმდეგ გამოსვლაში პარტიამ ინიციატივა გადასცა წვრილ - ბურჟუაზიულ პარტიებს. ეკონომიურ პოლიტიკის სფეროში პარტია სახტად დარჩა გაფიცვების წინაშე, რომელთაც ის არ მოელოდა".

რეზოლუციის მიღება

პარიზი, 28 ივნისი. **საფრანგეთის კომპარტიის ყრილობამ მიიღო რეზოლუციები ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენების გამო.**

რეზოლუციაში ნათქვამია: „აღნიშნავს რა მემარცხენეთა შეცდომებს, ყრილობა სცნობს, რომ პარტიის გავლენა რამოდენიმეთ გაიზარდა. პარტია იბრძოლებს მემარჯვენე გადახრის და ცენტრის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. პარტიამ უნდა მოიპოვოს მასების ნდობა, უნდა შეინარჩუნოს საწარმოო უჯრედები, იდეოლოგიურად ასწიოს თავისი წევრები, ითანამშრომლოს შრომის უნიტარულ კონფედერაციასთან მასიური პროფმოძრაობის შექმნის საქმეში, ხელში აიღოს მუშების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებების განხორციელება და იმუშაოს პროფმოძრაობის მთლიანობის განსახორციელებლად, როგორც ნაციონალურ, ისე ინტერნაციონალურ მასშტაბით".

პოლიტბიუროს შემადგენლობა

პარიზი, 28 ივნისი. პოლიტბიუროში არჩეული არიან: **სემარი, კრემიე, კაშენი, ტორესი, დორიო, ბერნასი, მარრანი, მონმუსსო, მიდოლი, რენუანი, ლიუ ობლიე, დიუდილიე და რაკამონი.**

◆

[illegible]

მენშევიკები—საბოტაჟნიკები

ვარშავა, 28 ივნისი. **მუშათა მასების მოთხოვნილებას ამნისტიის შესახებ პოლონეთის სოციალისტური პარტია, საბოტაჟს უცხადებს. ამასთან დაკავშირებით კვირას მიტინგებზე ადგილი ჰქონდა შეტაკებებს.** მიტინგები მოიწვია პოლონეთის სოციალისტ. პარტიამ კონსტიტუციის შეცვლის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ, კომუნისტებმა და სხვა მუშებმა კი დანიშნეს ამნისტიისათვის ბრძოლის კვირეული.

ვარშავაში პოლონეთის სოც. პარტიის რაზმელებმა, რომელნიც იცავდენ მიტინგს, სცემეს მუშებს იმიტომ, რომ ისინი მოითხოვდენ ამნისტიის შესახებ მუხლის შეტანას რეზოლუციაში.

ასეთივე შეტაკებები მოხდა პოლონეთის სხვა ქალაქებში.

კომუნისტების დევნა

ვარშავა, 28 ივნისი. **კომუნისტების დევნა პილსუდსკის მიერ მოხდენილ გადატრიალების შემდეგ წინანდებურად გრძელდება.**

ლვოვში, ვილნოში, კრაკოვში და ლიუბლინში სწარმოებს კომუნისტების პროცესები. კომპარტიის წევრებისათვის სასჯელათ შემოღებულია 6 თვის ციხე. გრძელდება კომუნისტების დაპატიმრებები. ლანცუცკის წინააღმდეგ აღძრულია ახალი საქმე 1923 წელში მოწოდების გამოქვეყნებისათვის მთავრობის განკარგულებით, ვარშავის, ლიუბლინის და ვილნოს ოლქებში განგრძობილ იქნა სამხედრო - საველე სასამართლოს მუშაობის ვადა.

სოციალისტურ პარტიის გათიშვა

ვარშავა, 28 ივნისი. პოლონეთის სოციალისტურ პარტიას ჩამოცილებულმა ჯგუფებმა ლიუბლინის, სილეზიის, აღმოსავლეთ გალიციის და სხვა „ვოევოდებში" **დაარსეს ახალი პარტია, „პოლონეთის მემარჯვენე სოციალისტური პარტიის" სახელწოდებით.**

ახალი პარტიის სათავეში სდგას, პ. ს. პარტიის ყოფილი დეპუტატი **დმოვსკი**. ახალი პარტიის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ნათქვამია:

„ჩვენ არ შეგვიძლია დავდუმდეთ მაშინ, როდესაც პ. ს. პ-ის ლიდერები პირველ მაისის დემონსტრაციის დროს ჰკლავენ სხვა რწმენის მქონე მუშებს. პ. ს. პარტიის პატიოსან წევრთათვის არ არის სხვა გამოსავალი, გარდა იმ პარტიასთან კავშირის გაწყვეტისა, რომელიც მოღალატეებს უპყრიათ ხელში.

მალჩევსკის განთავისუფლებისათვის

ვარშავა, 28 ივნისი. ნაც.-დემოკრატებმა და პარტია „პიასტმა" შეიტანეს სეიმში შეკითხვა, რომელშიაც მოითხოვენ ვიტოსის მთავრობის ყოფილ სამხედრო მინისტრის მალჩევსკის განთავისუფლებას.

დემონსტრაცია ვარშავში

ბერლინი, 29 ივნისი. კვირას გამართულ სოციალისტურ დემონსტრაციების დროს **ვარშავაში 3 კაცი მოჰკლეს.**

ვარშავაში ყოველგან გამოკრულია მთავრობის განცხადება, რომ დემონსტრაციის გამმართველნი სამხედრო სასამართლოს გადაეცემიან.

◆

ფაშისტების ყრილობა

პარიზი, 28 ივნისი. რეიმსში შესდგა საფრანგეთის ფაშისტების ყრილობა, რომელსაც დაესწრო 4.000 დელეგატი.

ფაშისტების თავხედურმა მოქმედებამ გამოიწვია შეტაკება კომუნისტებთან. შეტაკებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე პარიზში აღმოსავლეთ სადგურზე ყრილობის დელეგატების ნაწილის დაბრუნების დროს. შეტაკების დროს დაიჭრა რამოდენიმე კაცი.

◆

ჩერჩილის აგენტები

„ჯაპან ტაიმსის" წერილი

ტოკიო, 28 ივნისი. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი **„ჯაპან ტაიმსი"** ეხება ლონდონიდან მიღებულ ცნობებს ინგლისის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ მიწერ-მოწერის შესახებ „მოსკოვის ხელისუფლებისა და ინგლისის კომპარტიას შორის". გაზეთი აცხადებს, რომ ამ ცნობას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან იაპონიაშიაც ხშირად ვრცელდება ხმები, რომ „საბჭოთა ფული მოსდის ამა თუ იმ იაპონელ კომუნისტს ან მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელს".

გაზეთი ამავე დროს იძულებულია აღიაროს, რომ დღემდე საბოლოოდ გამორკვეული არ არის, რამდენად საფუძვლიანია ეს ხმები, ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც ევალებათ ამისათვის თვალყურის დევნება, არ ფიქრობენ ამ საკითხის ღრმად გამორკვევას.

გაზეთი ფიქრობს, რომ შესაძლებელია „ლონდონის მხილება" სინამდვილეს არ შეეფერება. ის აცხადებს:

„ასეთ პირობებში მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, რა იფარება იაპონიაში ასეთ ხმებს იქით".

მორიგი ჭორი

ტოკიო, 28 ივნისი. „იომური", რომელიც არის გარკვეულ პოლიტიკურ ფიზიონომიას მოკლებული ლიბერალური ინტელიგენციის ორგანო,—პირდაპირ რეკორდს ახდენს ინგლისში გაჩაღებულ ანტისაბჭოთა კამპანიის პროვოკაციულად განმარტების მხრივ; გაზეთი უკანასკნელ ნომერში იტყობინება, რომ საბჭოთა საელჩო ფინანსიურ დახმარებას უწევს ხამამუცუს საფეიქრო ფაბრიკებში გაფიცულ მუშებს და რომ მან იქ ორი თავისი იაპონელი მოსამსახურეც გაგზავნა; პოლიციამ ვერავითარი საბუთი ვერ აღმოაჩინა საგაფიცვო კომიტეტის გაჩხრეკის დროს, ვინაიდან ყველა მასალები წინდაწინვე გადაკარგული აღმოჩნდა.

◆

ჩინეთის რეაქცია

პეკინი, 29 ივნისი. ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს შეხვედრა სასურველად დამთავრდა.

ორივე მარშალი ესტუმრა ეხლანდელ პრეზიდენტს თავის სასახლეში [illegible]

პეკინიდან უ-პეი-ფუ მიემგზავრება ფრონტზე, რადგან მოსალოდნელია საერთო შეტევა გომინდანის ჯარების წინააღმდეგ.

[illegible] ხნით, რომ ზემოხსენებულ ორგანოებ[illegible]
რიფო თათბირისათვის წარმოადგინონ
მასალები და თავიანთი დასკვნები ამ
[illegible]სახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატის „ხელშეუხებლობა“

ბერლინი, 28 ივნისი. რეიხსტაგის საპარლამენტო კომისიამ განიხილა მთავარი პროკურორის წინადადება კომუნისტ დეპუტატების **გეკერის, გერნლეს, პფეიფერის, კენენის, რემელეს და ბცეკერისათვის** დეპუტატის ხელშეუხებლობის წართმევის შესახებ. ზემოხსენებულ დეპუტატებს ჯერ კიდევ ორი წლის წინად ბრალს სდებდენ „სახელმწიფო ღალატში“.

საქსონიის ლანდტაგის კომუნისტ დეპუტატს **ბეტხერს** უკვე წაართვეს დეპუტატის ხელშეუხებლობა, პრუსიის ლანდტაგმა ამ საკითხის განხილვა გადასდო რეიხსტაგის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

კომისიის მომხსენებელმა სოც. დემოკრატ **ლანდსბერგმა** წინადადება შეიტანა უარყოფილ იქნეს პროკურორის მოთხოვნილება, რადგან კომუნისტ დეპუტატებისათვის არ წაუყენებიათ კონკრეტიული ბრალდება, ხოლო მემარჯვენე დეპუტატებს, რომელთაც ჩაიდინეს სახელმწიფო ღალატი, არავინ არ აძლევს პასუხისგებაში.

მუშათა დელეგაცია

ბერლინი, 28 ივნისი. დრეზდენის მელითონეთა პროფკავშირების ალმასკომმა დაადგინა გაგზავნოს დრეზდენის უდიდესი წარმოების ფირმა „ზედც და რეინ“-ის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე იმ ახალ მუშათა დელეგაციის წევრათ, რომელიც მიემგზავრება საბჭოთა კავშირში.

ჩეხო-სლოვაკიის რეაქციონერები

პრაღა, 28 ივნისი, თანდათან ფართოვდება ყველა ეროვნებათა ბურჟუაზიულ პარტიების მთლიანი ფრონტი, რომელიც შეიქმნა ახალ აგრარულ გადასახადების გატარების დროს. უმრავლესობის ახალი საპარლამენტო კომბინაცია მთლიანი ფრონტით გამოვიდა მღვდლებისათვის ჯამაგირის მომატების სასარგებლოდ, სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირის საკითხში და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, სპირტზე და შაქარზე ახალ არაპირდაპირ გადასახადის შემოღების საკითხში.

ეხლა ამ ბურჟუაზიულ პარტიებს შორის (ჩეხიის ბურჟუაზიული პარტიები, სლოვაკიის კლერიკალები, გერმანელი აგრარიები, ხელოსნები და კლერიკალები და, დაბოლოს, ჰუნგრელი აგრარიები) სწარმოებს მოლაპარაკება, რომლის მიზანია ისეთი მთავრობის შექმნა, რომელშიაც შევლენ ყველა ზემოდ აღნიშნულ პარტიების წარმომადგენლები.

როგორც ვიცით, ჩეხო-სლოვაკიაში აქამდის არსებობდა ან ჩეხიის ნაციონალური მთავრობები, ან ეგრედ წოდებული საქმიანი კაბინეტები. ეხლა პირველად წამოყენებულ იქნა საკითხი ჩეხების, გერმანელების, ჰუნგრელების და სლოვაკებისაგან საერთო ეროვნული მთავრობის შექმნის შესახებ.

შეთქმულება ქემალ-ფაშას წინააღმდეგ

სტამბოლი, 28 ივნისი. დაიწყო საქმის გარჩევა ქემალ-ფაშის წინააღმდეგ შეთქმულობის შესახებ. საბრალმდებლო ოქმი აღნიშნავს, რომ შეთქმულთა მიზანში შედიოდა პრეზიდენტისა და მთავრობის წევრების წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით მოკვლა.

შეთქმულობის ორგანიზაციას, ამბობს საბრალმდებლო ოქმი წინ უძღოდა წინასწარი მომზადება და როლების მონაწილეთა შორის სასტიკი განაწილება. შეთქმულობის უშუალოთ შესასრულებლად იყენებდენ ნახევრად სისხლის-სამართლის დამნაშავე ელემენტებს, რომლებსაც წინედ დასჯილი იყვნენ მძარცველობისათვის და რომლებიც არალეგალურად სცხოვრობდენ.

პროკურორი 8 უმთავრეს დამნაშავის მიმართ მოითხოვს სასჯელის მისჯას სისხლის-სამართლის კოდექსის იმ მუხლების მიხედვით, რომელიც სიკვდილით დასჯას, მუდმივ ან მრავალ წლის კატორღას ითვალისწინებს.



ქემალ-ფაშა

მიწისძვრა

ლონდონი, 28 ივნისი. რეიტერის ცნობით, ბატავიში (ჰოლანდიის ინდოეთი) კუნძულ სუმატრაზე მიწისძვრა მოხდა, რომელმაც ძლიერი პანიკა გამოიწვია მცხოვრებლებში. გუბერნატორის რეზიდენცია კადანგაში და მრავალი ევროპიული სახლები ძლიერ დაზარალდენ. მთელ სამხრეთ-ხლავიაში და განსაკუთრებული ძალით კატანში (სიცილია), სადაც მიწისძვრა 90 წამს გრძელდებოდა.

ადგილობრივ ციხის ტუსაღებში, რომლებიც შიშმა შეიპყრო, მღელვარება დაიწყო წესრიგის აღსადგენად გამოწვეულ იქმნა პოლიციის სპეციალური რაზმები. პროვინცია ფეჯიაში (სამხრეთ-იტალია) მიწისძვრამ დაანგრია 2.000 სახლი.

მაგარს მიწისძვრას გრძნობდენ [illegible] კუნძულ კრიტზე, მაგარს ძვრისაგან დაინგრა კუნძული მთავარი ქალაქი—კანდია.

სინგაპურში ნიადაგი არაჩვეულებრივი სიძლიერით ირყეოდა.

სხვადასხვა

— **აბდ-ელ-ქარიმის ბედი.** საფრანგეთ-ესპანეთი შეთანხმდა აბდ-ელ-ქერიმის გადასახლების შესახებ.

— **წყალდიდობა გერმანიაში.** 29 ივნისს დილით გერმანიის მდინარეებმა მიაღწიეს ადიდების უმაღლეს დონეს. საღამოს წყალის დონე დაეცა.

— **მიწისძვრა.** შვეიცარიის ბევრ ადგილებში გუშინ ადგილი ჰქონდა მიწისძვრას, რომელიც ½ წუთს გრძელდებოდა.

— **ამუნდსენის გადაფრენა.** ამუნდსენმა გამოაცხადა ჩრდილოეთ პოლიუსიდან დაბრუნების შესახებ. მთელი გადაფრენა დაჯდა 500 ათასი დოლარი (ერთი მილიონი მანეთი).

— **შავი ჭირი.** წყალდიდობის შემდეგ მექსიკაში გაჩნდა შავი ჭირი. მოკვდა 1500 კაცი.

— **მინისტრების ოთურმა.** გუშინ გადადგა კანადის მთავრობა.

— **მეჯლისის არჩევნები.** მეჯლისის არჩევნებში მიცემულ ხმების დათვლა თვენახევარზე მეტს გაგრძელდა. თორმეტ არჩეულ დეპუტატიდან მხოლოდ სამი ეკუთვნის ნაციონალურ პროგრესიულ ბანაკს. დანარჩენები რეაქციონურ პოლიტიკას ემხრობიან.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ბელორუსიის ცაკის სესია

მინსკი, 29 ივნისი. 29 ივნისს გაიხსნა ბელორუსიის ცაკის მესამე სესია. სესიაზე დასასწრებლად ჩამოვიდა 10 დელეგატზე მეტი.

ამერიკიდან

მოსკოვი, 29 ივნისი. ივლისში ს. ს. რ. კ-ში ამერიკიდან ჩამოვა საბჭოთა კავშირის ცხოვრების გასაცნობად ამერიკელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, ლიტერატორთა, ჟურნალისტთა, ამერიკელ საკომერციო წრეების წარმომადგენელთა და სხ. ჯგუფი, სულ 20 კაცამდეა.

საამშენებლო სეზონისათვის

მოსკოვი, 29 ივნისი. საამშენებლო სეზონის დაწყებიდანვე მოსკოვში დიდ ძალი მშენებელი მუშები ჩამოდიან. ბევრი მათგანი სამუშაოს ვერ შოულობს. მაგალითად, 1925 წ. მაისში მოსკოვში იყო დაახლოვებით 7.000 უმუშევარი მშენებელი, ამა წლის მაისში კი—დაახლოებით 29,000 წევრი კავშირის და 7000 არა წევრი სოფლებიდან ჩამოსულ მშენებელთა დაახლოვებით 25-30 პროცენტი უსაქმოდ რჩება. მშენებელთა კავშირის ცეკა აფრთხილებს მშენებლებს არ ჩამოვიდენ მოსკოვში, სადაც მათ უმუშევრობა მოელით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

დამატებითი დახმარება

ბაქო, 28 ივნისი. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა მიმდინარე წლის დამატებითი დახმარების განაწილება მთელ რიგ დეფიციტიან მაზრებისათვის. დახმარებას საერთოთანხა უდრის 200.328 მანეთს: ამათგან ქურთისტანს—74.410 მან., ნახიჩევანის რესპუბლიკას 52.000 მან. და მთიან ყარასახს—74.051 მან.

ბანკის განყოფილება

ბაქო, 28 ივნისი. ბაქოს ქალაქის ბანკი, თავის განყოფილებას ხსნის განჯაში.

ტელეფონიზაცია

ბაქო, 28 ივნისი, ადგილობრივ ბიუჯეტის ანგარიშში განჯის მაზრაში ნავარაუდევია ტელეფონის ქსელის გადიდება. განჯასთან დაკავშირებული იქნება ზოგი მთიანი სოფლები. მათ რიცხვში ზურნაბადი.

კომუნალურ ბანკში

ბაქო, 28 ივნისი. ბაქოს ქალაქის ბანკის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, კომუნალურ ბანკში შესდგა აქციონერების საგანგებო კრება. ბანკის კაპიტალი გადიდებული იქნება 2 მილიონ მანეთამდე. აქციები უნდა დაფარულ იქნას თანასწორ წილარებით ორ ვადაში: 1 ოქტომბრიდან 1927 წლის 1 აპრილამდე.

სომხეთი

საზოგადოებრივი სამუშაოები

ლენინაკანი, 29 ივნისი. სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა შრომის სახ. კომისარიატის წინაშე, რომ გადიდებულ იქმნას სუბსიდია საზოგადოებრივ სამუშაოთა მოსაწყობად.

ამ მიზნისათვის სულ გადადებულია 4.000 მანეთი.

მუშათა სახლი

ლენინაკანი, 29 ივნისი. სამაზრო პროფბიურომ გახსნა 25.000 მან. კრედიტი მუშათა სახლის შესაკეთებლად. პირველ რიგში შეაკეთებენ ყოფილ ტერ-პოლოსოვის მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლს 40 ოთახზე.

რა ხდება უცხოეთში

საფრანგეთი

ხაზინის მდგომარეობა

გადადგომის წინა დღეებში ფინანსთა მინისტრი რაულ პერე ოფიციალური გამოსვლებისა თუ ჟურნალისტებთან საუბარის დროს ყოველთვის აცხადებდა, რომ სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობა სავსებით ნორმალურია.

საფრანგეთის ხაზინის სალაროს მდგომარეობას ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ახლა სწარმოებს მოკლევადიან სესხების განაღდება. ამ უკანასკნელმა ოპერაციებმა სპეციალური ბარომეტრის ხასიათი მიიღეს. მთავრობის წინაშე წამოჭრილი სულ მცირეოდენი დაბრკოლება, შეფერხება ექსპორტში, ფრანკის კურსის დაწევა ერთი მეათედი კაპეიკით,—ყველაფერი ეს იწვევს პანიკას და მთავრობას უფრო მეტის რაოდენობით უდგენენ გასანაღდებლათ სესხების ობლიგაციებს. როგორც კი მდგომარეობა ოდნავ გართულდება, იმ ბონების პატრონები, რომელთა გამოსყიდვის ვადა მოვიდა, იმის მაგიერ, რომ გადასცვალონ ისინი სახელმწიფო ხაზინაში, მოითხოვენ მათ განაღდებას, ვინაიდან ქაღალდის ფრანკით უფრო ადვილათ შეიძლება უცხოეთის ვალიუტისა და საქონლის შეძენა, ვიდრე ბონებით.

და თუ ბონები დიდის რაოდენობით წარადგინეს, საჭირო ხდება ქაღალდის ფულების ახალი პარტიის გამოშვება, რაც ფინანსიურ კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებს.

ამით აიხსნებოდა რაულ პერეს განცხადებები. ფინანსთა მინისტრის „სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობის სიმტკიცეზე“ ყოველდღიური განცხადებებით სურდა დაეჯერებია საზოგადოება, რომ მდგომარეობა ხაზინაში არ არის [illegible]სიის წინაშე რაულ პერე შემდეგ ნაირათ ამტკიცებდა, რომ „სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობა ნორმალურია“.

გამოსყიდვა ბონების იმ სესხების, რომელთაც ვადა გაუთავდათ 20 მაისს (6.180.000.000 ფრანკის), წარმატებით დამთავრდა.

20 აპრილს გამოირკვა, რომ 20 მაისს გამოსასყიდათ წარმოდგენილი იქნება 3.168.000.000 ფრანკის ბონები (კანონით, თუ ერთი თვით ადრე არ იქნება განცხადებული ბონების გადაცვლის სურვილი, ეს ითვლება იმის ნიშნათ, რომ ბონების პატრონს არ სურს მათი გადაცვლა). ამ 3.168.000.000 ფრანკის ბონებიდან 1.011 მილიონი ფრანკის ბონები გადაცვლილი იქნა ახლებზე. პირველ ივლისამდი სახელმწიფო ხაზინას მოუხდა მხოლოდ მილიარდი ფრანკის ბონების გამოსყიდვა. (დანარჩენები შეიძლება გამოსყიდული იქნას უფრო გვიან).

ხაზინაში ე. წ. ლუზერის გადასახადებისაგან ამ გადასახადით განზრახულია წ. წლის დეკემბერში გამოშვებული ქაღალდის ფრანკის გამოსყიდვა) შემოვიდა 2.350.000.000 ფრანკი.

თავისი მოხსენების დასასრულ რაულ პერემ კომისიის დასამშვიდებლათ განაცხადა: „საერთოდ სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობა შეიძლება ნორმალურათ ჩავთვალოთ მიმდინარე წლის დეკემბრამდი“.

მაგრამ ამ დამამშვიდებელ განცხადებათა შემდეგ, მეორე დღესვე ფრანკის კურსი დაეცა. გირვანქა სტერლინგის კურსმა 147 ფრანკიდან 158 ფრანკამდე აიწია (ამჟამად 180 ფრანკად ფასობს).

საქმე იმაშია, რომ რაულ პერეს მოხსენების შემდეგ გამოქვეყნდა საფრანგეთის ბანკის კვირეული ბალანსი, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ხაზინისათვის მიცემულ ავანსების ჯამი ერთი მილიარდით გაიზარდა. სულ კი ხაზინას ბანკიდან მიღებული აქვს 36.900.000.000 ფრანკი. ამრიგად კანონით მიერ გათვალისწინებული საზღვარის მისაღწევად (სახელმწიფო ბანკს მიცემული აქვს უფლება გამოუშვას მხოლოდ 38.500.000.000 ფრანკი), დარჩა რაღაც 1 მილიარდი ფრანკი.

თითო მილიარდის ქაღალდის ფულებს წინაკვირეებშიც უშვებდენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ქაღალდის ფულების გამოშვებამ ყველაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ემისიის (ახალი ქაღალდის ფულების გამოშვების) გარეშე სახელმწიფოს განკარგულებაში საკმაოდ დიდი საშუალებები მოიპოვებოდა. ბანკიდან მიღებული 1.000.000.000 ფრანკი რომ [illegible] „ზედმეტი“ 2.850.00.000 ფრანკი „ლუზერის გადასახადების“ სახით, რომელსაც უნდა მიემატოს ფრანკის კურსის განსამტკიცებლათ უცხოეთის ვალიუტის (მორგანის სესხი) გაყიდვიდან მიღებული თანხები.

საფინანსო კომისიაში ბლიუმის შეკითხვაზე რაულ პერემ განაცხადა, რომ ვალიუტის გაყიდვიდან მიღებულ თანხების ნაწილი დაიხარჯა ფრანკის კურსის განმტკიცებაზე.

„ლ,უმანიტე“-ს ცნობით, საფინანსო კომისიის წევრები არ მალავდენ, რომ მორგანისაგან მიღებული სესხის ¾ ფრანკის კურსის განსამტკიცებლად დაიხარჯა.

ასეთი დიდი თანხების უშედეგოთ დახარჯ- ასეთი დიდი თანხების უშედეგოთ დახარჯვას არ შეეძლო შიში არ გამოეწვია ფინანსიურ და საზოგადოების ფართე წრეებში, რაულ პერემ ვერ შეხძლო ფინანსიური საკითხის მოგვარება და ამან გამოიწვია ბრიანის მთავრობის გადადგომა.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელები და არჩევნები ეგვიპტეს პარლამენტში

ლონდონი, 28 ივნისი. „დეილი მეილი“ ათავსებს თვალსაჩინო ადგილზე თავის ქაირელ კორესპონდენტის წერილს, რომელშიაც გამოთქმულია ინგლისურ წრეებში შიში იმის გამო, რომ მოსალოდნელია პარლამენტში დეპუტატებად ამას წინად სასამართლოს მიერ გამართლებულ 7 ეგვიპტელის არჩევა (ამ პირებს ბრალად ედებოდათ ინგლისელის მკვლელობა. განთავისუფლებულთა შორის არის ზაგლულ-ფაშას ყოფ. მინისტრი ახმედ-მხერი) კორესპონდენტი მოითხოვს, რათა ინგლისის კომისარს ლლოიდს საგანგებო უფლებები მიენიჭოს აუცილებლობის დროს საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად.

შეხლა-შემოხლა იწყება

ლონდონი, 28 ივნისი. „ვესტმინსტერ გაზეტ“-ის რომის კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალია შიშს გამოსთქვამს საფრანგეთის გაძლიერების გამო მაროკოში. ასეთივე შიშს გამოსთქვამენ ინგლისელებიც, რომელთაც აფიქრებთ ის გარემოება, რომ ფრანგების გაძლიერებას მაროკოში შეუძლია გაუბათილოს გიბრალტარის მნიშვნელობა.

ირაკი და ინგლისი

ბერლინი, 28 ივნისი. ირაქის მთავრობამ თხოვნით მიმართა ინგლისის მთავრობას, ნება დართოს მას საკუთარი ფულის ნიშნების მოჭრისა.

ყოფილ პრინცების პრეტენზიების საკითხი

ბერლინი, 29 ივნისი. რეიხსტაგის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა კულცმა, მთავრობის კომპრომისის შესახებ, რომელიც აწესრიგებს ყოფ. პრინცების პრეტენზიების საკითხს, განაცხადა, რომ მთავრობა ერთხმად დაიჭერს მხარს მის მიერ შეტანილ კომპრომისს და შესაფერის დასკვნებს გამოიტანს, თუ კომპრომისი არ იქნა მიღებული.

რეიხსტაგმა დაადგინა გადასდოს საერთო დებატები კომპრომისის შესახებ მესამედ წაკითხვამდე.

რუმინია და საბჭოთა კავშირი

ბერლინი, 29 ივნისი. დღის საგარეო საქმეთა სამინისტროში შტრეზემანმა და საბჭოთა ელჩმა კრესტინსკიმ ოფიციალურად გასცვალეს საბუთები ბერლინის ხელშეკრულების შესახებ.

უმუშევრობა გერმანიაში

ბერლინი, 29 ივნისი. უკანასკნელი ცნობით ივნისის პირველ ნახევარში გერმანიაში იყო 1.749.000 უმუშევარი, ე. ი. გასულ თვესთან შედარებით 5.000-ით მეტი.

გომინდანის ინდონეზიის სექცია

პეკინი, 28 ივნისი. ბატავიაში დატუსაღებულია 20 ჩინელი, გომინდანის ინდონეზიის სექციის ხელმძღვანელები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გომინდანთან კანტონში.

გაფიცვები ჩინეთში

პეკინი, 28 ივნისი. გაფიცვის მოძრაობა იზრდება. ამჟამად გაფიცულია 36 აბრეშუმის ქარხნის მუშა-ქალები. გაფიცვას შეუერთდენ აგრეთვე ჩითის საქსოვი ქარხნის მუშა-ქალებიც.

პოლიციამ დაბეჭდა შანხაიში შრომის ფედერაციის შენობა გაფიცვის შეუწყვეტის ბრძანების გაცემაზე უარის თქმის გამო. გაფიცულთა განწყობილება მტკიცეა.

ჩან-ძო-ლინისა და უ-პეი-ფუს შეხვედრა

პეკინი, 28 ივნისი. უ-პეი-ფუ მხოლოდ ერთი დღე დარჩა პეკინში და შემდეგ ფრონტზე გაემგზავრა. ჩან-ძო-ლინთან მას მცირე ხნით ჰქონდა ბაასი, რომლის შინაარს საიდუმლოდ ინახავენ.

სამხედრო მდგომარეობის შესახებ პრესა აღნიშნავს, რომ თათბირის შედეგად გახზრახულია ბრძანების გამოცემა შეტევის შესახებ.

კონსტიტუციისა, მთავრობის შემადგენლობისა და სხვა კითხვები არაა მოგვარებული.

საერთოდ ჩინეთის წრეებში პესიმისტურად აფასებენ უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინის პირად შეხვედრას.

კანადის კაბინეტის გადადგომა

ნიუ-იორკი, 28 ივნისი. კინგლის ლიბერალური კანადის კაბინეტი გადადგა. ახალი მთავრობის შედგენა, ალბად, კონსერვატორულ ოპოზიციის ლიდერს მეიგანს მიენდობა.

მელითონეთა კავშირის ცეკას მოწოდება

მოსკოვი, 29 ივნისი. მელითონეთა კავშირის ცეკას პლენუმმა მოწოდებით მიმართა მელითონეთა ინტერნაციონალს და მასში შემავალ ყველა ორგანიზაციებს აღმოუჩინონ დახმარება ინგლისის გაფიცულ მუშებს.

ბრძოლა თეთრი ტერორის წინააღმდეგ

მოსკოვი, 29 ივნისი. საფრანგეთის ცნობილ პუბლიცისტ-მწერლების და საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობით შესდგა კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავს ბრძოლა პოლონეთის თეთრ-ტერორის წინააღმდეგ და პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიისათვის.

გამოქვეყნებულია მოწოდება, რომელიც სხვათაშორის ანრი ბარბიუსის მიერაც არის ხელმოწერილი, პოლონეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ. მოწოდების ასლი, რომელიც ათეულ ათას ეგზემპლიარით გავრცელდა დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის ფართო ფენებში, გაეგზავნა პოლონეთის მთავრობას.

კანონპროექტის განხილვა დაიწყო

ლონდონი, 28 ივნისი. თემთა პალატაში დაიწყო კამათი მუშაობის კანონ-პროექტის გარშემო მაღაროს მუშათა სამუშაო დღის 8 საათამდე გადიდების შესახებ. მუშათა პარტიის წევრმა სტეივენ უოლშმ წინადადება შეიტანა უარყოფილ იქნას მთავრობის კანონპროექტი.

ლიბერალმა საიმონმა მოითხოვა სანახშირო კომისიის დადგენილებათა მიღება და თავის შეკავება სხვა ზომების გატარებისაგან.

მუშათა პარტიის სხვა წევრებმა, რომლიებიც შემდეგ გამოვიდენ სასტიკად გაილაშქრეს სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ და აღნიშნეს, რომ 8 საათ. სამუშაო დღის შემო[illegible]ება მაღაროს მუშებისათვის 18 წლის წინ არსებულ მდგომარეობას ქმნის.

კუკი—სამუშაო დღის გადიდების შესახებ

ლონდონი, 28 ივნისი. ფოლკისკში სამთომადნო მუშების მიტინგზე კუკმა განაცხადა, რომ სამუშაო დღის გადიდების კანონ-პროექტი, უეჭველია, მიღებულ იქნება, მაგრამ სამთო-მადნო მუშების ფედერაცია არას დროს არ დასთანხმდება სამუშაო დღის გადიდებაზე. 1.2.00.000 სამთო-მადნო მუშა არას დროს არ დასთანხმდება მუშაობას დაუბრუნდეს იმ პირობებში, რომელიც 18 წლის წინედ იყო“.

ხიკსი არ ცხრება

ლონდონი, 28 ივნისი. გოუსლში შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯოინსონ ხიკსმა სთქვა, რომ საბჭოთა მთავრობის საქციელი ინგლისის მიმართ იყო უაღრესად არა მეგობრული არა დამაკმაყოფილებელი და არა ზრდილობიანი. მაგრამ რუსების ინგლისიდან გადასახლება ნაადრევი იქნებოდა. „მოგვეცით საშუალება რუსეთსაც გავსცეთ პასუხი, ამბობს ხიკსი, როგორც გავეცით პასუხი საყოველთაო გაფიცვას სათანადო მომენტში, და სათანადო ზომებით, ჯერ კი საამისო დრო არ დამდგარა“.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

კანადა

მუშათა მოძრაობის მდგომარეობა

ორგანიზაციული თვალსაზრისით კანადის მუშათა მოძრაობა ქაოტიურ მდგომარეობაში იმყოფება. კანადის საყოველთაო პროლეტარიატი გაყოფილია ხუთ სხვადასხვა ჯგუფათ, რომელთა შორის არავითარ თანამშრომლობას არა აქვს ადგილი.

პირველი ასეთი ჯგუფია ამერიკული შრომის ფედერაციის ორგანიზაცია, რომელიც უკიდურეს მემარჯვენე პოლიტიკას აწარმოებს. მარცხენა ფლანგი უჭირავს „მსოფლიო სამრეწველო მუშათა კავშირს“ და „დიდ მთლიან კავშირს“ (რომელშიც შედის ორი ანარქო-სინდიკალისტური ორგანიზაცია). საშუალო ადგილი უჭირავს: „რკინისგზელთა ძმობას“ ([illegible]სამსახურეთა ძმობას“ და „სამოქალაქო მოსამსახურეთა კავშირს“.

თითეული ამ ჯგუფთაგანი საკუთარ, დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს. ამის შედეგია ის, რომ კლასობრივი ბრძოლებიდან კაპიტალი ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. მუშათა მოძრაობის ამ დაქსაქსულობამ უკანასკნელ ხანებში გამოიწვია ლტოლვა გაერთიანებისაკენ, რომელიც თანდათანობით ძლიერდება ყველა ორგანიზაციებში.

უდიდესი როლი ახალ მოძრაობაში ითამაშა კანადის კომპარტიამ და მისმა დამსახურებამ ამ მხრივ აიძულა რეფორმისტები ანგარიში გაეწია კომპარტიის გავლენისათვის მასებზე და, თავისი სურვილის წინააღმდეგ, ხელი არ შეეშალა კომუნისტების წამოყენებისთვის პასუხსაგებ თანამდებობებზე.

ასე მაგალითად, უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების დროს, მუშათა პარტიამ ქ. ვანკუვერში თავის კანდიდატად კომუნისტი წამოაყენა. ზოგიერთ პროფკავშირებში, რომლებიც ამერიკის რეფორმისტულ ინტერნაციონალს ემხრობიან, ამ რამდენიმე ხნის წინათ მდივნებათ კომუნისტები იქნენ არჩეული.

ჯერ-ჯერობით პროფკავშირებში მომუშავე კომუნისტებმა ვერ მოახერხეს ვერც ამერიკის შრომის ფედერაციის პოლიტიკის ხაზის შეცვლა, ვერც კანადის მუშების გაერთიანება, მაგრამ მდგომარეობა ისეთია, რომ კომპარტიის პოზიციები პროფმუშაობაში თანდათანობით განმტკიცდება.

კანადაში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, რეფორმისტული ტრადიციები მუშებში ძლიერ სუსტია. პირიქით, აქ საჭირო ხდება ბრძოლა მემარცხენე გადახრებთან. ძლიერ ხშირად აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს, რომლებიც მუშათა მიტინგებს ესწრებიან, მუშები ეუბნებიან, რომ „სრულიად არ არის საჭირო პროფორგანიზაციები, ვინაიდან [illegible]ყოვნებლივ“, „თქვენ, უკეთესია ის გვითხრათ როდის იქნება რევოლიუცია“.

ასეთი განწყობილება მეტად ძლიერია და მასთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ რევოლიუციონერი პროფკავშირების საერთაშორისო პოლიტიკაზე მითითებით.

ინტერესი საბჭოთა პროფკავშირებისადმი კანადის მუშებში არაჩვეულებრივათ დიდია. კრებებზე და მოხსენებებზე სიტყვების ⁴/₅ საბჭოთა კავშირს შეეხება. და როგორიც არ უნდა იყოს კრების თემა, მუშები არ დაიშლებიან, სანამ ორატორები ამომწურავ პასუხს არ მისცემენ კითხვებზე: როგორ მუშაობენ საბჭოთა წარმოებები, როგორ ცხოვრობენ მუშები, როგორია მათი უფლებები, როგორ ვითარდება საბჭოთა მეურნეობა. და სხვ.

საბჭოთა კავშირისადმი ასეთი დამოკიდებულების პირობებში, გასაკვირი არ არის, რომ პროფმოძრაობის მთლიანობის ლოზუნგი, რომელსაც საბჭოთა პროფკავშირები ანხორციელებენ, მხურვალე გამოძახილს პოულობს კანადის მუშებს შორის. მასები დაჟინებით მოითხოვენ მთლიანობას და მთლიანობის შესახებ (ჯერ-ჯერობით ნაციონალურ მასშტაბით) ალაპარაკდა ხუთივე პროფორგანიზაცია.

პარტიული ცხოვრება

ღარიბ გლეხობას შორის მუ[illegible]

საკავშირო კომპარტიის ცეკას ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა გატარება

საკავშირო კომპარტიის ცეკას საორგანიზაციო ბიუროს დადგენილება

1) ცეკას ოქტომბრის პლენუმის და მეთოთხმეტე ყრილობის გადაწყვეტილებები ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ უნდა დაუკავშიროთ პარტიის მუდმივ ამოცანას, ე. ი. ღარიბ მოსახლეობის დარაზმვას პარტიის ირგვლივ, რასაც სისწორით უნდა ატარებდეს თვითეული პარტიული ორგანიზაცია, თვითეული სასოფლო უჯრედი და თვითეული კომუნისტი, როგორც მასიური პარტმუშაობის უმთავრეს ნაწილს სოფლად. მუშაობა სოფლის ღარიბ მოსახლეობას შორის, როგორც უმთავრესი ამოცანა, წინადაც იდგა პარტიის წინაშე. მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა იმის შემდეგ, რაც პარტიამ კურსი აიღო საბჭოების გამოცოცხლებაზე, საბჭოების და კოოპერაციის ირგვლივ უპარტიო გლეხობის აქტივის შექმნაზე პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ და ღარიბ და საშუალო გლეხობის კავშირის განმტკიცებაზე კულაკების წინააღმდეგ. ამ პირობებში ღარიბ მოსახლეობამ „პარტიის და სახელმწიფო ხელისუფლების დახმარებით ბრძოლაში სამეურნეო ფრონტზე (კოლექტიური მეურნეობანი, არტელები, ამხანაგობები, კოოპერაცია, გლეხკომები, საბჭოები) თავი უნდა დააღწიოს სხვის ხელის შემყურეობას, მტკიცე ორგანიზაციული წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს კულაკებს და უნდა გადაიქცეს პროლეტარული პოლიტიკის საიმედო დასაყრდენათ სოფლად“. (მეთოთხმეტე ყრილობის რეზოლიუცია).

ის გარემოება, რომ ოქტომბრის პლენუმის რეზოლიუციებში განსაკუთრებით ხაზგასმით არის აღნიშნული ღარიბ მოსახლეობას შორის მუშაობის მნიშვნელობა, სრულებითაც არ ნიშნავს თითქოს საჭირო იყო ამ მუშაობის გამოყოფა ცალკე სპეციალურ დარგათ. შემცდარი იქნებოდა ხსენებულ მუშაობის გამოყოფა ღარიბ მოსახლეობის საბჭოებში, კოოპერაციაში და გლეხთა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოებებში დარაზმვის ამოცანისაგან. ამ ორგანოებში შექმნილი ღარიბ მოსახლეობის ჯგუფები არ უნდა გადაიქცენ ისეთ ორგანიზაციებათ, რომლებიც საბჭოების და კოოპერაციის გვერდით აწარმოებენ სეპარატიულ მუშაობას და ამით ხელს უშლიან საბჭოების და სოფლის სხვა ორგანიზაციების საქმიანობას.

პირიქით, ღარიბი მოსახლეობის ორგანიზაცია და მისი საზოგადოებრივი აქტივობის გაძლიერება მიმართული უნდა იქნეს საბჭოების, კოოპერაციის, გლეხკომების და სხვა სასოფლო ორგანოების ხაზით, ამ ორგანოებში ღარიბ მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სოფლის ღარიბ მოსახლეობის მატერიალური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და განმტკიცებას.

2) ღარიბ მოსახლეობას შორის მუშაობის გამოცდილებამ, განსაკუთრებით საბჭოების უკანასკნელ გადარჩევის დროს, სავსებით დაადასტურა ცეკას პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა სისწორე. ღარიბ გლეხობის კრებებმა და ღარიბ მოსახლეობის ჯგუფების მუშაობის მოწესრიგების ცდამ დაგვანახვა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მუშაობას საბჭოების გამოცოცხლების და ფართო უპარტიო აქტივის შექმნის საქმეში. ყველგან, სადაც გატარებულ იქნა მუშაობა ღარიბ მოსახლეობას შორის ვამჩნევთ ღარიბ მოსახლეობის პოლიტიკურ აქტივობის ზრდას, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების დარაზმვას პარტიის და საბჭოების ირგვლივ და საბჭოების გადარჩევის საუკეთესო შედეგებს.

3) მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ ცეკას ძირითად დირექტივებში სავსებით ნათლად არის აღნიშნული, რომ სოფლის ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეთა ფენების გაძლიერებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ენერგია მიმართულ უნდა იქნეს ღარიბ მოსახლეობის მდგომარეობის პრაქტიკულად გაუმჯობესების ხაზით საბჭოების, კოოპერაციის და გლეხკომების შემწეობით, ამ ორგანოებში ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეთა ხვედრითი წონის გადიდების ხაზით,—ცეკა აღნიშნავს, რომ მთელი რიგი ორგანიზაციებისა ვერ ახერხებს ღარიბ მოსახლეობას შორის წარმოებულ მუშაობის დაკავშირებას პარტიის საერთო ამოცანებთან სოფლად და კერძოთ საბჭოების გამოცოცხლების და უპარტიო ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივის შექმნის ამოცანასთან.

4) გარდა ამისა, ცეკა აღნიშნავს აგრეთვე მთელ რიგ მნიშვნელოვან ნაკლულოვანებებს ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ატარებაში.

ა) [illegible] გადაწყვეტილებათა [illegible]ბის და პრაქტიკულ გატარების დაგვიანება ადგილებზე, ღარიბ მოსახლეობას შორის მუშაობის არა საკმაოდ შეფასება და გაგება, რაც ხშირად იწვევს ამ მუშაობის გატარებაზე არის თქმას, ან მის გატარებას ვიწრო „ცეხ“ სახით;

ბ) ღარიბ მოსახლეობის ორგანიზაციულად დარაზმვის საქმეში სოფლის მოჯამაგირეთა სუსტი მონაწილეობა;

გ) ღარიბ მოსახლეობას შორის მუშაობის დროს არ არის აგრეთვე საკმაოდ გამოყენებული სოფლის უკვე ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული ნაწილი—პროფკავშირები, განსაკუთრებით სასოფლო სამეურნეო და სატყეო მუშაკთა კავშირი, დელეგატი ქლები, კომკავშირი და სხვ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

დ) ღარიბ მოსახლეობას შორის მუშაობის ზედმეტი ცენტრალიზაციის და არა სწორ საორგანიზაციო ჩამოყალიბების ცდა, რომელმაც თავის გამოხატულება ჰპოვა ღარიბ მოსახლეობის სათემო, სამაზრო, საგუბერნიო და საოლქო ყრილობების მოწვევაში, სპეციალური და ფასიანი აპარატის მოწყობაში და სხვ.;

ე) სუსტად ტარდება ადგილებზე მუშაობა იმ ღონისძიებათა განმარტებისთვის და ცხოვრებაში გატარებისათვის, რომელიც ცეკას პლენუმმა შეიმუშავა ღარიბ მოსახლეობის სამეურნეო მოღონიერებისათვის. მთელ რიგ შემთხვევებში ეს მუშაობა სწარმოებს იმ ფორმით, რომელიც ხელს უწყობს ღარიბ მოსახლეობის პასიობას და სხვის შემყურეობას. ამიტომ ცეკა წინადადებას [illegible] მთავარი ყურადღება მიექცეს ღარიბ მოსახლეობის სამეურნეო თვითმოქმედებ[illegible] კოოპერაციის ([illegible] სასოფლო სამეურნეო, საკრედიტო კოოპერ. არტელები, კოლექტიური მეურნეობებ სხვ.), მიწათ-მოწყობის, აგრარულ დავებს, ურთი-ერთ დახმარების, ღარიბ-მოსახლის კულტურულ დონის აწევის დარგში, აგრეთვე იმ შეღავათების განმარტებას ცხოვრებაში გატარებას, რომელსაც საბჭოთა კანონმდებლობა აძლევს ღარიბ გლეხობას.

5) აღნიშნავს რა, ამჟამად ღარიბ მოსახლეობას შორის მუშაობის ყველაზე უფრო გავრცელებულ და [illegible] ფორმას ჯერ-ჯერობით წარმოადგენს ღარიბ გლეხების კრებები, ცეკა წინადადებას იძლევა:

ა) უფრო ფართოდ და სისტემატიურად უნდა იმართებოდეს ღარიბ გლეხების კრებები იმ სოფლებში, სადაც არსებობს პარტუჯრედები და აგრეთვე იმ ადგილებშიაც, სადაც მიუხედავათ პარტუჯრედის უქონლობისა, შესაძლოა პარტხელმძღვანელობის უზრუნველყოფა (მივლინებულ ამხანაგების საშუალებით და სხვა ზომებით);

ბ) ღარიბ მოსახლეობის კრებებში მონაწილეობას უნდა იღებდნენ ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეობა, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უ მიექცეს ქალების ჩაბმას კრებების მუშაობაში. ღარიბ მოსახლეობის კრებებზე დასწრება და მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია აგრეთვე საშუალო გლეხობას (განსაკუთრებით ღარიბ გლეხობასთან დაახლოვებულ ელემენტებს).

გ) კრებების [illegible] და მოსახლეობისათვის კრების დანიშნულების [illegible] ცნობის მიწოდება უნდა ხდებოდეს [illegible]; საჭიროა რომ მოსახლეობას შორის [illegible] იქნეს ფართო განმარტებითი მუშა[illegible] მოსახლეობას შორის მუშაობის [illegible].

დ) ღარიბ მო[illegible] უნდა ტარდებოდეს საერ[illegible]იებთან დაკავშირებით ([illegible] და კოოპერაციის გადარჩევა, საგაზაფხულო კამპანია და სხვ.). ღარიბ მოსახლეობის კრებებზე ამა თუ იმ გადაწყვეტილებების [illegible] დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საშუალო გლეხობის ინტერესები, კერძოთ, საბჭოებში და კოოპერატივების გამგეობაში კანდიდატების წამოყენების დროს. ამ შემთხვევებში წამოყენებულ უნდა იქნეს [illegible] სამუშაო გლეხობის ინ[illegible] მოჯამაგირეე[illegible] არამედ საშუალო გლეხების კანდიდატები. არჩევნების დროს მიუღებელია ხმის მიცემა სიებით, ყოველი კანდიდატურა პერსონალურ უნდა იქნეს გარჩეული;

ე) ვინაიდან [illegible]ლია ღარიბ მოსახლეობის კრების მოწვევა სიებით და მით უმეტეს ადმინისტრატიულ ორგანოების საშუალებით, ღარიბ მოსახლეობის, კრებების მოწვევა სიებით დაშვებულ იქნეს მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც ღარიბი მოსახლეობა ნაკლებ აქტიურია. ამ დროს, სიები უნდა ასრულებდეს მხოლოდ ტეხნიკურ დამხმარე როლს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ზღუდავდეს კრების შემადგენლობას;

6) აღნიშნავს რა, რომ სათანადო ფრაქციები და უჯრედები ვერ იყენებენ საკმაოდ აქტიურ ღარიბ მოსახლეობას, რომელიც მუშაობს საბჭოებში, კოოპერაციაში, გლეხკომებში და აგრეთვე [illegible] და სხვ., ცეკას აუცილებლათ მიაჩნია ღარიბ-აქტივისტების მონაწილეობა ყველა ღია კრებების მუშაობაში, განსაკუთრებით, იმ საკითხების წინასწარ განხილვისას, რომლებიც დაკავშირებული არიან ღარიბ მოსახლეობას შორის მუშაობის საკითხთან.

7) აღნიშნავს რა, რომ ადგილებზე ხშირად არ ესმით ღარიბ მოსახლეობას შორის მუშაობის მნიშვნელობა, განსაკუთრებით, ღარიბ მოსახლეობის ჯგუფების ორგანიზაციის საქმეში, რის გამო ეს მუშაობა აქამდის ძლიერ სუსტად სწარმოებს, ცეკა წინადადებას იძლევა უფრო გადაჭრით და ენერგიულად წარმოებულ იქნეს ღარიბ მოსახლეობის ჯგუფების მოწყობა. ეს ჯგუფები უნდა მოეწყოს იმ სოფლებში, რომლებშიაც არის უჯრედი ან თემკომი.

ღარიბ მოსახლეობის ჯგუფები უნდა შეიქმნას საბჭოების, კოოპერაციის გამგეობებთან და გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებებთან, ხსენებულ ორგანოების წევრთა—ღარიბ გლეხობის, მოჯამაგირეების—შემადგენლობით სოფლის ღარიბი ფენების ინტერესების უზრუნველსაყოფად ამ ორგანიზაციების მუშაობაში. ღარიბ მოსახლეობის ჯგუფების მუშაობა მჭიდროთ დაკავშირებული უნდა იქნეს სათანადო ორგანიზაციების პარტიულ ფრაქციების მუშაობასთან. ცეკას საჭიროდ მიაჩნია ღარიბ მოსახლეობის ჯგუფების გამოცდილების ზედმიწევნით შესწავლა და სასტიკი ბრძოლის წარმოება ჯგუფების მუშაობის ყოველგვარი გადამახინჯების წინააღმდეგ.

8) აღნიშნავს რა, რომ ადგილებზე ხშირად ცდილობენ ღარიბ მოსახლეობას შორის მუშაობის ხელმძღვანელობა დააკისრონ სპეციალურად გამოყოფილ პარტკომის განყოფილებებს ან კომისიებს, ან კიდევ გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტებს, ცეკა ასეთ ბიჯს შემცდარათ სთვლის და წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს ზომები პარტორგანიზაციის მხრივ ამ მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად.

ჟურნალისტის წერილები

ქართული მენშევიზმი და მისი სოციალური საფუძვლები *)

ქართული მენშევიზმის სოციალური ბაზა

„ქართულ პრესა“-ში 1900 წ. ნ. ჟორდანია სწერდა: „არავის არ ჰგონია თავის თავი ისე, როგორც არის, ყოველთვის გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ და ამიტომ თავის თავის დაფასება და გარჩევა ასე ძნელია...“ (გვ. 113).

ყველაზე უფრო შეიძლება ითქვას ეს ქართულ მენშევიზმზე. ამ პარტიას თავი ასპროცენტიან მარქსისტად მოჰქონდა. არსებითად ეს ასე არ არის. მარქსიზმს ამ პარტიამ თავისი წვრილბურჟუაზიული სათვალეებით შეხედა და მარქსიზმიდან მოინდომა გამოეკერა ისეთი მოძღვრება, რომელიც ყველაზე უფრო ეგუებოდა ამ წვრილ ბურჟუაზიის ინტერესებს. მარქსიზმიდან მან შეითვისა დემოკრატიზმი, კაპიტალისტური ეკონომიკის უარყოფითი მხარეების „კრიტიკა“, მაგრამ მას სრულიად გაუგებარი დარჩა კლასთა ბრძოლის პრინციპი და მარქსიზმის მთელი რევოლიუციონური სისტემა. როგორც ლეგალურმა მარქსიზმმა რუსეთში (90-იან წლებში) მარქსიზმიდან მიიღო ის, რაც ბურჟუაზიული წყობილებისათვის სასარგებლოდ მიაჩნდა, ხოლო უკუაგდო ის, რაც საზარალო და დამღუპველი იყო იმავე ბურჟუაზიისათვის, ისე მენშევიკური წვრილი ბურჟუაზიაც საქართველოში თავის წვრილ ბურჟუაზიული სარგებლიანობის საზომით მიუდგა მას. მაგრამ მარქსიზმი მთლიანი სისტემა არის, მისი სოციალური დებულებანი და რევოლიუციონური სისტემა განუყრელი რგოლებით არის ერთმანეთზე გადაბმული. როდესაც ამ მოძღვრებიდან იღებთ მხოლოდ ნაწილს, ამით მთელ სისტემას ამახინჯებთ. მენშევიზმი იღებს მხოლოდ ნაწილს ამ მოძღვრებიდან, ხოლო დანარჩენს ავსებს თავისი წვრილ ბურჟუაზიული არსენალიდან.

ამ თავში ჩვენ უმთავრესად ვეხებით 90-იან წლებში დაწერილ წერილებს. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი მომავალ ქართულ მენშევიზმსაც, რაც შემდეგ გარკვეულ სისტემაში ჩამოყალიბდა.

1905 წელში **ნ. ჟორდანია სწერდა:**

„ჩვეულებრივად ჰგონიათ, რომ რაკი ჩვენსკენ ამდენი სხვადასხვა ხალხი მოდის—ალბად ძლიერი ვართო: ეს შეხედულება მართალიც არის და შემცდარიც, იმის და მიხედვით, თუ როგორი თვალით შევხედავთ სოციალ-დემოკრატიას. თუ მას შევხედავთ დემოკრატიის თვალით, დავინახავთ, რომ ის ძლიერია, წინააღმდეგ შემთხვევაში დემოკრატიული კლასები ჩვენსკენ არ მოვიდოდენ; თუ მას შევხედავთ სოციალ-დემოკრატიული თვალით, ის სუსტია, უამისოდ წვრილი ბურჟუაზია არ გაეკარებოდა. ესენი პარტიაში შემოდიან როგორც დემოკრატები. მათთვის ჩვენ ვართ უბრალო დემოკრატები და სურთ ჩვენი პარტია იარაღად მოიხმარონ თავისი მიზნის მისაღწევად. ისინი კი არ იარიან ჩვენი იარაღი, ისინი კი არ ითვისებენ ჩვენს პროგრამას, არამედ ჩვენ ვართ მათი იარაღი და ვებრძვით მათ სასარგებლო ბურჟუაზიის თავისუფლების დასამყარებლად; ჩვენ რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა გვეწარმოებია, ჩვენში სოციალისტური სახე აშკარად გამოგვეჩინა და მათ ეს დაენახათ—უეჭველია, ჩვენსკენ არ წამოვიდოდენ და ჩვენი დროშის ქვეშ არ დადგებოდენ, მათთვის ჩვენი წითელი დროშა ნიშნავს არა კერძო საკუთრების მოსპობას, არამედ კერძო საკუთრების გადიდებას, და ამიტომ ასე აღტაცებით აფრიალებენ მას წარა-მარა.

ევროპის სოციალ-დემოკრატიას იმდენი გავლენა აქვს ბურჟუაზიაზე, რამდენიც ჩვენ გვაქვს. მაგ. ქუთაისის სოციალ-დემოკრატიამ მთელი ქალაქის გაფიცვა მოახდინა, რაც არ შეუძლია არც ბერლინის და არც პარიზის სოციალ-დემოკრატიას.

მაგრა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქუთაისის სოციალ-დემოკრატია ბერლინისაზე უფრო ძლიერია, სრულიადაც არა, ეს ნიშნავს იმას, რომ იქ არის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, აქ კი ბურჟუაზიის სასარგებლოდ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“. (ხაზი ჩვენია*).

ასე სწერდა ნოე ჟორდანია, როდესაც იგი მენშევიკური „მემარცხენეობის“ სენით იყო შეპყრობილი. რასაკვირველია, წვრილ - ბურჟუაზიულ ელემენტებს ფართეთ გაუღო ჩვენში სოციალ-დემოკრატიის კარები იმ ორგანიზაციულმა პრინციპმა, რომელმაც მეორე ყრილობაზე (1903 წ.) ჰპოვა გამარჯვება, ხოლო ამ წვრილ - ბურჟუაზიული მასების მომხიბლავ ლოზუნგად გადაიქცა ის პლატფორმა, რომელიც იმავე ავტორმა წამოაყენა 90-იან წლებში. მე ბოდიშს მოვიხდი მკითხველის წინაშე, თუ აქ მოვიყვან ვრცელ ციტატს მისი წიგნიდან.

1900 წ. ნოე ჟორდანია სწერდა:

„რას შეიცავს ეს მიმდინარეობა. ის შეიცავს ერთნაირად სამოქალაქო მიმდინარეობას. ქართველობა უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში სწრაფად ჩაება თანამედროვე მოქალაქეობრიობაში და რაც დრო მიდის, მით უფრო ის მაგრდება ამ გზაზე და რადგანაც ბურჯი ახლანდელი ცხოვრებისა მოქალაქეობაა, ამისათვის გაქალაქებული საქართველო ბურჯია ჩვენი მერმისის. ამ სახით თვით ცხოვრებამ დაჰყო ქართველობა ორ ნაწილად: მოწინავე, ე.ი. მოქალაქეობის გზაზე გამოსული და უკან ჩამორჩენილი, ე. ი. ჯერ კიდევ პატრიარქალურ პირობებში ჩამორჩენილი, პირველი არის ჩვენი ერის ახალი ხალხი, და ახალი პრესაც აქ უნდა ეძებდეს თავის ნიადაგს.

ვისგან შესდგება ეს ახალი ხალხი. აქ შევლ ყოვლისა წოდებითი (არ) არიან. დანაწილება სწარმოებს თანახმად ხელობისა და არა შთამომავლობისა. გუშინდელი ნაყმები და ნაბატონარი დღეს, ერთი ხელობით ცხოვრობენ, ერთ პირობებში არსებობენ, ერთ რაზმს, ერთ საზოგადოებას შეადგენენ. აქ უნდა იკითხოთ არა გლეხი ხარ თუ აზნაური, არამედ რა ხელობის და შეძლების ხარო. ეს არის შეურყეველი საძირკველი ევროპიული მოქალაქეობისა. აშკარაა, რომ ჩვენ შევიქმნებით მომხრედ რომელიმე წინანდელი წოდების და მაშასადამე ვერც მოწინააღმდეგე. გლეხობა, რომელსაც ასე გულმხურვალედ ესარჩლებოდა „დროება“, თავად-აზნაურობა, რომელსაც ასე ესარჩლება „ივერია“, დღეს შეურყეველ და კარჩაკეტილ წოდებებს აღარ წარმოადგენენ. იმათ უკვე მოგვეცეს მოქალაქეობის ელემენტები: ამ ელემენტების გადადუღებით და შეერთება დანიშნულებით მუშავდება ჩვენში მერმისი. რაკი ეს ახალი ელემენტები ამზადებენ ჩვენს მერმისს, ცხადია, პრესა, რომელიც აქ ეძებს ნიადაგს, არის პრესა მერმისის. ერთი სიტყვით, ქართველობის ის ნაწილი, რომელიც სამოქალაქო ასპარეზზეა გამოსული და ილტვის თანამედროვე საშუალებებით (განათლება, ალებ-მიცემობა, ხელოსნობა, შავი მუშაობა და სხვადასხვა) თავი ირჩინოს, არის ახალი ქართველობაც და ახალი მწერლობაც მათი მიდრეკილების გამომხატველი უნდა იყოს. ის პირობები, რომლებშიაც ამათ უხდებათ მოღვაწეობა, ძალიან რთულია და დახლართული; ამისათვის ამ პირობების შეგნება და გათვალისწინება მისცემს მათ უძლიერეს იარაღს არსებობისათვის ბრძოლა გაუადვილოს და მით ის კულტურულად აღამაღლოს. თავისთავად ცხადია, რომ ამ ახალი ქართველობის დიდი უმრავლესობა სუსტია შეძლებით და შეუგნებელია გონებით (მუშა, ხელოსანი, და სხვა წვრილი შეძლების პატრონნი) იმას, როგორც ეს ახლად აღორძინებულს შეფერის, ჯერ კიდევ დიდი შრომა და მეცადინეობა ესაჭიროება, რომ შეიქნეს დღევანდელ ვითარების გაგებული შვილი. ის ამ გზაზე უკვე შესდგა და მარდათ მიექანება. საჭიროა მეთაურობა და ალაგს გაფრთხილება, რომ სადმე არ ჩაიჩეხოს. ასეთი მეთაურობა უნდა იკისროს ახალმა პრესამ. პრესის მოვალეობა ამ მომავალ ქარავანს გზა გაუნათოს, ყოველივე დამაბრკოლებელი ზღუდეები დაუნგრიოს და თავისუფალ სამოძრაო კალაპოტის მოპოებაში დაეხმაროს.

მაშასადამე ჩვენი ერის მოწინავე ხალხის თანდათანი განვითარება, გაცნობიერება, დაბალი საფეხურიდან მაღლა ამოყვანა და შეგნებულ რაზმად გადაქცევა—აი რას უნდა ელტვოდეს მწერლობა, აი მისი დროშა. ეს ერთიანად დემოკრატიის მოძრაობაა და მისი წინამძღოლი პრესაც დემოკრატიულია, ამ სახით, ახალი პრესის ერთად ერთი მიზანია ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩვენ მოქალაქეობრივ განვითარებას და დაეხმაროს ხალხს, ამ განვითარებაში შეგნებული მონაწილეობა მიიღოს, ეს არის მისი რეალური ნიადაგი. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია კრიტიკა პირუთვნელი, აზრი ახალი სიტყვა მჭრელი—ეს არის მისი იდეური ლტოლვილება“. (ხაზი ჩვენია).

ეს წიგნი დასწერა ნ. ჟორდანიამ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შვიდი წლის შემდეგ. ამ ხანაში იგი არა მარტო დავაჟკაცებული პუბლიცისტია, არამედ სახელ მოხვეჭილიც. მაგრამ დიოგენის ფარნით რომ ეძიოთ ზემოდ მოყვანილი ციტატაში, ვერ იპოვით მარქსიზმის რევოლიუციონური სისტემის მთავარ დებულებებს; არა მარტო ამ ციტატაში, არამედ მთელ წიგნში. მოყვანილ ციტატაში ავტორი აყენებს მთელ სოციალოგიურ კონცეპციას ქართველი საზოგადოებრივი განვითარების შესახებ, ქართული ეკონომიკის წარმატებაზე და უკვე მომქმედ ჯგუფის სამოღვაწეო პლატფორმას. რომელ კლასს ეყრდნობა ნ. ჟორდანია? მთლიანად აღებულ მოქალაქეს. მისთვის სოფელი და ქალაქი დაშორდა ერთმანეთს, პირველი რეაქციონურია თავისი ყოფით, მეორე კი პროგრესიული; სოციალ - დემოკრატიის დასაყრდნობ ბაზად უნდა გადაიქცეს მეორე. ხოლო უნდა უკუ აგდოს პირველი. მაგრამ ასეთი პლატფორმის წამოყენების დროს ნ. ჟორდანიას გამოეპარა ერთი რამ — **კლასთა ბრძოლის პრინციპი და პროლეტარული თვალსაზრისი...არსებითად ნ. ჟორდანიას 1900 წლის პლატფორმა არის პროგრესიული წვრილ-ბურჟუაზიის დემოკრატიული პლატფორმა.**

რომ მკითხველისათვის ნათელი გახდეს სწორი მარქსისტული მიდგომა საკითხისადმი, ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ ციტატას **ნ. ლენინის** ერთი წერილიდან, რომელიც დაწერილი არის 1896 წელს. ნ. ჟორდანიასა და ნ. ლენინის ციტატების შედარებით მკითხველი აშკარად დაინახავს დიდ განსხვავებას წვრილ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და მარქსისტულ პროლეტარულ პროგრამათა შორის.

ლენინი სწერდა:

„სოციალ-დემოკრატების პრაქტიკული მოღვაწეობა, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავს ხელმძღვანელობა გაუწიოს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას და ორგანიზაციულად მოაწყოს ამ ბრძოლის ორგვარი გამოხატულება: სოციალისტური (კაპიტალისტების კლასის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა, რომელიც მისწრაფვის კლასობრივი წესწყობილების დანგრევისა და სოციალისტური მთავრობის ორგანიზაციისაკენ) და დემოკრატიული (აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა, რომელიც სცდილობს, რომ რუსეთისთვის პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვოს და რუსეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესწყობილების დემოკრატიზაცია მოახდინოს). რუსის სოციალ-დემოკრატებს დიდძალი საქმე აქვს გასაკეთებელი გამოფხიზლებული პროლეტარიატის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, მუშათა მოძრაობის ორგანიზაციისა, რევოლიუციონურ ჯგუფების და მათი ურთიერთობის განმტკიცებისა, მუშებისთვის საპროპაგანდო და საგიტაციო ლიტერატურის მიწოდებისა, მთელ რუსეთში გაფანტულ მუშათა წრეებისა და სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფების მთლიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიათ გაერთიანების მხრით“, („Задачи русских социал-демократов“).

ხოლო უფრო ადრე, 24 წლის ლენინი თავის პირველ სერიოზულ შრომაში შემდეგს ამბობდა:

„როდესაც მისი (მუშათა კლასის) მოწინავე წარმომადგენელნი შეითვისებენ მეცნიერულ სოციალიზმის იდეას, იდეას რუსეთის მუშების ისტორიული როლის შესახებ, როდესაც ეს იდეები ფართოთ გავრცელდებიან და მუშათა შორის შეიქმნებიან მტკიცე ორგანიზაციები, რომელნიც ახლანდელ მუშათა დაქსაქსულს ეკონომიურ ბრძოლას შეგნებულ კლასიურ ბრძოლად გარდაქმნიან,— **მაშინ რუსეთის მუშა, ჩაუდგება სათავეში რა ყოველ დემოკრატიულ ელემენტებს, დასცემს აბსოლიუტიზმს და წაიყვანს რუს პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად) აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით გამარჯვების მომგვრელ კომუნისტურ რევოლიუციისაკენ“*).**

ეს ციტატები ნათელყოფენ მათი ავტორთა სოციალურ შეხედულებას: ლენინი ორივე ფეხებით პროლეტარიატის ნიადაგზე სდგას და კლასთა ბრძოლის საზომით სჭვრეტს მოვლენებს, ნ. ჟორდანია მთლიანად აღებულ „მოქალაქის“ ნიადაგს ეყრდნობა. პირველი პროლეტარიატის ჰეგემონიას მოითხოვს სხვა დემოკრატიულ მასაზე, მეორე—პროლეტარიატის გათქვეფას მოქალაქის ჭრელ მასაში; პირველი პროლეტარული პარტიის შექმნას მოითხოვს, მეორე—ფართო დემოკრატიული მასების დარაზმვას; პირველი არჩევს პროლეტარიატის შორეულ (სოციალიზმი) და ახლო (დემოკრატიული) ამოცანებს და პროლეტარიატის შესაფერის პროგრამას აყენებს ორივე მომენტისათვის; მეორე — დემოკრატიული ლოზუნგებით კმაყოფილდება. ერთი სიტყვით, პირველი პროლეტარული - მარქსისტული საზომით იხილავს ამოცანებს, მეორე ფართო დემოკრატიის თვალთახედვით: პირველი პროლეტარიატის იდეოლოგია, მეორე კი—წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატიის.

ამ წვრილ დემოკრატიულ თვალსაზრისზე სდგას ნ. ჟორდანია სხვა კითხვების განხილვის დროსაც.

ავიღოთ მაგალითად **ეროვნული საკითხი:**

ეროვნული საკითხი ჩვენში განსაკუთრებით წამოიჭრა მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებიდან, როდესაც ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ჰორიზონტზე ფეხი შესდგა ახალმა პოლიტიკურმა მიმდინარეობამ ქართული ლიბერალიზმის სახით. ეს იყო მიმდინარეობა ნახევრად თავად-აზნაურული და ნახევრად ბურჟუაზიული; უკეთ ქართული ლიბერალიზმის დოქტრინა ავსებული იყო თავად-აზნაურული მემარცხენეობისა და ბურჟუაზიული აზროვნების პროგრესიული შინაარსით. ლიბერალიზმმა ცხოვრების ზეგავლენით ახალ ნიადაგზე წამოაყენა საქართველოს ეროვნული საკითხი. ეს საკითხი ცენტრალურ პრობლემად გადაიქცა მე-19 საუკუნის ჩვენი მოაზროვნე თაობისათვის: მან დალორნა ჩვენი პოეზია, დატვირთა მძიმე მოვალეობით ჩვენი პუბლიცისტიკა, შებორკა ჩვენი აზროვნება, დააჭლექიანა ჩვენი ინტელიგენცია.

ასეთს ატმოსფერაში ამოძრავდა ჩვენი წვრილი ბურჟუაზია და გამოვიდა სამოღვაწეოდ. შეეძლო მას არ განეცადა „ეროვნული ჰიპნოზის“ ზეგავლენა? რასაკვირველია, არ შეეძლო. ჩვენ უკვე ვიცით ნ. ჟორდანიას პირველი **ნაციონალ-დემოკრატიული პროექტი.** ამ პროექტის უარყოფის შემდეგ დაიწერა 1892 წელს, ხოლო შემდეგ შესწორებული და შევსებული დაიბეჭდა 1894 წ., მისივე პირველი სერიოზული შრომა: „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“. ეს წერილი გაჟღენთილი არის ნაციონალისტური კონცეპციებით. რომ ჩვენი წერილი არ დაიტვირთოს ზედმეტი ციტატებით, ჩვენ შევეცდებით მხოლოდ რამოდენიმე დამახასიათებელი ადგილი მოვიყვანოთ ნ. ჟორდანიის პირველი პერიოდის მოღვაწეობიდან. ზემოდ დასახელებულ წერილში ის სწერდა:

„ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის თავს ერთ ერად, ჭირში და ლხინში განუყრელად, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე“-ზე და ამას შეგნებულად იცავს. მაგ. ფრანგები, არისტოკრატი იყო თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნების საქმეში ყოველთვის სრულ ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისა და გულის თქმისას. **თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაულალავად ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთად დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისათვის თავსა სდებენ, როცა მათ ეროვნულ თვითარსებობას განსაცდელი რამ მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილდება და ქვეყანას აღგვას უპირებს. ამ შემთხვევაში ივიწყებს დროებით ერთსულობა და ერთი მეორეს დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნების არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით.** (ხაზი ჩვენია)*).

მეორე თავის წერილში (1895 წ.) იგივე ნ. ჟორდანია უფრო ნათლად სწერს შემდეგს:

„... იმავე კაპიტალიზმმა დაჰყო ერი ორ ნაწილად: მდიდარი და ღარიბი, მესაკუთრე და ბოგანო, ბურჟუაზია და მუშა, აღორძინა სოციალური განხეთქილება, დაბადა კლასთა ბრძოლა, გამოიწვია მუშა ხალხი საპოლიტიკო ასპარეზზე და მით გათხარა თავის სამარე. **ამგვარად ეკონომიურ განვითარებას თან მოსდევს ერის ერთობა იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან მთელი ერის პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე ეროვნული) და ერის დაყოფა იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან მის შემადგენელ ნაწილების პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე პოლიტიკო-სოციალური). ერი ერთდება, იმავე დროს იყოფა. სხვადსხვაობა ერთობაში, ერთობა სხვადასხვაობაში. თანხმობა განხეთქილებაში, განხეთქილება თანხმობაში“.** (ხაზი ჩვენია)*).

აქ არის წამოყენებული ლიბერალური სოციალ - პატრიოტიზმის და სოციალ-შოვინიზმის კონცეპციის ძირითადი დებულებანი. ვინ არ იცის, რომ მარქსი და ენგელსი **კომუნისტურ მანიფესტში** შემდეგ სოციალურ დებულებებს აყენებდენ: **ყველა დღემდე არსებულ საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია.** წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი გვასწავლის: საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაც არის და კლასთა შეთანხმების, თანამშრომლობისა. ისტორიაში ხდება სხვადასხვაობა ერთობაში და ერთობა სხვადასხვაობაში.

თუ ეროვნული საკითხის წამოყენების ისტორიას განვიხილავთ ჩვენში, დავინახავთ შემდეგს: ლიბერალურ, თავად-აზნაურულ მიმდინარეობისათვის არ არსებობდა ჩვენში კლასები, კლასიური წინააღმდეგობა, არსებობდა მხოლოდ ეროვნული ერთიანობა—აქედან ამ მიმდინარეობის წარმომადგენლის **ილ. ჭავჭავაძის** პოლიტიკას შეადგენდა: „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან. **სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზე უსაჭიროესი არა აქვს ახლანდელ შვილს. ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს“.****) ამრიგად ი. ჭავჭავაძის პოლიტიკა იყო კლასთა ბრძოლის ხელის წაფარება და ეროვნულ მთლიანობის წამოყენება. ხოლო ამ მთლიანობაში უმთავრესად იგულისხმება თავად - აზნაურობის ინტერესები, დაცვა არსებული წყობილებისა და ეკონომიური ურთიერთობის. ნაროდნიკული მიმდინარეობაც უარყოფდა კლასების არსებობას ჩვენში. იგიც ეროვნული მთლიანობის პროგრამას აყენებდა, ხოლო მის მატარებლად ინტელიგენცია და გლეხობა მიაჩნდა. ამ მხრივ ნ. ჟორდანიამ ბევრად წინ წარსდგა ფეხი, მან ეროვნულ მთლიანობასთან ერთად კლასებიც დაინახა; ეროვნულ მთლიანობის მომენტთან ერთად ეროვნული განვითარების ფაქტორებიც აღნიშნა. პირველთათვის არსებობდა ეროვნული მთლიანობა და არ არსებობდენ კლასები, ნ. ჟორდანიასათვის არსებობს ერთიცა და მეორეც.

ასეთი არის წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის კონცეპცია ეროვნულ საკითხში. ამგვარი სახით წამოყენება ეროვნულ კითხვისა პროგრესიული იყო ჩვენი ცხოვრების მაშინდელი პირობებისათვის, მაგრამ მარქსიზმის სოციოლოგიურ დებულებებიდან იგი მაინც შორს იდგა.

ამრიგად ნ. ჟორდანიას და მთელი მისი მიმდინარეობის პოლიტიკის მთავარ საფუძვლებს წარმოადგენს დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი. ამაში გამოიხატება წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია. აი, ამ ძირეულ ფუძეებზე აგო და დამთავრებულ სისტემაში ჩამოყალიბდა შემდეგში ქართული მენშევიზმი. ამ იდეოლოგიის არსენალიდან განდევნილი არის მარქსიზმის რევოლიუციონური მხარეები, მისი რევოლიუციონური სისტემა: კლასთა ბრძოლის პრინციპი, პროლეტარიატის დიქტატურა და სხვა. სამაგიეროდ მარქსიზმის ეკონომიური კონცეპცია გამოსადეგი შეიქნა წვრილ ბურჟუაზიისათვის და მისი ინტელიგენციისათვის. თავისი ძირითადი დებულებანი: დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი ინტელიგენციამ შეუთანხმა მარქსის ეკონომიურ კონცეპციას, „შეადუღა“ ერთს სისტემაში და გამოახვია იგი მარქსიზმის ქურქში და ასე ნიღაბაფარებული გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და მაშინდელ პირობებისათვის ნაყოფიერი ბრძოლა გააჩაღა უკვე დრომოჭმულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. მაგრამ ეს ახლად მოვლენილი პროგრესიული მიმდინარეობა ფორმალურად მარქსიზმის ნიღაბს ატარებდა, სული კი წვრილბურჟუაზიული ჰქონდა. ასეთი იყო ამ მიმდინარეობის ნამდვილი სახე.

კრიტიკის მოვალეობაა, [illegible] და შინაარსი, ნიღაბი და სახე [illegible]საგან გაარჩიოს და მენშევიკური მიმდინარეობას თავისი შესაფერისი ადგილი მიაკუთვნოს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში არა მისი [illegible]ბის სიტყვიერი განცხადების მიხედვით, არამედ მისი ფაქტიური საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიხედვით სოციალურ ურთიერთობაში.

ზემოდ მოყვანილ ფაქტებიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ როგორ სოციალურ [illegible] წარმოიშვა ჩვენში მენშევიზმი და როგორი იყო მისი იდეოლოგიური საფუძვლები პირველ ხანებში.

ახლა [illegible] მენშევიკების მოღვაწეობა მათი პრაქტიკული [illegible] მიხედვით.

(დასასრული იქნება)

სიმონ ხუნდაძე.

---

*) იხ. „კომუნისტი“ №№ 145 და 146.

*) ნ. ჟორდანია—„დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია“ გვ. 19—20.

*) Ленин Собр соч т. I.

*) ნ. ჟორდანია—ტ. I გვ. 13-14 1920 წ.

*) ნ. ჟორდანია—„რჩეული ნაწერები“ გვ. 79-80, 1910 წ.

**) იხ. „ივერია“ № 5. 1881 წ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალციხის აღმასკომის პლენუმი

აწყური, 29 ივნისი. 28 ივნისს სოფელ აწყურში გაიხსნა ახალციხის სამაზრო აღმასკომის მეორე გაფართოებული პლენუმი. სხდომებს ბუარებელი გლეხობა ესწრება. გასაბჭოების დღიდან სამ. პლენუმი პირველად ახდენს თავის სხდომებს სათემო ცენტრში. დღის წესრიგში სდგას· სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმისა და აწყურის თემკომის მოხსენება, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, პრეზიდიუმის ოქმების დამტკიცება.

პირველ ხდომაზე პრეზიდიუმის წევრები ეცნობიან ადგილობრივ დაწესებულებათა მდგომარეობას და გლეხთა განცხადებებს.

აჭარისტანში

აჭარისტანის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ბათომი, 29 ივნისი. 27 ივნისს, საღამოს გაიხსნა საქართველოს კომპარტიის აჭარისტანის საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, სამაზრო კომიტეტების მდივნების თანდასწრებით.

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: აჭარისტანის მრეწველობის მდგომარეობა; პროფკავშირების მუშაობა და ხელფასის პოლიტიკა; კოოპერაციის გასაჯანსაღებელ ღონისძიებათა შესახებ; მიწათმოწყობის მუშაობა; მომჭირნეობისათვის მებრძოლი კომისიის მოხსენება, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და სხვა.

წერილები

რას ითხოვს საჩინოს რაიონი

საჩინო მდებარეობს ქუთაისის სამხრეთით, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე და დაცილებულია ქუთაისიდან 25 ვერსით. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოს არა აქვს ბუნებრივათ ისეთი მდიდარი კუთხე, როგორიც საჩინოა. ეს კუთხე მოსახლეობით საკმაოთ მჭიდროთ არის დასახლებული. მოსახლეობა უმთავრესად სასოფლო მეურნეობას მისდევს.

სამწუხაროდ ეს მდიდარი კუთხე მოწყვეტილია ცენტრს. ის მთის შუა არის გამომწყვდეული, ხოლო ერთი მხრივ მდინარე რიონი ახლავს. ამის გამო მცხოვრებლებს არა აქვთ საშუალება სათანადო ბაზარი მოუპოვონ თავის ნაწარმოებს. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საჩინოში არის სამკურნალო აბანო, რომელიც დასავლეთ საქართველოში საკმაოდ განთქმული არის. ამ მხარის დაწინაურება და შემდეგი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული გზაზე. მოსახლეობა ძალიან მოწადინებულია, რომ საჩინოს რაიონში გაყვანილ იქნეს რკინისგზა. სათანადო შუამდგომლობა უკვე აღძრულ იქნა მთავრობის წინაშე იანვარში საჩინოს ესტუმრა საქართველოს ცაკის თავმჯდომარე, ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელმაც აღუთქვა ხალხს დახმარება.

მოსახლეობა მზად არის გაიღოს ყველაფერი, რაც კი შეუძლია, (უფასო შრომა და სხვა), ოღონდ კი შეუსრულდეს დიდი ხნის სურვილი და ნატვრა. რკინისგზის გაყვანა ააყვავებს ამ მდიდარ და მშვენიერ კუთხეს.

იმედი გვაქვს, რომ საჩინოს რკინისგზის საკითხი დღის წესრიგში დაისმება და ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა შეუდგება მის შენებას.

ე. ვაშაყმაძე.

ზარალი სეტყვისაგან

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

უკანასკნელი დიდი ავდრებისაგან და სეტყვისაგან დაზარალდა საგარეჯოში 87 დესეტ. ვენახები და ნათესი ბოსტნეულობა; ვენახები განადგურებულია ისე, რომ სამ ოთხ წელიწადს აღარას ასარგებლებს პატრონს. მარიამჯვარში დასეტყვა 24 დეს. 2.300 კვ. საჟ. ნათესები, პური, სიმინდი, ლობიო და სხვა ზარალი დიდია. ბანკის ადგილობრივ განყოფილებას აქვს შუშხუნები შეძენილი, მაგრამ გლეხობას კიდევ ვერ შეუგნია, მისი მნიშვნელობა.

გურგენიძე.

წერილებიდან

საგარეჯო (გარე-კახეთი)

მოიჯარადრე აწვალებს გლეხებს. საგარეჯოს თემში იმყოფებოდა მოიჯარადრე პლატონ სარიშვილი, რომელიც გლეხებისგან შეშას ყიდულობდა და აბარებდა თბილისის აღმასკომს, ამ ვაჟბატონმა გლეხებს მისცა შესყიდულ შეშის მხოლოდ ერთი ნაწილი, ხოლო დანარჩენს დღესაც არ იძლევა. ვინ მიიღებს ზომებს მის წინააღმდეგ?

ურანი.

(საგარეჯო გარე-კახეთი)

ვენახს ართმევს. გლეხი დათიკო ქურხული თავის ძმა ალექსის რომელიც დროებით ქალაქში ცხოვრობს და ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში მუშაობს. ყურადღებას კი არავინ აქცევს ამ საქმეს.

გველეშაპი.

საჭამიასერი (გურია)

ვინ უნდა აანაზღაუროს ის ზარალი, რომელიც საჭამიასერის ეპომ ნახა გამგეობის დაუდევრობის გამო? ზარალი კი არც ისე მცირეა. გამგეობამ ახალ გახსნილ აგურისა და კრამიტის ქარხანაში „ეკონომიის მიზნით უვიცი კაცი მოიწვია სამუშაოდ, რომელმაც აგურიც გააფუჭა და კრამიტიც.

აქაური.

კაკაბეთი (სიღნაღის მაზრა)

ჩარჩები ამუშავდნენ. წარსული წლის ივნისში ჩვენი უბანი ერთიანად გაანადგურა სეტყვამ. გლეხობა უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. მართალია, მთავრობამ აღმოუჩინა მას დახმარება, მაგრამ ის არ აღმოჩნდა საკმარისი. ამ გარემოებით ისარგებლეს ჩარჩებმა და წინ და წინ აძლიეს გლეხებს ფული მომავალ მოსავლის ანგარიშში. ამ რიგად, თითქმის მთელი სოფელი მათ ხელშია ჩავარდნილი.

ბუგეული (რაჭა)

საკუთარი ძალებით. ბუგეულის თემში გზები ძლიერ გაფუჭებულია. გლეხები თვით ჰკიდებენ ხელს მათ გაკეთებას. ამას წინად შესდგა თემის მცხოვრებთა საერთო კრება. რომელმაც ერთხმად გამოიტანა დადგენილება შეუდგეს გზების შეკეთებას. სოფელ ბუგეულსა და ბარეულს შორის გასაკეთებელია 5 საჟენიანი ხის ხიდი. მაზრიდან უკვე მოვიდა ტეხნიკოსი, რომელიც შეუდგა წინასწარ მუშაობას. მთელი სოფელი ერთსულოვნად არის მოწადინებული მო[illegible].

„მუზა“.

რაშია საქმე?

(ჭკადუაშის თემი ზუგდიდის მ.)

ჭკადუაშის სოფ. ახალგაზრდობის სკოლამ, თებერვალში აკაციის საკუთარი ტყიდან მიიღო შემოსავალი 1.500 მანეთი. სკოლის გამგეს ეს თანხა უნდა შეეტანა სახელმწიფო სალაროში. მაგრამ გამგემ (გოგოხიძემ) სახელმწიფო სალაროს გვერდი აუხვია და ხსენებული თანხა გასცა კერძო პირებზე „ნაბარის“ სახით. გაცემული თანხა სამი-ოთხი თვის განმავლობაში ტრიალშია კერძო პირების ხელში. საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გამგის საქციელმა. საზოგადოებამ არ იცის ვინ სარგებლობს ამ ფულით და რა ბედი ეწევა მას.

არ ვიცი სკოლის გამგემ ეს ბოროტი განზრახვით ჩაიდინა თუ უვიცობით.

პლატონიშვილი.

სოფ. მამკოდა (თბილისის მაზრა)

დროა შევაკეთოთ. გასულ წელს ავჭალის თემ-აღმასკომმა ს. მამკოდაში, ამავე სოფლის გლეხისაგან შეისყიდა შენობა, რომელშიაც გადაიხადა 400 მანეთი. შენობას ესაჭიროება დახურვა და შიგნით მოწყობა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ავჭალის თემ-აღმასკომს ადგილობრივად მოეპოება ზემოხსენებულ შენობის შესაკეთებელი მასალები, ის არ აკეთებს. შენობა კი ინგრევა.

გ. სიხარულიძე.

საჭამიასერი (გურია)

სამიკიტნოა თუ წითელი სასადილო. აქ იყო წითელი სასადილო „ქალთა კავშირი“, რომელიც დელეგატ-ქალების მიერ იქნა გახსნილი. ქალებმა ეს სასადილო გადასცეს იჯარით კერძო პირს, რომელიც ტყავს აძრობს ხალხს. სასადილოს კი ამშვენებს წარწერა: წითელი სასადილო „ქალთა კავშირი“.

საჭამიასერელი.

ზესტაფონი

ქურდობა გახშირდა. ამ ბოლო ხანებში ქურდობამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. მიუხედავათ აღმასკომის მიერ მიღებულ ზომებისა ქურდობა მაინც გრძელდება. 19 ივნისს მდინარე ყვირილის პირას, ორი ახალგაზრდა შემთხვევით წააწყდა ქვანახშირის ნამწვავებში, ტანსაცმელით და თეთრეულით სავსე ტომრებს. როგორც გამოირკვა, ხსენებული ნივთები აქ შენახული ჰქონიათ ქურდებს. ადგილობრივ მილიციის მიერ ეჭვით შეპყრობილ იქნა ორი ახალგაზრდა. რომლებიც ქურდობაში გამოტყდნენ. ნაპოვნი ნივთები მპოვნელებმა სახლში წაიღეს. ნაწილი ამ ნივთებისა მათ წარადგინეს ადგილობრივ მილიციის სამმართველოში, ხოლო ნაწილი კი გადამალეს.

მილიციამ უნდა მიიღოს ზომები გადამალულ ნივთების აღმოსაჩენად და ჩამოსართმევად.

დაზარალებული.

საგარეჯო (გარე-კახეთი)

წყალსადენი გაფუჭდა. ს. გიორგწმინდის წყალსადენის შეკეთებას არაფერი არ ეშველა. ის სავსებით მინგრეულ-მონგრეულია. ავდარში ნიაღვარი შევარდება ხოლმე აუზში და ამღვრევს წყალს. არ არის აგრეთვე საკმარისი ონკანების არსებული რაოდენობა.

ურანი.

კაკაბეთი (სიღნაღის მაზრა)

თემის მცხოვრებთა საზოგადო კრების დადგენილება თბილისის მაზრაზე მიწერის შესახებ სათანადო შუამდგომლობით გადაეცა საქართველოს ცაკს.

მოკეთე.

სურები (გურია)

ქურდების შეპყრობა. 10 ივნისს, ღამის 2 ს. ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს ზემოსურების მთლიანი მომხ. საზ. „საუნჯე“-ს მაღაზია, საიდანაც წაიღეს ას ოცდა ათი მანეთის საქონელი. ქურდები აღმოჩენილ იქნენ. საქონელი ჯერ-ჯერობით არ არის ნახული.

13 ივნისს ზემოსურების თემში მოვაჭრე ივანე რამიშვილის დუქნიდან, ღამის 2 საათზე გაიტანეს ოთხასი (400) მანეთის საქონელი. ქურდი, ადგილობრივი მცხოვრები ჯიმშეთი ონისიმესძე სანიკიძე, როდესაც მას აღმოუჩინეს მოპარული ნივთები დანაშაულში გამოტყდა. დამნაშავე შეპყრობილია.

მ. კიკვაძე.

სოფლის ქრონიკა

— სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გლეხების ექსკურსიის გამოსაგზავნათ სახალხო კომისართა საბჭომ გადადო შესაფერი თანხა.

— აჭარის-წყალის ჰიდროელსადგურის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარეთ დაინიშნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მემედ გოგიბერიძე.

— ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა თემსოფლების აღმასკომი ჩააბას ნათესების ზედამხედველობის და მოვლის საქმეში.

— ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა თანამდებობიდან გადააყენა ჯვარის თემაღმასკომის თავმჯდომარე ქირავა.

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. ზუგდიდის აღმასკომი შეუდგა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ობიექტთა აღწერას.

მუშათა ცხოვრება

მასიური შვებულება

კოლოფების ქარხნის მუშები 6 ივლისიდან, მთლიანად იგზავნებიან ერთი თვით შვებულებაში. ქარხანას ამ ხნის განმავლობაში გაუკეთდება რემონტი. ამავე ქარხნის მუშების საგრძნობი რიცხვი იგზავნება როგორც დასასვენებელ სახლებში, აგრეთვე საავარაკოდაც. ასე მძიმე შრომის შემდეგ ვემზადებით დასასვენებლად და ძალღონის აღსადგენად წმინდა ჰაერზე, ბუნების წიაღში. მუშების ასეთი უფლებებით აღჭურვა შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას.

ჩვენი მუშების სიხარული განუსაზღვრელია.

მუშკორი მეკოლოფე.

უნდა ვაწარმოოთ დაუნდობელი ბრძოლა „მკლავაძეობასთან“

მუშტი-კრივი, ჩხუბი, ლანძღვა-გინება, უდიერობა, სხვისადმი უხეში მოპყრობა, ყბედობა და სხვა ადამიანის დამამცირებელი და შემარცხვენელი ჩვეულება. მით უფრო დაუშვებელია ასეთი მოვლენები ფაბრიკა-ქარხნებში, მუშებს შორის, სადაც ყოველი წუთი ძვირფასია ჩვენი წარმოებისათვის, სადაც შრომის დისციპლინა და მუშათა შორის სოლიდარული და მეგობრული განწყობილება უნდა იდგეს უაღრეს სიმაღლეზე.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი წამოწყებების მუშებმა ურთი-ერთ შორის ჩხუბი, დავიდარაბა, ცემა-ტყეპა თითქმის ზნეჩვეულებად გადააქციეს. მაგ. რამოდენიმე ხნის წინეთ ტყავის ქარხანა № 1-ის 12-მდე მუშები დაესიენ ერთმანეთს და ერთი-მეორეს ცხვირპირი დაუსისხლიანეს. ასეთივე საზიზღარ მოვლენას ჰქონდა ადგილი გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკაში; მთავარ სახელოსნოს სადურგლო საამქროშიც მეტად სპეტაკ და კეთილ-სინდისიერ მომუშავეს, მუშა-დურგალს ამხ. ჯომარჯიძეს მუშაობის დროზე სრულიად უდანაშაულოდ გაარტყა სახეზე იქაურმა ბრიგადერმა მოქ. დოცენკომ.

სხვაგანაც აქვს ადგილი ასეთ შეუწყნარებელ მკლავაძეობა-უხეშობას. ყველა მათი ჩამოთვლა აქ არც კია საჭირო. საჭიროა მხოლოდ ყველა ასეთ შემარცხვენელ და საზარალო მოვლენებთან სასტიკი ბრძოლა, ვინაიდან ისინი ხელს უშლიან ჩვენი წარმოების ნორმალურ და მყუდრო მუშაობას. ცდება რამოდენიმე მუშა-ხელი ამ მკლავაძეობაში. სხვა პატიოსან მუშებსაც აცდენენ ეს მკლავაძეები მუშაობიდან; ისინი აგრცელებენ აყალ-მაყალს და სხვადასხვა პროვოკაციულ ჭორებს ერთი-მეორეზე.

ეს ყველაფერი მეტად საზიანოა ჩვენი წარმოებისათვის და მათ უნდა მოეღოს ბოლო ერთხელ და სამუდამოდ.

მკლავაძეებისაგან უნდა გაიცოცხოს და გაიწმინდოს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები.

ამ საკითხის მოგვარება, უპირველეს ყოვლისა, მართებთ თაბქარხკომებს, ადგილკომებს და კულტ-კომისიებს. პირველებმა უნდა აწარმოონ მათთან ენერგიული ბრძოლა პროფესიონალური ხაზით. შრომის დისციპლინის დამრღვევისათვის და კავშირის წევრის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის ყველა მკლავაძეების კავშირის წევრობიდან გამორიცხვით და სასამართლოს წესით პასუხისგებაში მიცემით.

კულტკომისიებმა კი უნდა გააძლიერონ კულტმუშაობა მუშათა მასაში, განამტკიცონ მათ შორის შეგნება, ადამიანობა და გრძნობათა სიფაქიზე და სხვ.

სამუშაო დღე მთლიანად უნდა მოხმარდეს ჩვენი წარმოების აღდგინა-აყვავების საქმის და არა მკლავაძეობას. ის მუშა, ვინც ამას სჩადის ნებსით თუ უნებლიეთ, წარმოების აღდგინის მტერია და იქიდან უნდა იქნეს განდევნილი, როგორც ხულიგანი და მავნე პირი.

ლვედი.

მუშების ჯანმრთელობა უნდა დაიცვათ

პოლიგრაფ-ტრესტის ასოთ-ჩამოსასხმელი ქარხნის მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიან ქარხნის სივიწროვის და ანტისანიტარულ მდგომარეობის გამო. თითქმის მუდამ დღე წინეთ დაიარებოდენ ინჟინერები, ტეხნიკები და ექიმები, რომ ქარხანა გაეფართოებიათ. მაგრამ გავიდა თვეები, წლეები და ქარხანას არაფერი ეშველა.

როცა მუშები ეკითხებოდენ გამგეს: რატომ არ აფართოებთ ქარხანას რომ ცოტათი მაინც ავიცილოთ ავადმყოფობაო, გამგე ასე გვიპასუხებდა: „ტრესტს ფული არ აქვს, შემდეგ საზღვარ-გარეთიდან მალე ახალ მანქანებს მივიღებთ და მაშინ დავიწყებთ ქარხნის გაფართოებასო“.

ჩვენ უკვე მანქანები მივიღეთ, მაგრამ საუბედუროდ ისინი აივანზე ჰყრია, ქარხნის სივიწროვის გამო და ეს საჭირბოროტო კითხვა ისევ გაიყინა. ჩვენი ქარხანა, სრულებით წააგავს თავლას და არა ქარხანას. სანამ პოლიგრაფ-ტრესტი ქარხანას გააფართოებდეს, მანამდის ჩვენი მუშები შრომის უნარს დაჰკარგავენ. ეხლაც კი არ მოიპოვება ჩვენ ქარხანაში არც ერთი ისეთი მუშა, რომელსაც არ ჰქონდეს ფილტვებში გამჯდარი ტუბერკულიოზი.

პოლიგრაფ-ტრესტის დირექცია რას ფიქრობს ამაზე?

გააფართოვეთ ქარხანა, რომ მუშებ. ცოტათი მაინც შეამცირონ ავადმყოფობა ამ ტყვიის მომწამლავ გაზით გაჟღენთილი ჰაერისაგან.

ძველი ასოთ-ჩამომსხმელი ვ. სხირტლაძე.

ჩვენი ფაბკომის მუშაობა

კოლოფების ფაბრიკა „ინტერნაციონალში“ რამოდენი ხნის წინეთ შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო [illegible]90 მუშა-მოსამსახ. და ორი წარმომადგენელი [illegible]-კვების კავშირიდან.

დღის წესრიგში იდგა: 1. ფაბკომის ანგარიში, 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში და 3. მიმდინარე საკითხები.

ფაბკომის შვიდი თვის მუშაობის გარშემო ანგარიშით გამოვიდა ამხ. გამბაროვი (ფაბკომის 3/მგ. მდივანი), რომელმაც აღნიშნა ფაქტები მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, რაც გამოიხატა ნარდ მუშაობიდან გადასვლაში ნაჭრობლივ მუშაობაზე.

ამ გარემოებამ დადებითად იმოქმედა მუშების ხელფასზე; რის გატარებასაც დაჟინებით მოითხოვდა კავშირი და ფაბკომი.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო კულტკომისიის, შრომის დაცვის კომისიის ურთი-ერთ დამხმარე სალაროს და აგრეთვე სხვა კომისიების მუშაობას შვიდი თვის განმავლობაში.

მუშაობის შედეგები ასეთია: ფაბრიკაში: წითელი კუთხის გახსნა, რომელშიაც მოთავსებულია სამკითხველო, მთელი რიგი აღსანიშნავ უქმე დღეების კომპანიების ჩატარება; კედლის გაზეთების გამოშვება (გამოშვებულია 8 ნომერი); პროფ-წრეების დაარსება და მათი გამოშვება; ლექციების ჩატარება; შრომის პირობების მტკიცედ დაცვა ფაბრიკაში; დამხმარე სალაროდან ფულის გაცემა მუშების დასახმარებლად და სხვა ასეთები, რომელნიც ნათელჰყოფენ აღნიშნულ კომისიების ნაყოფიერ მუშაობას.

ყველა ეს ტარდებოდა ფაბკომის ხელმძღვანელობით. კავშირის საწევრო გადასახადიც 90% იკრიბებოდა წესიერად.

ფაბკომის ანგარიშის შემდეგ, მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება; კომისიამ სცნო ფაბკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

მუშკორი ვანო.

მუშათა ქრონიკა

— **დასასვენებელი სახლის გაფართოება.** ვინაიდან მცირე პროცენტი მუშებისა იგზავნებიან დასასვენებელ სახლებში მის სიპატარავის გამო, საარტილერიო ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას გააფართოვოს დასასვენებელი სახლები.

— **გეგმის შემუშავება.** საარტილერიო ქარხკომმა შეიმუშავა ახალი სამუშაო გეგმა, რომელსაც ატარებს ცხოვრებაში.

— **კრედიტის საკითხი.** ვინაიდან მუშებს აღარ აძლევენ კრედიტს, საარტილერიო ქარხკომმა სთხოვა მუშკოოპის რწმუნებულებს მომავალ სხდომაზე დასვან საკითხი მუშებისათვის კრედიტის მიცემის შესახებ.

— **არჩევნები.** საარტილერიო ქარხკომში მოხდა შრომის დაცვის კომისიების არჩევა. კომისიაში შედიან: თავმჯდომარეთ—დონგოზაშვილი და მდივნად ავეტიანი.

— **ფუნქციების განაწილება.** საარტილერიო ქარხკომმა თითეულ კომისიის წევრს ჩააბარა სამი საამქრო თავის პასუხისმგებლობის ქვეშ.

— **წყალსადენის მილის გაყვანა.** საარტილერიო ქარხნის შრომის დაცვის კომისიამ სთხოვა ადმინისტრაციას, სასაწყობო ცეხში გაიყვანოს წყალსადენი მილი.

— **სასმელი წყალი უნდა ცივდებოდეს.** საარტილერიო ქარხნის შრომის დაცვის კომისიამ სთხოვა ადმინისტრაციას, მუშების სასმელი წყალი გააცივონ.

ფონდები

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი დეკრეტისა საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა სპეციალური ფონდის დაარსების შესახებ.

ამ ფონდს გადაეცემა საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა მთელი შემოსავალი.

ამ ფონდს ყოველწლიურათ ექნება შემოსავალი—ამერიკული ვაზის სანერგეებიდან—25.000 მანეთი, საჩვენებელ დაწესებულებათაგან—40.000 მანეთი.

ამჟამად კომისარიატს აქვს მოწყობილი 28 საცდელ-სამეცნიერო დაწესებულება.

ფონდიდან დახმარებები მიეცემათ იმ დაწესებულებებს, რომლებიც გაუმჯობესებას შეიტანენ საკუთარ მუშაობაში.

ზარალი ნიაღვრისაგან

თბილისის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ამას წინეთ მოსულ ნიაღვრების მიერ ქუჩების დაზიანებით გამოწვეული ზარალის გამოკვლევას.

ყველაზედ უფრო დაზიანდა საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქუჩა, მოსკოვის ქ., ფეოდოსიევის ქ. და სხ.

კეთილმოწყობის განყოფილებამ შეადგინა აღნიშნულ ქუჩების შეკეთების გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დასამტკიცებლად წარდგენილი აქვს თბ. აღმასკომს.

ამ ხარჯთაღრიცხვის თანახმად ნიაღვრების მიერ გამოწვეული ზარალი უდრის 22.034 75 კაპ.

რემდასის კურსები

რემდასის უჯრედებში აქტიურ მომუშავეთა მოსამზადებლათ, რემდასის თბილისის კომიტეტის ინიციატივით, გაიხსნა მოკლე-ვადიანი კურსები.

კურსებზე გადიან ისეთ საგნებს, რომელთა ცოდნაც გამოსადეგი იქნება რემდასის უჯრედების პრაქტიკულ საქმიანობაში. გარდა ამისა, კურსებზე გადიან აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებას და სხვადასხვა პოლიტიკო-ეკონომიურ საგნებს.

ასეთი კურსების მაგივრათ, ადგილებზე არსდებიან ცალკე წრეები, რომლებიც იმავე მიზნებს ისახავენ, რასაც თბილისის კომიტეტთან არსებული კურსები.

კურსდამთავრებულები დაიგზავნებიან რემდასის უჯრედებში სამუშაოთ, როგორც ქალაქად ისე, სოფლად.

მანქანების შემოწმება

მიწათმოქმედების კომისარიატმა დანიშნა ცალკე საექსპერტო კომისია სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოტანილ სას.-სამეურნეო იარაღ-მანქანების გასასინჯათ. კომისიამ უკვე დაამთავრა თავის მუშაობა, რომელიც გაგრძელდა ივნისის 1-ლიდან 24-მდე.

კომისია ამოწმებდა უმთავრესად ჩვენში გამოსადეგ იარაღ-მანქანებს ტრაქტორებს, ავტოფრეზებს, სათიბ მანქანებს და სხ.

7 ივლისს მოეწყობა მოწონებულ მანქანების პრაქტიკული გამოცდა. ამავე მიზნით განზრახულია ტრაქტორების გადარბენის მოწყობა.

ჩეხო-სლოვაკიის ტრანსპორტელების წარმომადგენელი თბილისში

მუშებთან

გუშინ ჩეხო-სლოვაკიაში მცხოვრებ გერმანელ ტრანსპორტელთა კავშირის მდივანი ამხ. **იოსებ ნაზე** ადგილობრივი ამხანაგების თანხლებით ესტუმრა მეტეხის ციხეს, სადაც საუბარი ჰქონდა პოლიტიკურ პატიმრებთან.

გუშინვე **ნაზემ** დაათვალიერა „ზაკავტოპრომტორგ“-ის გარაჟი და სხვა წარმოებები, სადაც გაეცნო როგორც წარმოების მდგომარეობას, ისე მუშაობის პირობებს.

მას საუბარი ჰქონდა მუშებთან. დაინტერესებული იყო მათი ხელფასით, შრომის პირობებით, ყოფა-ცხოვრების საკითხებით და სხვა.

წარმოებების დათვალიერებით და მუშებთან გამოსაუბრებით, ის მეტად კმაყოფილი დარჩა.

ამხ. ნაზე ამხ. შალვა ელიავასთან

2 საათზე ამხ. ნაზე მიიღო მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. **ელიავამ**, რომელსაც სტუმარმა გამოუცხადა გულწრფელი მადლობა მეგობრული მიღებისათვის.

— მე რაღაც ჩინოვნიკურ მიღებას ველოდი საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობისაგან. აქ კი მეგობრულად, შინაურულად შემხვდენ ყველანი.

ამხ. ელიავამ ამაზე უპასუხა, რომ აქ მუშური მთავრობაა.

—ამხ. **ნაზე:** როგორი დამოკიდებულებაა საქართველოსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის?

ამხ. **ელიავა:** ნამდვილი მეგობრულ-ამხანაგური. ჩვენ ვართ სავსებით დამოუკიდებელნი ჩვენ შინაურ საქმეებში, სწავლა-განათლების საკითხში, ჯანმრთელობის, სოციალურ დახმარების, იუსტიციისა და სხვა მრავალ საკითხებში. ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის საერთოა საგარეო საკითხი, სამხედრო, ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზა და სხვა, ვინაიდან ყველა ამ დარგში საჭიროა ერთნაირი შეთანხმებული მუშაობა ყველა რესპუბლიკებისათვის. შინაური აღმშენებლობაში, სწავლა-განათლებაში სრული დამოუკიდებელნი ვართ, მაგრამ აქაც შეთანხმებით ვმუშაობთ. საქართველოში სხვადასხვა ეროვნებაა; ყველას აქვს უფლება განვითარდეს თავის ენაზე.

ამხანაგმა ელიავამ დაწვრილებით გააცნო სტუმარი საბჭოთა აღმშენებლობას, ჩვენს მიღწევებსა და წინსვლას.

ამხ. **ნაზე:** რა გავლენა აქვს საბჭოთა მთავრობაზე მუშებს?

ამხ. ელიავა ღიმილით უპასუხებს: ჩვენში ასეთი კითხვის დასმა არ შეიძლება. ჩვენი მთავრობა მუშური მთავრობაა. გავლენა კი არა—ის სავსებით მუშების სურვილის გამომხატველია. მთავრობაზე მუშების გავლენის შესახებ ლაპარაკი შეიძლება თქვენში, ევროპაში.

აქ მთავრობის თავმჯდომარემ დაწვრილებით აუხსნა სტუმარს საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობის არჩევის წესრიგი და მშრომელების როლი ამ არჩევნებში, დამოკიდებულება და კავშირი გლეხებთან და მრავალი სხვა.

ამხ. **ნაზე:** როდის იყო საქართველო უფრო თავისუფალ-დამოუკიდებელი, დღეს თუ მენშევიკების დროს?

ამხ. **ელიავა:** ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ როგორ მიუდგება საკითხს. ჩვენ დღეს ვართ ნამდვილად დამოუკიდებელნი; მენშევიკების დროს დამოუკიდებლობა მხოლოდ ქაღალდზე იყო. ყველა ევროპის სახელმწიფოები ერეოდენ საქართველოს შინაურ საქმეებში, ყველას უნდოდა საქართველოზე გაელენის მოხდენა, მისი შეჭმა. დღეს კი რუსეთთან ჩვენ ნამდვილი ამხანაგური დამოკიდებულება გვაქვს, მასთან მეგობრულ კავშირში ვართ, ერთი მეორეს ვეხმარებით.

ამით ჩვენ ბევრი კარგი და სასარგებლო საქმე გავაკეთეთ; ევროპაზე აღარ ვართ დამოკიდებული, მოკავშირე რუსეთი გვეხმარება ბევრ საქმეში.

კიდევ რამდენიმე შეკითხვების შემდეგ, ამხანაგი ნაზე მადლობას უცხადებს მთავრობის თავმჯდომარეს და ამბობს, რომ შეიძლება მას არც კი დაუჯერონ ამხანაგებმა, რომ ის ასე თამამათ ელაპარაკება საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს.

— ნახეთ ჩვენი მუშაობა-მიღწევები და გადაეცით ყველაფერი თქვენს მუშებსაც და ჩვენ მტრებსაცო.

ამ სიტყვებით გამოემშვიდობა ამხანაგი ელიავა სტუმარს.

ამხ. ნაზე ზაჰესში

ამის შემდეგ ამხ. ნაზე ტრანსპორტელმა ამხანაგებმა მიიპატიჟეს ზაჰესის დასათვალიერებლად.

ჩეხო-სლოვაკელი ამხანაგი განცვიფრებულია ზაჰესის ნახვით. ყველაფერს გულდასმით ათვალიერებს, იძლევა შეკითხვებს.

— ვინ არის აქ უფროსი ინჟინერი? გერმანელიაო?

— გვყავს გერმანელი ინჟინერიც, მაგრამ უფროსი ინჟინერი აქ ქართველია, ახალგაზრდა, სულ 39 წლის, გვარად ჭიჭინაძე. უპარტიო.

— ეს მანქანები რუსეთში კეთდება?

— აი ეს, გერმანიიდანაა,—ისინი კი რუსეთის ნაწარმოებია.

— როგორ! განა რუსეთი უკვე აკეთებს ასეთ დიდ მანქანებს?

— აი, ლენინგრადში გაჩვენებთ იმ ქარხანას, საცა ეს მანქანები კეთდება,—ეუბნება მას მოსკოვიდან გამოყოლილი ამხანაგი.

საღამოს ამხ. ნაზე მამადავითის მთიდან თბილისის დათვალიერების და ა.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ნახვის შემდეგ გაემგზავრა ბათომში, სადაც აგრეთვე გაეცნობა ტრანსპორტელთა კავშირის ადგილობრივი განყოფილების მუშაობას.

ბათომიდან ნაზე მიემგზავრება იალტაში, იქიდან კი სიმფეროპოლზე, სევასტოპოლზე და ხარკოვზე გავლით ჩავა მოსკოვში.

ნაზეს ახლავს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელი ამხ. **შუგარი**, რომელიც ისევ დაბრუნდება თბილისში გერმანელ მუშების მეორე დელეგაციასთან ერთად, რომელსაც საქართველოში მოელიან მიმდინარე წლის ივლისში.

პედაგოგიური ტეხნიკუმების გამგეთა კონფერენცია

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან. მორიგი მოხსენებით გამოდიან თელავის პედ. ტეხნიკუმის გამგე ამხ. **გეგელიძე**, სიღნაღის ტეხნიკუმიდან—**ი. ფერაძე**, თბილისის სომხური პედ. ტეხნიკუმიდან—**არუთინოვი**, თბილისის თურქთა პედაგ. ტეხნიკუმიდან—**კადიმოვი** და სამხრეთ-ოსეთის პედ. ტეხნიკუმიდან—**ამხ. ჯიოევი**.

გამოსული ორატორები უმთავრესად ეხებოდენ სკოლების მუშაობის პროცესში წარმოშობილ სხვადასხვა ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებებს, როგორც მაგალითად, სკოლების შენობების შეუფერებლობა, კაბინეტების მოუწყობლობა და სხვა.

აღნიშნული იყო აგრეთვე მთელი რიგი მიღწევები სწავლის საქმის დაყენებაში, მასწავლებელთა შერჩევაში და სხვა.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე მოხსენებით, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მოღვაწეობის შესახებ გამოდის ამხ. **გოგუაძე**.

მოხსენების შემდეგ იმართება კამათი ადგილებიდან მოსმენილ მოხსენებების ირგვლივ.

ადგილებიდან გამოსული ორატორები აღნიშნავენ მუშაობის დროს შემჩნეულ სხვადასხვა ნაკლულევანებათა გამოსწორების საჭიროებას, ეხებიან მასწავლებლების დატვირთვის საქმეს და სკოლებში სწავლების რეჟიმის გაუმჯობესებისათვის მიღებულ ზომებს.

ამხ. კ. სულაქველიძის სიტყვა

კამათში, ვრცელი დასაბუთებული სიტყვით გამოდის ამხ. კ. სულაქველიძე.

იგი აღნიშნავს, რომ ჩვენი სკოლა ამჟამად განახლების და გარდაქმნის გზაზეა დამდგარი, ხოლო მის საჭირო სიმაღლეზე დაყენებისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ.

უმთავრესი ნაკლი ჩვენი სკოლისა გამოიხატება იმაში, რომ მასწავლებლები საშინლად დატვირთული არიან და ამასთან პარალელურათ მოსწავლეებიც იტვირთებიან. მოწაფეს უხდება ხშირად 8 საათი იმუშაოს სკოლაში და ამდენივე დრო მოანდომოს სახლში გაკვეთილების მომზადებას. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

ბოლოს, ორატორი ვრცლად შეჩერდა მხარეთმცოდნეობის საკითხზე და აღნიშნა, რომ პედაგოგიურმა ტეხნიკუმებმა ფართოდ უნდა დააყენონ ეს საქმეო.

ამხ. მეძმარიაშვილის სიტყვა

ამხ. მეძმარიაშვილი თავის სიტყვაში ჯამს უკეთებს კამათს და აღნიშნავს, რომ ბევრი ორატორის შეხედულება არაა სწორი, კერძოდ მასწავლებელთა დატვირთვის საკითხზე. მასწავლებელთა რიცხვის სიმცირის გამო ეს დატვირთვა ერთად-ერთი გამოსავალი იყო და ამის გარეშე საქმე უფრო გაფუჭდებოდა.

შემდეგ ორატორი ჩერდება ჩვენი სკოლების დღევანდელ მდგომარეობაზე და გაყავს პარალელი თუ რას წარმოადგენდენ ჩვენი სკოლები ამ 4 წლის წინეთ.

ამხ. მეძმარიაშვილი ვრცლად ჩერდება აგრეთვე სახელმძღვანელოების, სხვადასხვა განხრების, ტეხნიკუმების აგრონომიზაციის და სხვა საკითხებზე.

ამხ. მეძმარიაშვილის სიტყვის შემდეგ კონფერენციამ აირჩია კომისია რეზოლუციის შესამუშავებლად.

ამხ. გოგუაძის მოხსენება

პედაგოგიური ტეხნიკუმების მუშაობის სახისა და სასწავლო გეგმის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. გოგუაძე.

მის მოხსენების უმთავრესი დებულებები ასეთი იყო: სკოლა უნდა გახდეს სოფელში ქალაქის კულტურის შეტანის უმთავრეს საშუალებათ. სკოლის გავლენა უნდა ემჩნეოდეს მოსახლეობას. მაგრამ, რომ სოფლად სკოლა ასეთ სიმაღლეზე დადგეს, საჭიროა მასწავლებლის სათანადო მომზადება. ამ მიზანს კი უნდა ემსახურებოდეს პედაგოგიური ტეხნიკუმი.

დასასრულ მომხსენებელი ვრცლად გაჩერდა აგრეთვე შემუშავებულ სასწავლო გეგმაზე, გაარჩია იგი და ფართოდ შეეხო მის როლს მასწავლებლების მომზადების საქმეში.

სექციები

კონფერენცია დაიყო სექციებათ, სადაც დამუშავებულ და გარჩეულ იქნება ცალკე სპეციალური საკითხები.

გუშინ საღამოს სწარმოებდა სექციების მუშაობა.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მომჭირნეობის რეჟიმი და შრომის დაცვა

შრომის სახალხო კომისარიატის ცირკულიარი

საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულია ცნობები, რომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი სამეურნეო ორგანოები ადგილებზე მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად მიმართავენ პირველ ყოვლისა მომჭირნეობას შრომის დაცვის დარგში. ამის გამო შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ მომჭირნეობის რეჟიმის ასე გაგება სავსებით შემცდარია. **შრომის პირობების გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა გატარება შრომის დაცვის დარგში არა თუ არ ეწინააღმდეგება მომჭირნეობის რეჟიმს, არამედ სავსებით ეთანხმება მას, ხელს უწყობს რა შრომის რაციონალიზაციისა და ნაყოფიერების ზრდას.** მომჭირნეობის რეჟიმი ავალებს შრომის დაცვის ორგანოებს გააძლიერონ ბრძოლა შრომის დაცვის პირობების დარღვევასთან, რაც არა თუ ვნებას აყენებს მუშების ჯანმრთელობას, არამედ აგრეთვე ზედმეტ ზედნართ ხარჯებს იწვევს წარმოებაში.

მომჭირნეობის რეჟიმი ავალებს ინსპექციას და ჩქარებით შეუდგეს იმ მთავარ ღონისძიებათა გეგმიან გამოკვლევას, რომლებიც ტარდება უშიშროების ტეხნიკის და სამრეწველო სანიტარიის საქმეში და მიიღოს ზომები შრომის კანონების დარღვევის შემთხვევების აღმოსაფხვრელად, გაძლიერებულ უნდა იქნას ბრძოლა ზედმეტ საათების სამუშაოების წინააღმდეგ და სხვ..

მივლინებები

ა.-კ. ინსპექციამ გამოიკვლია საკითხი მივლინებათა შესახებ მთელ რიგ დაწესებულებებში და აღმოაჩინა, რომ მივლინებები წარმოადგენენ სახელმწიფო ქონების განიავების ერთ-ერთს ფორმას. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს იმ მოქმედ დებულებათა მასიური და სისტემატიური დარღვევა, რომელნიც განსაზღვრავენ სამივლინებო ხარჯების ნორმებს და წესებს, და სრულიად მიზანშეუწონელი მივლინებები.

გამოკვლევის მიერ აღმოჩენილ იქნა შემდეგი უწესობანი: დღიურების ნორმებზე გადამეტებით გაცემა, მივლინებათა გადაშორება დებულებით დაწესებულ ვადაზე, რაც იწვევდა აუარებელ თანხების ხარჯვას.

თანამდებობის საქმეებზე მივლინებული პირები არ ერიდებოდენ რბილი ვაგონებით მოგზაურობას. ძვირფასად მოწყობილ სასტუმრო ნომრების დაქირავებას და სხვას. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ მივლინებში მავალი პირები მთელი თვეობით აგვიანებდენ საავანსო ანგარიშების წარდგენას და ხშირად ანგარიშებში შეჰქონდათ ყოვლად გაუმართლებელი ხარჯები.

თუ მხედველობაში მივიღებთ მივლინებათა რიცხვის სიდიდეს და მივლინებებს შესახებ გამოშვებულ დებულების მასიურ დარღვევას, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მივლინებები იმ თავითვე დიდ ზიანს აყენებდენ სახელმწიფო ქონების დაცვის და დაზოგვის საქმეს, რისთვისაც პასუხისმგებლობა აწვებათ დაწესებულებათა ხელმძღვანელ პირებს.

ი.

შინაგან საქმეთა კომისარიატში

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელ კომისიის მიერ მიღებულია მთელი რიგი ზომები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას.

ასე, მაგალითად, კომისიამ დაადგინა გადათვალიერებული იქნეს სია ტელეფონებისა; ტელეფონი დატოვებული იქნეს მხოლოდ განყოფილებების გამგეთა, ცენტრალურ სისხლის სამართლის მილიციის უფროსის და აგრეთვე იზოლიატორის და ცენტრალურ გამასწორებელი სახლის უფროსთა ბინაზე. დანარჩენ თანამშრომლებს უნდა მოეხსნათ ტელეფონები სახაზინო კმაყოფიდან.

მოწესრიგებულია აგრეთვე ავტომობილებით სარგებლობა; ასეთი დაშვებული იქნება მხოლოდ რამე განსაკუთრებული შემთხვევისა და ფრიად სასწრაფო საქმის დროს.

ამასთანავე გამსახლის უფროსებს ჩამოერთვა ეტლები პირად სარგებლობისათვის. დატოვებულია მხოლოდ ორი ეტლი, რომელთაგან ერთი გადაეცა ორივე გამსახლის მოთხოვნილების (პატიმრების გადასაყვან-გადმოსაყვანად) დასაკმაყოფილებლად, ხოლო მეორე კი გადაეცა საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსის განკარგულებაში პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

ამავე დროს კომისიამ დაადგინა გამომუშავებული იქნეს სასტიკი ნორმა საკანცელარიო ნივთებზე და მასთან დაევალოს განყოფილებების უფროსებს საკანცელარიო ნივთების ხარჯვაზე თვალყურის დევნება; მათთვე დაევალა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ თავიანთი განყოფილებების ინვენტარს და მომავალში მის დაკარგვაში პასუხისმგებელი იქნეს პირადათ განყოფილების უფროსი.

კომისიამ დაადგინა აგრეთვე შემცირდეს კომისარიატის მოსამსახურეთა შტატი. და დაარსდეს მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებული ქვე-კომისიები უფროსთა შემადგენლობის სკოლაში, იზოლიატორში და ცენტრალურ გამსახლში; ეს კომისიები იმუშავებენ შ. ს. ს. კომისარიატთან არსებულ კომისიის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.

ა-კ. სასოფლო სამეურნეო გამოფენა

როგორ მუშაობს გამოფენა

გამოფენის მომწყობ კომიტეტს განზრახული აქვს რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენოს გამოფენა. უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა გამოფენის არა მარტო კულტურულ-ეკონომიურ, არამედ ტეხნიკურ ეფექტსაც.

ამჟამად გამოფენის მომწყობ კომიტეტს საშუალება აქვს დეტალურად მიუდგეს თითეულ მანქანას, ასწონ-დასწონოს მისი ღირსება ნაკლულოვანებანი და შეარჩიოს ისეთები, რომლებიც ყველაზე უფრო გამოსადეგი იქნება ჩვენს პირობებში სამუშაოდ.

ექსპონატების შემოწმებაში გამოფენის მომწყობ კომიტეტს დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი სპეციალისტები, რომლებიც დეტალურად სწავლობენ ყველა ფორმების იარაღ-მანქანებს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანების დემონსტრაციას, რომლის დროს რამოდენიმედ აშკარავდება მანქანების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მანქანების გამოცდა ჯერ არ დაწყებულა. გამოცდამდი შესწავლილი იქნება თვითეული მანქანის ყოველი წვრილმანი.

ინტერესი გამოფენისადმი დღითი დღე იზრდება. გლეხები მრავლად ჩამოდიან გამოფენის დასათვალიერებლად. ზოგ მათგანს გზავნიან რესპუბლიკანური მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატები, ზოგი კი მოდის საკუთარ ხარჯზე. გამოფენით დაინტერესებულნი არიან აგრეთვე როსტოვის მსხვილი ორგანიზაციები. ცენტრიდან ამას წინად ჩამოვიდა პროფ. ბატიუშკოვი, რომელსაც გამოფენის მომწყობი კომიტეტი უკვე შეუთანხმდა მანქანების გამოცდის საკითხზე. განზრახულია ამ საქმის ხანგრძლივად მოწყობა. გადაწყვეტილია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში დაარსებული იქნეს სათანადო საცდელ-საჩვენებელი სადგურები, რომელთა დანიშნულება იქნება ამიერ-კავკასიის მრავალფეროვანი ნიადაგის შესწავლა.

მანქანების გამოცდის წარმატებით ჩასატარებლად გამოფენის მომწყობმა კომიტეტმა რუსეთიდან მოიწვია ორი ცნობილი სპეციალისტი-პროფ. სლადკოვი და სოკოლოვი, რომლებიც ახლო ხანში ჩამოვლენ თბილისში.

მათ გარდა მანქანების გამოცდაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ადგილობრივი სპეციალისტები. გამოცდების დაწყების ვადა შემუშავებული იქნება ახლო ხანში.

გამოფენის ქრონიკა

„ბლოკ-პრესს“

იტალიანურ ფირმა „ფიატ“-ს გამოფენაზე გამოტანილი აქვს მანქანა „ბლოკ-პრესს“-ი, რომელიც ამზადებს ბეტონის აგურებს. ერთ მუშას ამ მანქანის საშუალებით შეუძლია დაამზადოს 8.000 აგური.

75.000

გამოფენის გახსნიდან 24 ივნისამდე გამოფენა დაათვალიერა 75.000 კაცმა.

მანქანების დემონსტრაცია

გამოფენაზე ყოველ დღე სწარმოებს სხვადასხვა ფირმების ექსპონატების დემონსტრაცია, რომელსაც ესწრებიან ექსკურსანტი—გლეხები და სპეციალისტები.

35.000 ექსკურსანტი

გამოფენის გახსნიდან დღევანდლამდე საექსკურსიო ბიუროს საშუალებით გამოფენა დაათვალიერა 35.000 კაცმა; აქედან: 290 სომეხმა გლეხმა, 335 აზერბეიჯანელმა, 584 ქართველმა და 133 წითელ-არმიელმა.

ექსკურსანტები სომხეთიდან

სომხეთიდან გამოფენის დასათვალიერებლად ჩამოვიდა 32 გლეხი—ექსკურსანტი ლენინაკანიდან, ლორ-ბამბაკიდან და დარლაგეზის მაზრიდან.

ექსკურსანტები აზერბეიჯანიდან

აზერბეიჯანიდან ჩამოვიდა გამოფენის დასათვალიერებლად 36 გლეხი კუბის მაზრიდან.

ექსკურსანტები საქართველოდან

გამოფენის დასათვალიერებლად ჩამოვიდა: დუშეთის მაზრიდან 29 გლეხი, შორაპნიდან—13, აჭარისტანიდან—47, ახალციხიდან—31, სამხრეთ-ოსეთიდან—30, აფხაზეთიდან—16 და რაჭიდან—30.

ა-კ. საგადასახადო უწყებების მუშაკთა თათბირი

ა.-კ. ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოსთან შესდგა ამიერ-კავკასიის საგადასახადო მუშაკთა თათბირი.

თათბირზე განხილული იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები საგადასახადო ტეხნიკისა და საგადასახადო ანგარიშ-წარმოების მოწესრიგების შესახებ. თათბირმა მოისმინა აგრეთვე გამომკვლევ კომისიების მოხსენებები რესპუბლიკების საგადასახადო მუშაობის რევიზიის შედეგების შესახებ და საინფორმაციო მოხსენება 1926—27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის შესახებ.

საგად. სახადო ანგარიშწარმოების შესახებ მოსმენილ მოხსენების გამო თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც საჭიროდ სთვლის მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებების გატარებას ანგარიშწარმოების ფორმების გასამტკიცებლად და შესამცირებლად.

თათბირმა მოისმინა აგრეთვე მოხსენება საამრიცხავო-სტატისტიკურ და საინსტრუქტორო-საინფორმაციო უჯრედების დაარსების შესახებ ა.-კ. ფინსახ. საგადასახადო სამმართველოში და რესპუბლიკანური ფინსახკომების საგადასახადო განყოფილებებთან. მოხსენების გამო მიღებული იქნა დადგენილება აღნიშნული უჯრედების დაარსების შესახებ ა.-კავკასიის და რესპუბლიკანურ ფინსახკომებთან.

შემდეგ მოსმენილი იქნა გამომკვლევ კომისიების მოხსენება რესპუბლიკების საგადასახადო მუშაობის რევიზიის შედეგების შესახებ.

გამოირკვა, რომ საგადასახადო მეთვალყურეობის აპარატის მუშაობის სისუსტის ერთერთი მიზეზია ერთგვარი შიში და თავისი ძალებით არ დაიმედება იმის გამო, რომ საფინანსო ინსპექციაზე ხშირად გავლენას ახდენენ ადგილობრივი აღმასკომები. ამის, და აგრეთვე ხელფასის სიმცირის შედეგია საფინანსო ინსპექციის პირადი შემადგენლობის ხშირი შეცვლა, რასაც რასაკვირველია, არ შეუძლია გავლენა არ მოახდინოს აპარატის მუშაობაზე.

აღნიშნულია აგრეთვე ცოცხალი კავშირის უქონლობა ადგილებთან.

რაც შეეხება ნარჩენების სალიკვიდაციო კამპანიას, გამოირკვა, რომ საქართველოში პირველ თებერვალთან შედარებით ნარჩენების თანხა შემცირდა 23 პროცენტით, აზერბეიჯანში—29,3 პროც., სომხეთში—33,2 პროც., სულ კი მთელს ამიერ-კავკასიაში—29.6 პროცენტით.

სულ კამპანიის დაწყებიდან დღემდე ნარჩენების სახით ამიერ-კავკასიაში შემოვიდა 2.316.371 მანეთი, რაც კამპანიის მეტად დადებით შედეგათ უნდა იქნას ცნობილი.

მოხსენებები ნაწილობრივ მიღებულია ცნობად, ნაწილობრივ გადასამუშავებლად გადაეცა ა.-კ. ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოს.

რაც შეეხება საგადასახადო მუშაობის დეფექტებს. რომლებიც აღნიშნული იქნა თათბირზე, პრაქტიკული ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად შემუშავებულია საგადასახადო სამმართველოს მიერ და განსახილველად გადაცემულია ა.-კ. ფინსახკომის კოლეგიაში.

ეროვნულ უმცირეს. საბჭოს ყრილობა

გუშინ, 29 ივნისს, გაიხსნა საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდენ საბჭოს წევრები შემდეგი ადგილებიდან: აჭარისტანიდან, სამხრეთ-ოსეთიდან, აფხაზეთიდან და აგრეთვე ყველა იმ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში შედიან.

პირველ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენება მის მიერ შესრულებულ მუშაობის შესახებ. ყრილობის დღის წესრიგი შეიცავს მოხსენებებს ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის შესახებ საბჭოთა აფხაზეთში, საბჭოთა აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში. მოხსენებებს ამ საკითხის შესახებ გააკეთებენ ამ ავტონომიურ რესპუბლიკათა სახალხო განათლების კომისარიატთა წარმომადგენელნი.

ეროვნულ უმცირესობათა შორის

გერმანელ მასწავლებელთა კონფერენცია

საქართველოს სახ. განათლების კომისარიატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო 20 ივლისისათვის ტრაუმბერგში (ბორჩალოს მაზრა) იწვევს გერმანელ მასწავლებელთა და აგრეთვე გერმანულ ეროვნულ სკოლების ყველა მასწავლებელთა კონფერენციას.

მეთოდიური კურსები

საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა საბჭო 5 ივლისისათვის აბულაღში ხსნის მეთოდიკურ კურსებს აბულაღის რაიონის რუსი და ბერძენი სკოლების მასწავლებელთათვის. გერმანულ და ბერძნულ სკოლების პროგრამას საფუძვლად დაედება მხარეთმცოდნეობის პრინციპი. კურსების მიზანია რუს და ბერძენ სკოლების მასწავლებელთა გადამზადება.

იგივე საბჭო 10 ივლისისათვის ახალციხეში ხსნის თვენახევრიან კურსებს თათრულ სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებლად; 5 ივლისისათვის ახალქალაქში გაიხსნება კურსები სომხური სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებლად. კურსები გაგრძელდება ერთს თვეს.

ხელფასი

ა.-კ. პროფსაბჭოს დადგენილება

ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა თავისი დადგენილება სახელმწიფო ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

ამ დადგენილების თანახმად ა.-კ. პროფსაბჭო შეუძლებლად სცნობს ხელფასის რეფორმის გატარებას, რადგან დღევანდელ პირობებში, პროფსაბჭოს პრეზიდიუმის აზრით, იგი გამოიწვევდა ფაქტიური ხელფასის შემცირებას.

რეფორმის ჩატარება საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ ხელფასის ფონდი გადიდებულ იქნება იმ ფონდთან შედარებით, რომელიც ფაქტიურად არსებობს ხელფასისათვის—ამჟამად.

შრომის სახ. კომისარიატების მიერ კონკრეტულ განაკვეთების დასაწესებლად წარმოებული წინასწარი მუშაობა პროფსაბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია და საჭიროდ სცნობს ამ მუშაობის დაჩქარებას.

დადგენილების თანახმად რესპუბლიკის პროფსაბჭოებს წინადადება ეძლევათ მიიღონ მონაწილეობა შრომის კომისარიატის ხელფასის მოსაწესრიგებლად წარმოებულ მუშაობაში იმ მიზნით, რომ ზემოხსენებულ ორგანოებმა სატარიფო თათბირისათვის წარმოადგინონ სრული მასალები და თავიანთი დასკვნები ამ საკითხის შესახებ.

მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობის შედეგები

მუშკორთა და გლეხკორთა სრულიად საკავშირო თათბირს, რომელიც მოსკოვში მაისის ბოლო რიცხვებში ჩატარდა, რამდენიმედ სხვა ხასიათი ჰქონდა, ვიდრე წინანდელ ორ თათბირს.

რით განირჩეოდა ის?

მესამე თათბირმა ნაკლები ყურადღება მიაქცია მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობის ზოგადი და პრინციპიალური საკითხების გადაწყვეტას. და თუ მიაქცია, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო ამ (პირველი და მეორე თათბირის მიერ გადაწყვეტილ) კითხვების შემოწმება იმ დიდ გამოცდილების მიხედვით, რომელიც დაგროვდა მიმდინარე წლის მაისისათვის.

მუშკორ-გლეხკორთა მუშაობის პრაქტიკა, ის პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც დგას მუშკორ-გლეხკორთა არმიის წინაშე—აი ის კითხვები, რომელიც იდგა მესამე თათბირის დღის წესრიგში.

შესაძლებელია თუ არა კრიზისზე ლაპარაკი?

როგორც ვიცით, თათბირის მოწვევის წინ, დასმული იყო კითხვა მუშკორ-გლეხკორთა მოძრაობის ეგრედწოდებულ „კრიზისი“-ს შესახებ. ზოგი ამხანაგები ამბობდენ, რომ ჩაისახა საფრთხე, რომელიც ემუქრება მოძრაობის მომავალ ზრდას, რომ მოძრაობა აღარ იზრდება.

რაზე ემყარებოდა ასეთი თვალსაზრისი?

პირველ ყოვლისა, ცალკე ფაქტებზე, ცალკე შეცდომებზე, გაუგებრობაზე, რომლებსაც უეჭველად ადგილი ჰქონდა მუშკორ-გლეხკორთა მოძრაობაში.

შემდეგ იგი ემყარებოდა თავისუფალ საზოგადოებების (ავიოქიმი, შორეული ცურვის საზოგადოება და სხ.) ბედის ანალოგიაზე. რაში მდგომარეობდა ეს ანალოგია?

„თავისუფალ საზოგადოებრივი ორგანიზაციები“-ო, ამბობდენ ამხანაგები, აშენებული არიან იმავე პრინციპზე, როგორც მუშკორული ორგანიზაციები, ე. ი. თავისუფალი სურვილის და თვითმოქმედების პრინციპზე.

ისინი ემსახურებიან იმავე მიზანს, რასაც მუშკორთა მოძრაობა—შეაკავშირონ თავის გარშემო მშრომელი მასები, გახდენ საზოგადოებრივ აზროვნების კერად, შეასრულონ საბჭოთა საზოგადოებრივობის სკოლის მოვალეობა.

ამ ორგანიზაციებს, რომელშიაც თავს იყრიან ათი-ათასობით და ასი-ათასობით წევრები, არ შეუძლიათ უხელმძღვანელონ მათ ყოველდღიურ მუშაობას და ამიტომ ძალაუნებურად წევრთა უმრავი მასსა აღარ წარმოადგენს მძლე ძალას.

მაშასადამე, მუშკორთა არმია, რომელშიაც თავს იყრის რამოდენიმე ათასი მებრძოლი, სინამდვილეში გაცილებით მცირიცხოვანია. დანარჩენები მხოლოდ ირიცხებიან ქაღალდზე. მართალია ასეა?

ჯერ ერთი, რომ კერძო ფაქტების გაერთიანება არ შეიძლება. მეორე ისაა—რომ „შედა[illegible]“. მართალია, რომ იყოს მსგავსება ავიოქიმისა და სხვა ორგანიზაციების [illegible], მაინც არ შეიძლება ერთი ორგანიზაციის ნაკლოვანებების მეორეზე გადატანა. მუშკორთა ორგანიზაციები შექმნილია [illegible] საფუძველზე. მაგრამ მასში არის აგრეთვე რაღაც სხვა, გამასხვავებელი. მუშკორათ, გლეხკორათ და სხვა კორესპონდენტათ შეიძლება გახდეს კაცი, პირველად ფაქტიურად და შემდეგ კი ფორმალურადაც. ამიტომ, არც ერთი მუშკორი და გლეხკორი, რომელიც ჩაბმული არ იყოს პრაქტიკულ საქმიანობაში, არ არსებობს. აი, ეს გარემოება მუშკორთა მოძრაობას აძლევს მეტისმეტად დიდ ღირებულებას მეტ სიცოცხლეს.

კრიზისი კი არაა, არამედ—ზრდა

„მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობის მოდა წავიდა“,—ამბობენ ზოგიერთები.

მოდა? რა თქმა უნდა, მუშკორთა მოძრაობის იდეალიზაციის დრო წავიდა, როგორც კი გავარდა პირველი ტყვია მუშკორის მოსაკლავად და როგორც კი პირველი მუშკორი დარჩა უმუშევრად.

ეჭვი არაა, რომ სხვადასხვა დაბრკოლებებმა და სიძნელემ, რომელიც პირველი დღიდანვე აღიმართა მუშკორთა წინაშე, დააფრთხო უფრო სუსტი, უფრო ნაკლებად შეგნებული ნაწილი მუშკორებისა, მაგრამ საერთოდ მუშკორთა და გლეხკორთა უმრავლესობამ არ დაიხია უკან იმ სიძნელეთა წინაშე, რომელიც მას გზაზე გადაეღობა.

თუ მოდის შესახებ ლაპარაკობენ მხოლოდ ამ მხრივ, მაშინ მით უკეთესი, რომ იგი აღარ არსებობს, რადგან ეს მოასწავებს იმას, რომ მუშკორებს და გლეხკორებს ჩამოშორდენ ის ელემენტები, რომელნიც შემთხვევით მოჰყვენ ამ მოძრაობაში იმ მიზნით, რომ „ამღვრეულ წყალში დაეჭირათ თევზი“.

ასეთი „მუშკორებისა“ და „გლეხკორების“ ჩამოშორებით სავსებით არ შემცირებულა მუშკორთა რიგები. მათ მაგიერ მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ წამოაყენა ახალი ძალები—და ერთის მაგიერ რამდენიმეც კი.

თათბირზე აღინიშნა, რომ მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობა გაიზარდა.

როგორია ამ ზრდის ძირითადი ფაქტები?

სოციალური შემადგენლობის მიხედვით ეს ზრდა სწარმოებს სავსებით ნორმალურად, თუმცა „მოსამსახურეთა“ რიცხვიც დიდია.

ძალიან მცირე ადგილი უკავია ამ ზრდაში ქალთა რიცხვის გამრავლებას.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი ამოცანაც:

უნდა გაფართოვდეს უმთავრესად ეს მოძრაობა მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ხარჯზე.

ამ მოძრაობაში მონაწილეობა უნდა მივალებინოთ რაც შეიძლება მეტ რიცხვს ქალებისას.

უკანასკნელს საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიაში და ეს იმიტომ, რომ ეს საკითხი ჩვენში უფრო ძნელი მოსაგვარებელია, ვიდრე რუსეთში. გარდა ამისა, მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობაში ქალთა მონაწილეობას ექნება დიდი მნიშვნელობა მათი განვითარების საქმეში.

თათბირმა აღიარა აგრეთვე, რომ მუშკორთა და გლეხკორთა რიცხვი არ ეთანხმება მათ ღირსებას. ამ მხრივ იგი ჩამორჩენილია. აი, ეს აძნელებს მუშაობას, ამცირებს მის ნაყოფიერებას და ხელს უშლის მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეს.

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ აქედან?

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშკორთა და გლეხკორთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას და მომზადებას.

წვრილმანი და დიდი საკითხები

„მუშგლეხკორის შენიშვნა“—ასე ამბობენ ხშირად ერთგვარი აბუჩად-აგდების კილოთი და ამით უნდათ სთქვან: „წვრილმანი ფაქტი“. დიახ, წვრილმანი, ანუ უფრო სწორედ, წვრილი (დიდის მასშტაბით) ფაქტი. რის შესახებ უნდა სწეროს მუშკორმა ანუ გლეხკორმა, თუ არა „წვრილმანების“ შესახებ? იგი მთელი დღეებით ტრიალებს ფაბრიკასა და სოფლის პირობებში, განსაზღვრულ პატარა ტერიტორიაზე შედარებით... ვსთქვათ, დიდამიწასთან.

„მუშგლეხკორის შენიშვნა“ სწორედ იმითაა ძვირფასი, რომ იგი გვაცნობებს სინამდვილის კონკრეტიულ ფაქტის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა კეთდება საბჭოთა სახელმწიფოს შემოქმედებითი წიაღში.

მაგრამ მუშგლეხკორის მუშაობის „წვრილმანობა“ თან ატარებს საფრთხეს. ადვილია, პატარის გამო დიდის დაკარგვა. დიდის დაკარგვა კი, ე. ი. დაკარგვა საერთო რევოლიუციონური პერსპექტივის, დიდი მოვლენების გაგებისა, რომლის გზითაც ჩვენ მივდივართ, აუცილებლად მიგვიყვანს იქამდე, რომ წვრილმანი, კონკრეტიული ფაქტები გაგებულ და შეფასებულ იქნებიან ყალბად, „ობივატელურად“.

მუშგლეხკორი საბჭოთა სახელმწიფოს როგორც აქტიური აღმშენებელი, ყოველ კონკრეტიულ ფაქტს, როგორიც წვრილმანიც არ უნდა იყოს იგი, საერთო პერსპექტივის თვალსაზრისით უნდა მიუდგეს, თვალსაზრისით იმ დიდი საქმისა, რომელსაც ყველა მშრომელები ერთად აკეთებენ.

ამასთანავე მუშგლეხკორს უნდა შეეძლოს, რომ კავშირი გამონახოს რევოლიუციის საერთო მიმდინარეობისა და იმის შორის, რაც ხდება მის ფაბრიკაში ან მის სოფელში, მან უნდა შესძლოს საერთო-საზოგადოებრივ, საერთაშორისო ამბებიდანაც კი გამოიყვანოს პრაქტიკული გაკვეთილები.

მან უნდა შესძლოს დაინახოს დიდი პატარის იქით და პატარა მონახოს დიდში.

ეს მით უფრო ძნელია, რომ ცხოვრება დღითი-დღე ხდება მრავალმხრივი, რთული მუშაობა მიდის არა მარტო სიფართოვით, არამედ სიღრმით. ეს მით უფრო ძნელია, რომ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება წინააღმდეგობანი,რომლებიც ჩვენ ძველიდან მივიღეთ და რომელიც კვლავ გაიზარდენ, როგორც აუცილებელი შედეგი აღმშენებლობის რევოლიუციონურ ბრძოლისა.

ძირითადი ამოცანა

მაგრამ როგორ შეიძლება იქნას უზრუნველყოფილი საერთო რევოლიუციონური პერსპექტივა და ჩვენს ირგვლივ მყოფ ცხოვრების ფაქტისადმი რევოლიუციონური მიდგომა.

ასეთი გარანტია და უზრუნველყოფა პოლიტიკურ განსწავლისა და საზოგადოებრივ გამოცდილების დაგროვებასთან ერთად მიიღება.

ამგვარად, ძირითად, უმთავრეს ამოცანად სდგება მუშგლეხკორის მოძრაობის წინაშე. მან უნდა იზრუნოს შინა მუშაობის გაძლიერებაზე; ე. ი. კულტურულ, პოლიტიკურ დონეს ამაღლებაზე, თვითგანვითარებაზე.

თათბირმა აღნიშნა ამ მუშაობის სისუსტე, აღნიშნა ნაკლი.

როგორ უნდა შეუდგეთ თვით აღზრდის და თვით განათლების საქმეს?

მუშგლეხკორების ზოგიერთ წრეებს ეს საქმე ესმოდათ ისე, რომ თავის თავს „სკოლებად“ ხდიდენ, ე. ი. იმუშავებდენ პროგრამებს, წესებს, იწვევდენ ხელმძღვანელებს და... იზეპირებდენ პოლიტცოდნას, ან ისტორიულ მატერიალიზმს, პოლიტცოდნას; ისტორიას ლიტერტურას და სხ. წრე „აკადემიად“ იქცეოდა.

სწორია საქმის ასეთი დაყენება?

რასაკვირველია, არა! მუშკორებისა და გლეხკორების წრე, რომელიც თავის თავს სკოლად ხდის, ჯერ ერთი, ვერ შექმნის კარგ სკოლას (არ ეყოფა ძალები და საშუალებანი), მეორე, რაც უმთავრესია, თავის არსებობის ძირითად ღირებულებას სპობს. ჰკლავს თავისში იმას, რისთვისაც იგი მოწოდებული არის.

მუშგლეხკორთა წრე—მომქმედი, ცოცხალი ორგანიზაციაა, რომელიც პრაქტიკულ დარგში მუშაობს, მაგრამ არა კულტურული ორგანიზაცია. არა სკოლა.

რა უნდა ვქნათ მაშინ?

მუშგლეხკორის საერთო, პოლიტიკური განათლება ჩვეულებრივი გზით უნდა მიდიოდეს, ე. ი. პოლიტგანათლების, სახალხო განათლების სისტემით, და ბოლოს, პარტიული განათლების სისტემით.

მუშგლეხკორის თვითაღზრდითი მუშაობა მუდმივი სახით, თავისი პრაქტიკული მუშაობის სისტემატიურ თავის მოყრის გზით უნდა მიმდინარეობდეს. დაწერილია შენიშვნა, გამოშვებულია კედლის გაზეთის ნომერი. წრე თავის მორიგ სხდომაზე შეაფასებს თავის ნამუშევარს, გამოიყვანს არა მარტო პრაქტიკული, არამედ პოლიტიკური დასკვნებიც; შენიშვნის წერილის განხილვის პროცესში, იგი შეისწავლის მის ირგვლივ მომხდარ ამბების სწორ გაგებას, ნახულობს კავშირს შორეულთან, აგროვებს ცოდნასა და ცდას, და ერთის წუთითაც არ შორდება ცოცხალ საქმეს.

ცხადია, რომ არაფერი არ შეიძლება ითქვას ცალკე ლექციებისა, მოხსენებისა და სხ. წინააღმდეგ. მაგრამ წრის სკოლად გარდაქმნის პრინციპი ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნას დავიწყებული.

მუშგლეხკორთა არმიის ავანპოსტი

აღმზრდელობითი მუშაობასთან ერთად იზრდება მუშგლეხკორთა წრის მნიშვნელობა.

მან უნდა შეჰკრიბოს, დარაზმოს ძალები და გამალოს თავისი მუშაობა მთელის სიფართოვით.

ყველაზედ უკეთ იგი ამას შესძლებს მაშინ, როცა უშუალოდ შექმნის გაზეთს, უხელმძღვანელებს მას, შეაკავშირებს მისი საშუალებით მკითხველებს და იქონიებს მათზე გავლენას.

ჩვენ ბევრს ვფიქრობდით და ვდავობდით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შესდგეს კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია. თათბირმა გადაჭრით უარყო სარედაქციო კოლეგიის წარმოებასა, დაწესებულებისა და სხ. საზოგადო კრებებზე არჩევა, ზემოდან არჩევა. კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას მუშგლეხკორის წრე უნდა ირჩევდეს.

იგივე სარედაქციო კოლეგია წრის ხელმძღვანელი ორგანოცაა.

მუშგლეხკორთა მოძრაობის ხელმძღვანელობის შესახებ

მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ კედლის გაზეთიც და წრეც ხელმძღვანელობის გარეშე რჩება? ნიშნავს ეს იმას, რომ პარტია უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე? რასაკვირველია, არა!

ხელმძღვანელობის საკითხის შესახებ თათბირმა ორი გადახრა აღნიშნა: მუშგლეხკორების ცალკე ორგანიზაციების ცდა პარტიულ ხელმძღვანელობის თავიდან აცილებისა, ცდა, რომელიც ორ-სამ ადგილას იმაში გამოიხატება, რომ მუშგლეხკორებმა თავისი თავი პარტიას დაუპირდაპირეს. ზოგიერთი პარტორგანიზაციების მიერ ხელმძღვანელობაზე ხელის აღება, როგორც შედეგი პარტიის დირექტივების არა სწორად გაგებისა.

ჩვენ ზევით უკვე ვსთქვით, რომ მუშგლეხკორთა ორგანიზაციების ძირითადი ღირებულება მათ საზოგადოებრივ აქტიურობაში, თვითმოქმედებაში და ყოველი მისი წევრი პრაქტიკულ მუშაობაში მდგომარეობს.

„მუშგლეხკორთა მოძრაობა—საბჭოთა დემოკრატიის ნაწილია“—ამბობდა ამხ. ბუხარინი.

და რადგან ეს ასეა, მაშინ მოძრაობის ხელმძღვანელობაც დემოკრატიული უნდა იყოს. ბრძანებლობის, წვრილმანი ოპეკის მეთოდებს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეთ პარტხელმძღვანელობის არსენალში. ავტორიტეტით, პოლიტიკურ მომწიფებით, პრაქტიკულ გამოც- გლეხკორთა წრის დაპყრობა უჯრედს, პარტ- დილებით,—მხოლოდ ამით შეუძლიან მუშ- ორგანიზაციას; მხოლოდ ასეთი მეთოდებით შეიძლება განახორციელდეს პარტხელმძღვანელობა.

ასეთი ხელმძღვანელობა უფრო ძნელია, ვიდრე ბრძანებლობა, მაგრამ სამაგიეროდ, შედეგები განუსაზღვრელად უფრო დიდია: ინიციატივისა და თვითმოქმედების დაცემის მაგიერ, რომელსაც აუცილებლად გამოიწვევს ბრძანებლობა, ახალი იმპულსი ჩნდება მუშაობისადმი, იქმნება უფრო მჭიდრო კავშირი პარტიასთან მისი ძირითადი ორგანიზაციის—უჯრედის საშუალებით.

პარტიისა და მუშგლეხკორთა მოძრაობის შორის, როგორც დამაკავშირებელი რგოლი, სდგას რედაქცია. მას ეკისრება მუშგლეხკორის პრაქტიკული ხელმძღვანელობა. მას, თავის მუშაობის დროს, პრაქტიკულად საქმე აქვს მათთან და ბეჭდვითი სიტყვის აგიტაციის და პროპაგანდის დარგში დაგროვილი გამოცდილების მეოხებით მას საუკეთესო დახმარების გაწევა შეუძლია მუშგლეხკორებისათვის, მას ყველაზედ უკეთესად, ვიდრე რომელიმე ორგანიზაციას, შეუძლია მუშგლეხკორების თავის მზრუნველობაზე აყვანა და მათი ხელმძღვანელობა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად ჩვენი გაზეთების რედაქტორები საკმაოდ ვერ აფასებენ მუშგლეხკორთა მოძრაობის დიდ მნიშვნელობას, თუ სიტყვით არა, საქმით მაინც.

აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ მუშგლეხკორთა მოძრაობამ სათანადო ადგილი მოიპოვოს სარედაქციო აპარატში.

მაშინ, მუშათა კლასის და გლეხობის ცოცხალი, შემოქმედებითი ძალები, მუშგლეხკორთა კალაპოტით მიმართული, მეტის სისწრაფით აამოძრავებენ გაზეთის აპარატის ტურბინებს და უფრო გააძლიერებენ გაზეთს.

ვ. სუტირინი.

უცხოეთიდან საფოსტო ამანათების მიღების წესი

საგარეო. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ახალი წესი უცხოეთიდან იმ ამანათების მისაღებად, რომლებიც შეიცავენ პირადათ სახმარ საგნებს.—სია იმ საგნების, რომელთა ულიცენზიოთ მიღება უცხოეთიდან ნებადართულია, გადასინჯული და შეცვლილია.

ულიცენზიოთ შემოსატანად ნებადართულ საგნებს შორის არის: ბრინჯი (არა უმეტეს 5 კილოგრამისა); ლიმონები, ფორთოხალი, ბანანი (არა უმეტეს 5 კილოგრამისა); ზეთისხილი (არა უმეტეს 5 კილოგრ.); შაქარლამა (არა უმეტეს 50 გრამისა თითეული ხარისხის); ყავა, კაკაო (მარცვლოვანი), ჩაი (არა უმეტეს 5 კილოგრ. თითეული სახელწოდების); კაკაო ფხვნილი (არა უმეტეს 2 კილოგრ.); თამბაქო და სიგარები (არა უმეტეს 1 კილოგრ.); ხორცი და ხორცის პროდუქტები (არა უმეტეს 5 კილოგრ.); ფეხსაცმლების (არა უმეტეს ერთი წყვილისა); ტყავის დანარჩენი საგნები—არა უმეტეს ერთი საგნისა; ფაიფურის, ფაიანსისა და შუშის საგნები არა უმეტეს 5 კილოგრამისა თითეული სახელწოდებისათვის; საექიმო და ფარმაცევტული პრეპარატები—იმ რაოდენობით, როგორც ეს აღნიშნულია ექიმების რეცეპტებზე; კოსმეტიკა—არა უმეტეს 500 გრამისა; საპონი არა უმეტეს 1 კილოგრამისა; ოქრო, ვერცხლი და პლატინა და ამ ლითონებიდან დამზადებული ნაწარმოები—არა უმეტეს 2 საგნისა თითეული სახელწოდებისათვის; იარალი ცეცხლის მსროლელი და ვაზნის, ვაზნები და სანადირო მოწყობილობა—არა უმეტეს 5 კილოგრამისა; ფოტოგრაფიული და საფოსტო ქაღალდი—არა უმეტეს 1 კილოგრ.; წიგნები, სურათები, გეოგრაფიული რუკები და ნოტები—არა უმეტეს ორ-ორი ცალისა; ნაქსოვი და ნაწნავი საგნები და სხვა. (ხელთათმანები—არა უმეტეს 3 წყვილისა, საცვლები—არა უმეტეს 6 წყვილისა, წინდები—არა უმეტეს 6 წყვილისა) საცვლები და ტანსაცმელი (ტანსაცმელი—არა უმეტეს 1 კომპლექტისა, საცვლები—არა უმეტეს 6 კომპლექტისა); ქუდები—არა უმეტეს 2 ცალისა.

ამანათები, რომლებსაც სავაჭრო ფირმები გზავნიან სავაჭრო ფირმების სახელზე, ითვლება სავაჭრო ხასიათის ამანათებათ და უკანვე იგზავნება. ასეთივე კატეგორიას მიეკუთვნება ამანათებიც, რომელთა გამოგზავნას მასიური და სისტემატიური ხასიათი აქვთ.

ამანათებისათვის, რომლებიც იგზავნება სახელმწიფო დაწესებულებებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების სახელზე, არ არის საჭირო შინა-ვაჭრობის კომისარიატის ნებართვა, თუ ისინი შეიცავენ ნიმუშებს, რომლებსაც საქონელის ხასიათი არა აქვთ. არ არის აგრეთვე საჭირო შინა-ვაჭრობის სალიცენზიო ნებართვები იმ ამანათებისათვის, რომლებიც უცხოეთიდან იგზავნება უნივერსიტეტის (უნივერსიტეტის კლინიკების, ლაბორატორიების და სამეცნიერო კაბინეტების) და სხვა უმაღლეს სასწავლებლების სახელზე. ასეთი ამანათებით ნებადართულია სამეცნიერო ხელსაწყოების, წიგნების და სხვა შესაფერ მოწყობილობათა მიღება.

ახალი წესები ძალაში შედის მიმდინარე წლის 1-ლი ნოემბრიდან.

ბინის ქირა

საკავშირო ცაკმა დაამტკიცა ახალი კანონი საბინაო ქირისა და ქალაქებში ბინებით სარგებლობის მოწესრიგების შესახებ. საკავშირო რესპუბლიკებს ცაკებს წინადადება მიეცა მიმდინარე წლის 15 ივლისისათვის ამ დადგენილების მიხედვით გადასინჯონ საბინაო ქირის შესახებ ყველა დღემდი გამოცემული კანონები და დადგენილებები.

საბინაო ქირის განაკვეთები ისეა შემუშავებული, რომ იგი შეიცავდეს: 1) ბინების ექსპლოატაციისა და ნორმალური ამორტიზაციის ღირებულებას, რომელიც გამომუშავებულია 85 კაპ. რაოდენობით საცხოვრებელი მოედანის თითეულ მეტრზე (1 მ. 60 კაპ. კვ. საჟენზე). ეს თანხა შესაფერად მცირდება მოუწყობელ და განაპირა უბნებში მდებარე ბინებისათვის; 2) პროცენტებს შენობის ღირებულებაზე—საბინაო ფონდის აღსადგენათ და გასაფართოებლად. დიდი ქალაქებისათვის ეს ნიხრი შეიძლება გადიდებული იქნას 44 კაპეიკამდი თითეულ კვადრატიულ მეტრზე (2 მ. კვადრ. საჟენზე), პატარა ქალაქებისათვის კი—შემცირებული 26 კაპ. კვადრ. მეტრზე (1 მ. 20 კაპ. კვადრ. საჟენზე). გარდა ამისა, ეს ნიხრი შემცირებული იქნება მოუწყობელ და ქალაქის განაპირა უბნებში მდებარე ბინებისათვის.

იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებიც 125 მ. ნაკლებს იღებენ თვეში, საბინაო ქირა შემცირებულია ისე, რომ იგი ეთანაბრებოდეს საბინაო ნიხრს. იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის რომლებიც თვიურად 125 მანეთზე მეტს იღებენ. საბინაო ქირის განაკვეთი ხელფასის მიხედვით მატულობს. მუშა-მოსამსახურეთა საბინაო ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება მთელი მათი ხელფასი, გარდა ზედმეტი საათების მუშაობის გასამრჯელოსი. ის პირები რომლებსაც შეთავსებით რამდენიმე თანამდებობა უჭირავთ, ან იღებენ ტანტიემას და გასამრჯელოს პროცენტების სახით, ბინის ქირას იხდიან მთელი თავისი თვიური შემოსავალის მიხედვით.

უმუშევრები, რომლებიც სოციალურ უზრუნველყოფაზე იმყოფებიან, პენსიონერები და მოწაფეები, რომლებიც სახელმწიფო სტიპენდიას იღებენ, ბინის ქირის გადახდის მხრივ გათანაბრებული არიან მუშა-მოსამსახურეებთან. თავისუფალი პროფესიის პირებისათვის საბინაო ქირის განაკვეთი წესდება არა უმცირეს საბინაო ნიხრისა და გადიდდება გადამხდელის შემოსავალის მიხედვით. თავისუფალი პროფესიის ისეთი კატეგორიის პირებისათვის, როგორიც არიან ლიტერატორები, მხატვრები, სამეცნიერო მუშაკები, საკავშირო რესპუბლიკებს შეუძლიათ შეღავათიანი ტარიფების დაწესება ან და მათი სრული გათანაბრება მუშა-მოსამსახურეებთან.

შემდეგ, საკავშირო ცაკის დადგენილებაში განსაზღვრულია წესები საბინაო ქირების გამოსაანგარიშებლათ შინამრეწველებისა და ხელოსნებისათვის, აგრეთვე ვაჭრებისა და ყველა იმ პირებისათვის, რომლებიც არაშრომითი შემოსავლით ცხოვრობენ. საკავშირო რესპუბლიკების ცაკებს წინადადება მიეცა შეიმუშაონ და ცხოვრებაში გაატარონ ღონისძიებები მდგომარეობის გამოსახლების, ჩასახლების და შემჭიდროების მოსაწესრიგებლათ და ბინის დამქირავებელთა სხვა უფლებების უზრუნველსაყოფად.

კოოპერაციის დღისათვის

კოოპერატიული გამოფენა

თბილისში კოოპერატიული დღის ჩამტარებელი კომისიის ინიციატივით, მუშათა ცენტრალურ კლუბში 3 ივლისისათვის იხსნება კოოპერატიული გამოფენა.

გამოფენაზე გახსნილ იქნება საერთაშორისო კოოპერაციის განყოფილება, სადაც წარმოდგენილი იქნება საერთაშორისო კოოპერატიულ სოლიდარობის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მომენტები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე საქართველოს კოოპერატიული მოძრაობა, და განსაკუთრებით, თბილისის მუშკოოპის მოღვაწეობა დიაგრამებში და სურათებში.

გამოფენა გახსნილი იქნება 3 და 4 ივლისს; შესვლა ყველასათვის უფასო იქნება.

მოხსენებები

საერთაშორისო კოოპერატიული დღის ჩამტარებელმა კომისიამ უკვე დაიწყო მოხსენებების კამპანიის ჩატარება თბილისის წარმოება-დაწესებულებებში და კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

მოსავალი

თელავის მაზრაში ქერის მკა თითქმის დამთავრებულია. ხშირმა წვიმებმა კარგი გავლენა იქონიეს სიმინდის ნათესებზე და ბაღჩებზე.

წნორის წყალში ვენახების მოსავალი წელს საშუალოზე უკეთესი იქნება.

ლაგოდეხში თამბაქოს პლანტაციებს გასულ წელთან შედარებით უკეთესი პირი უჩანს.

ახალციხის მაზრაში კარგი ამინდები დაიჭირა. უკანასკნელ წვიმების დროს ზოგიერთ რაიონებში დაზიანდა ბაღები. საერთოდ ნათესების მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია.

აფხაზეთში სასოფლო მეურნეობის კულტურათა მდგომარეობა საშუალოა.

მეთევზეობა

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ძლიერ განვითარებულია მეთევზეობა. მეთევზეობის კუთხეებათ ითვლებიან ახალქალაქის მაზრა, ახალციხის მაზრა, ალაზნის რაიონი და სხ.

მიწათმოქმედების კომისარიატმა დაადგინა მეთევზეობის უფრო რაციონალურ ნიადაგზე დასაყენებლად მოახდინოს აღნიშნულ რაიონებში მეთევზეობის საქმის გამოკვლევა, და გამოიმუშაოს ზომები ჩვენში მეთევზეობის და თევზაობის საქმის გასაუმჯობესებლად.

ზარალის ანაზღაურება

როგორც მკითხველებმა იციან, მცხეთაში აცრისგან დაიხოცა ასეული სული საქონელი; სათანადო ორგანოების მიერ მიღებული იქნა მაშინვე ზომები დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად და მიზეზის გამოსარკვევად. ამ შემთხვევამ დიდათ დააზარალა გლეხობა და ხელიდან გამოაცალა მუშა-საქონელი. თბ. აღმასკომმა გაითვალისწინა რა დაზარალებულ გლეხების მდგომარეობა და გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე გლეხებისათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ზოოლოგიური ბაღი

საქართველოს მონადირეთა კავშირი უკვე დიდი ხანია შეუდგა გარეულ ცხოველების შეგროვება-მოშენებას ზოოლოგიური ბაღისათვის, რომლის გახსნა განზრახულია თბილისში.

ჯერ-ჯერობით შეგროვებულია შემდეგი ცოცხალი გარეული ცხოველები:—ჯიხვი, მგლები, კაკაბი, დათვები და სხ. ამ დღეებში მოიყვანეს ორი დათვის ბელი.

ამ ზაფხულზე განზრახულია ირმების, გარეული ღორის, და არჩვების უცხო ეკზემპლიარების დაჭერა.

თბილისის ბირჟაში

სამრეწველო სექცია

თბილისის საქონლის ბირჟის სამრეწველო სექციის უკანასკნელ სხდომაზე საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. გევორქოვმა გააკეთა ინფორმაციული მოხსენება ამიერ-კავკასიაში ფართლის შემოტანის შესახებ მიმდინარე სამეურნეო წლის მესამე მეოთხედში და საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილბის შესახებ.

რკინისგზებზე

ბრძოლა ლოთობასთან

ა.-კ. რკინისგზებზე ადგილი აქვს ლოთობას. რკინისგზების მმართველობამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც მატარებლებში, სადგურებში და კანტორებში მთვრალი აგენტის ნახვის დროს არ არის საჭირო შესამოწმებლად ექიმის გამოწვევა, რადგან ეს ცნობილია ზედმეტად.

გზის გაფუჭება

28 ივნისს სომხეთის ხაზზე მოვიდა ძლიერი წვიმა. წვიმამ მე-52 ვერსზე სადგ. შულავერ-სადახლოს შუა გარეცხა რკინისგზის ხაზი. ამ შემთხვევის გამო, ხაზი დიკეტა ღამის 3 საათიდან—დილის 8 საათამდე და 30 წუთამდე. შულავერში დაკავებულ იქნა მატ. № 11 2 საათით და 46 წუთით და მატ. № 407 6 საათით და 2 წუთით.

ქრონიკა

თბ. აღმასკომში

— **სართიჭალის სასამართლოს საგარეჯოსთან** შეერთების საკითხის გამოსარკვევად აღმასკომმა შეადგინა სპეციალური კომისია.

— **კრემატორიუმი.** აღმასკომი შეუდგა წინასწარ მუშაობას თბილისში კრემატორიუმის ასაგებათ.

— **წყალის გადასახადში** შეღავათი არ მიეცემა იმ სახლებს, რომლებსაც არა აქვს წყალის დავთარი.

შრომის სახ. კომისარიატში

— **ცეტრალურ არქივში** მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევას შრომის დაცვის განყოფილება შეუდგა ამ დღეებში.

— **გორის მაზრაში** დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო შრომის ინსპექტორი.

— **მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნის** სანიტ-გიგიენურ პირობების გამოსაკვლევად გაიგზავნა ექიმი ანდრონიკაშვილი.

— **შრომის მუზეუმთან** ფიზიოლოგიური განყოფილება უკვე მოეწყო.

სამეურნეო დაწესებულებებში

— **სას.-სამ. გადასახადი.** ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა დაადგინა 15 ივლისამდე აკრიფოს სას.-სამ. გადასახადი.

სხვადასხვა

— **ექსკურსია მცხეთაში.** მუშათა ახალი კლუბი კვირას დილით თავის წევრებისათვის აწყობს ექსკურსიას მცხეთაში.

— **შინაგან საქმეთა კომისარიატმა** შეადგინა ოთხწლედის შენობის ტიპიური გეგმა, რომელიც დაეგზავნა ადგილებს სახელმძღვანელოდ.

— **მიწათმოქმ. კომისარიატი** ახლო მომავალში შეუდგება წყვლის სატყეოს მოწყობას.

— **პანსიონატი.** წაღვერში - ივლისს გაიხსნება პანსიონატი 50 ოთახით.

ხელოვნების ქრონიკა

— **მუშათა ახალ კლუბში** დღეს გაიმართება კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის გუნდის საჩვენებელი კონცერტი.

— **„დათვური ქორწილი“.** კინო „ოდეონში“ დაიწყო ცნობილ კინო-სურათ „დათვურ ქორწილის ჩვენება.

— **„ნიბელუნგები“.** აპოლოში დაიწყო მსოფლიო კინო-სურათ „ნიბელუნგების“ ჩვენება. 1-2 სერია მიდის ერთად.

— **„მნათობი“.** გამოვიდა ჟურნალ „მნათობი“ № 5 და 6.

— **თურქების კლუბის შეკეთება** დამთავრდა. საღამო-წარმოდგენების მართვა დაიწყება ახლო ხანში.

ახალი წიგნები

— **დ. თურდოსპირელის** ნაწერების პირველი წიგნი გამოვიდა, შეიცავს 200 გვ. და ღირს 1 მ. 50 კ.

— **„1905 წ. რევოლიუცია ა.-კავკასიაში“.** გამოვიდა ს. კ. პ. პარტიის მიერ გამოცემული „1905 წ. რევოლიუცია ა.-კავკასიაში“, წიგნი გამოცემულია სუფთად, კარგ ქაღალდზე, შეიცავს 200 გვ. და ღირს 1 მ. 50 კ.

შემთხვევები

უცაბედი მკვლელობა

გუშინ ღამის 10 საათზე მე-9 კომისარიატში გამოცხადდა ტელეგრაფის ჩიხის № 3 მცხოვრები ბორის ხიტრინი, რომელმაც განაცხადა, რომ ის სეირნობდა მის ნაცნობ ქალთან ლიუდმილა ზეინმანთან; ქალმა სეირნობის დროს მას სთხოვა რევოლვერი, რომელიც უცბად გავარდა და მოკლა ნეირმანის ქალი.

— **თავის მოწამლა.** გუშინ კახეთის ქ. № 12 თვითმკვლელობის მიზნით, თავი მოიწამლა გაიანე ღვამიაჩიძემ. მიზეზი გამოურკვეველია.

—**თავდამსხმელების შეპყრობა.** გასული წლის ბოლოს ორთაჭალაში მოქ. ბაროვას გაძარცვის მიზნით თავს დაესხენ ბოროტმოქმედნი, რომელნიც მიიმალენ.

გუშინ თბილისის სისხლის სამართლის მილიციის მიერ ბოროტმოქმედნი ვლადიმერ და გიორგი ჯიჯიები შეპყრობილი იქნენ სოჭაში.

— **დაჭრა.** გუშინ საღამოს, საბჭოს ქუჩაზე № 95 მძიმეთ დასჭრეს გლეხი უსიკარიშვილი.

— **ძმის მოკვლა.** ვანქის ეკლესიის მახლობლად ჩხუბის დროს ძმის მიერ დანით მოკლული იქნა მნაცაკან ახნაზაროვი.

— **დაჭრა.** 28 ივ., კახეთის ქ., № 14, კარაპეტ გაბრიელიანცმა დანით მძიმეთ დასჭრა არშაკ ავეტისოვი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **დახრჩობა.** 27 ივ., მცხეთაში ჩასულ ექსკურსიის ერთი მონაწილეთაგანი ივანე პოლოსიანი მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო.

— **მკვლელობა.** სოფ. თიანეთში შაქრო ჩახუტაშვილმა თოფით მოჰკლა ვასო ბელივიშვილი. მკვლელი შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** 28 ივ., ქურდობისათვის შეიპყრეს თათრის ქალი აისა ახან-კიზი.

— **ქურდობა.** რუსთ. პრ., № 59, გაქურდეს ვარდანა აგამალიანის ბინა.

— ამავე დღეს ამაღლების ქ., №9, ვერვერა არუთინოვის ბინიდან მოიპარეს 150 მან.

— 27 ივ., თამარის ქ., № 3, გაქურდეს სალომე არჩუაძის ბინა.

შუშის ქარხანა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განზრახული ჰქონდა საქართველოში აეგო შუშის ქარხანა, რომელიც დაამზადებდა ბოთლების და ფანჯრის შუშებს, მაგრამ რადგან დარუპანდში შენდება დიდი ქარხანა, რომელიც შუშეულობას ამზადებს, ამიტომ საქართველოში შუშის ქარხნის აგება შეჩერდა.

ამჟამად ეს საკითხი ხელმეორედ დაისვა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამეურნეო საბჭოში, **სადაც იგი დადებითად გადაწყდა.**

ს. მ. უ. საბჭოს დადგენილებით ქარხანა აშენდება ლაშეში (ხორაგოულის ახლოს).

ბორჯომის წყალის გასატანად მომავალში საჭირო იქნება 15 მილიონი ცალი ბოთლი წლიურად, სპირტის და კონიაკის წარმოებას მოუნდება 10 მილიონი თეთრი ბოთლი, ღვინის წარმოებას კი 20 მილიონი ბოთლი. საქ. მეურნეობისათვის საერთოდ საჭირო იქნება 30-40 მილიონი ბოთლი, რომლის დამზადებასაც თავისუფლად შესძლებს შუშის ქარხანა.

ნედლი მასალა, რომელიც ქარხნისათვის არის საჭირო, უხვად მოიპოება ხორაგოულის რაიონში.

ქარხნის ასამუშავებლად საჭიროა ქვა-ნახშირი, რომელიც მიღებული იქნება ტყიბულიდან. შუშის წარმოებისათვის აუცილებელია აგრეთვე გლაუბერის მარილი, რომელსაც მოიტანენ მუხრავანიდან.

ქარხანა დაამზადებს თეთრ და ლურჯ ბოთლებს. ქარხანაში იმუშავებს 400-500 მუშა.

სასამართლო

ქალის გაუპატიურება

კიტიას საქმე

მესამე სხდომაზე მოწმეების დაკითხვა დიდ ინტერესს იწვევს. პირველად დაკითხულ იქნა კიტიას ცოლი—**სუსანა,** რომელმაც უამბო სასამართლოს, რომ მან ეჭვით იცოდა ის გარემოება, რომ თინა ჯ-ლს უყვარდა ბრალდებული კიტია. ეს ეჭვი დადასტურებულ იქნა თინა ჯ-ის მიერ კიტიასადმი მიწერილ წერილებით. მოწმე გადაჭრით აღიარებს, რომ თინა ჯ-ლი მის ქმარს სწერდა სატრფიალო წერილებს დაზარალებული ჯ-ის ქალი კიტიასადმი მინაწერ წერილებში უმაწური სიტყვებით იხსენიებდა სუსანა კიტიას. ეჭვიანობის ნიადაგზე კიტიასა და მის ცოლს შორის ხშირად უსიამოვნებას ჰქონია ადგილი, მაგრამ კიტია არწმუნებდა ცოლს, რომ მართალია თინას უყვარს იგი, მაგრამ მას კი არა და, რომ მის გულში თინას სიყვარულის გრძნობა ჩამქრალია. ამის შემდეგ სუსანამ თავი გაანება ეჭვიანობას და თინა ჯ-ლს ჩვეულებრივად შეხვდებოდა ხოლმე.

სუსანა, ამა წლის 1-ლ მარტს, შემთხვევით შეხვდა თინას, რომელიც თავისი სურვილით წაყვა მას ბინაზე. მოწმე განაგრძობს—ქმარმა ძითხრა—წავსულიყავი ავადმყოფ ბიბიისათვის წამლის მოსატანად. ასეც მოვიქეცი, წაველი და ისინი დავტოვე.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებული კიტია წაკითხულ რეფერატიბში იყო მომხრე წმინდა, იდეალური სიყვარულისა.

მოწმე თინა **ხომერიკმა** უამბო სასამართლოს, რომ ხშირად გვსმენია ბრალდებულისაგან უკმაყოფილება ახალ ოჯახში შექმნილ მდგომარეობით.

ბრალდებულმა **კიტიამ** სასამართლოში უარყო ის გარემოება, რომ თითქოს თავის ცოლს ის ამცირებდა თინას წინაშე და სასამართლოს შეკითხვზე მისწერა თუ არა წერილი თინას—განაცხადა: არ მახსოვსო.

სამოქალაქო მასარჩლის წარმომადგენელმა **ტატიშვილმა** წარუდგინა სასამართლოს კიტიას მინაწერი წერილი თინასადმი, რომელშიაც სწერდა, რომ ცოლის შერთვის შემდეგ, ის ჩავარდა მახეში და, რომ მას თინა ჯ-ის ქალი გაგიჟებით უყვარს.

ბრალდებულმა სასამართლოში განაცხადა, რომ წერილის ერთი გვერდი მისი ხელითაა დაწერილი, ხოლო მეორე გვერდი, სადაც ცოლის საგინებელი სიტყვა, ამისი ხელით არაა დაწერილი. ამის გამო მოხდენილ იქნა კალიგრაფიული ექსპერტიზა, რომლითაც გამოირკვა, რომ თინასადმი მიწერილი წერილი მთლიანად დაწერილია თვით ბრალდებულის მიერ. ექიმ-ექსპერტების დასკვნით გამოირკვა, რომ ძალდატანებით გაუპატიურების ფაქტს მართლაც ჰქონია ადგილი.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ ცხადდება, რომ სასამართლოს გამოძიება დასრულებულია. შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

სუსლინის, ტარსეისა და მასხულიას საქმე

გუშინ სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

მოწმე **მენაბდე** (სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის წევრი) უამბობს სასამართლოს, რომ რუსეთ-აზიურ ბანკის ლიკვიდაციის დროს სუსლინი მოწვეული იყო, როგორც საქმის კარგი მცოდნე. იგი დიდი ნდობით სარგებლობდა. კომისიის მიერ რუსეთ-აზიური ბანკი ჩაბარებულ იქნა არა წიგნების მიხედვით, არამედ ბანკში მოსამსახურე პირთა სიტყვიერი განცხადებით. სუსლინის მოხსენება, ბანკის გამგეობაში წარდგენილი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ შავი-ქვის მადანი, მდებარე ფოთის ზოგიერთ პლატფორმაზე შეადგენს ინგლისის „კლაიდესდალ ბანკის“ საკუთრებას.—მოწმეს ბანკში არსებულ ზოგიერთ დოკუმენტების მიხედვით, სიმართლეთ მიაჩნია. ასეთივე მსგავს ჩვენებას იძლევა მოწმე **ლორთქიფანიძე** (სასოფლო-სამეურნეო ბანკ. გამგ. ყოფ. წევრი).

მოწმე **სალონიკიდი** (რუსეთ-აზიურ ბანკის ფოთის განყ. აგენტი) აღნიშნავს, რომ მადანის მოძრაობის შესახებ ცნობებს წიგნებში არ ატარებდა. ბათომის განყოფილებას ყოველთვიურად უგზავნიდა ცნობებს მიღებულ და გადაგზავნილ საქონელზე, რომელსაც ატარებდა არა ოფიციალურ წიგნში. სუსლინი თავის მოხსენებაში ამ ცნობას ეყრდნობოდა. როგორც მოწმეების დაკითხვიდან ირკვევა რუსეთ-აზიურ ბანკის ფოთის განყოფ. აგენტის ცნობით, შავი-ქვის მადანი მდებარე ფოთის ზოგიერთ პლატფორმებზე ეკუთვნის „კლაიდესდალ ბანკს“.

1923 წლის ჯონ-ელიატი, ინგლისის სამთამადნო ფირმის „ფარვურდ და სელარის“ რწმუნებული დრინანთან ერთად წავიდა ფოთში, საიდანაც მიიღეს ნარკვევი ზემო-აღნიშნულ მადნის „კლაიდესდალ ბანკის“ კუთვნილების შესახებ, რაიც შემოწმებული იქნა ნოტარიული წესით. გამოირკვა, რომ მენაბდე ჯონ- ელიოტისათვის (ინგლისის სამთა-მადნო ფირმის „ფარვურდ და სლარის“ რწმუნებული) ცნობების მიწოდების დროს სარგებლობდა რუსეთ-აზიურ ბანკის ფოთის აგენტის ინფორმაციით.

მეცნიერება და ტექნიკა

1925 წ. სამეცნიერო მიღწევები

ასტრონომია

1925 წ. უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა 24 იანვრის მზის დაბნელება, რომლის სრული ფაზა სჩანდა შეერთებული შტატების მეტად დასახლებულ ნაწილში, მათ რიცხვში ნიუ-იორკშიც. მზის დაბნელებამ დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც მეცნიერებს შორის, ისე მოსახლეობის ფართე მასებში. დაკვირვებების მოსახდენათ ადრევე დაიწყეს მზადება და სამეთვალყურეო პუნქტებს შორის გაბმული იქნა სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი. მომზადებული იქნენ აეროპლანები და უზარმაზარი დირიჟაბლი „ლოსანჟელოს“,—ეს იმ შემთხვევისათვის, თუ ღრუბლიანი დღე იქნებოდა. დაკვირვებებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საზოგადოებებში და წრეებში გაერთიანებულმა 25 მილიონმა მოხალისემ. დაბნელების მრავალრიცხოვან სამეცნიერო შედეგებიდან უნდა აღინიშნოს მზის გვირგვინის გამოსხივების შესწავლა ფოტო-ელექტრონული გზით. გამოირკვა, რომ გვირგვინის ტემპერატურა უდრის 4000 გრადუსს და რომ მზის გვირგვინი უნდა შესდგებოდეს ცალკე ელექტრონებიდან.

მზესთან დაკავშირებულ სხვა გამოკვლევებიდან უნდა აღინიშნოს მზის ლაქების მიხედვით ამინდის წინასწარმეტყველების ცდები. შენიშნულია, რომ ლაქების გაჩენა იწვევს მზის გამოსხივების გაძლიერებას, რაც გავლენას ახდენს დედამიწის ატმოსფერაზე.

1925 წ. განმავლობაში დამუშავებული და გამოქვეყნებული იქნენ 1924 წ. მარსზე დაკვირვების შედეგები: ამ დაკვირვებების შესახებ ჩვენ მრავალი ცნობები გვქონდა მოთავსებული და ამიტომ აქ მათ არ გავიმეორებთ. მოვიყვანთ მხოლოდ ასტრონომ **გამილტონის** აზრს. გამილტონმა განაცხადა, რომ ე. წ. „არხები“ მარსის სხვადასხვა ნახევარსფეროებში წარმოადგენენ ერთი და იმავე დიდი წრეების ნაწილებს. ამისდამიხედვით იგი დაასკვნის, რომ ეს „არხები“ წარმოადგენენ ხელოვნურ ნაშენობებს და თითეული „არხი“ გარშემო უვლის მთელ პლანეტას.

ასტრონომმა **გებლმა** 100 დ. ტელესკოპით. გადაიღო ანდრომედის ნისლოვანება და ხვიისებური ნისლოვანება სამკუთხედის კრებულში. ამ ფოტოგრაფიებზე ნათლად სჩანს, რომ ორივე ეს ნისლოვანება წარმოადგენს ვარსკვლავთ გუნდებს და მანძილი მათდამი იმდენათ დიდია, რომ სინათლეს მის გასავლელათ მილიონი წლები ესაჭიროება. ეს დასკვნები ადასტურებენ იმ მოსაზრებას, რომ ნისლოვანებანი წარმოადგენენ შორეულ მზის სისტემებს.

1925 წ. განსაკუთრებული წელიწადია კუდიანი ვარსკვლავების რიცხვის მიხედვით. 1925 წ. განმავლობაში გამოჩნდა 11 კუდიანი ვარსკვლავი. ნაწილი მათ შორის ახლებია, ნაწილი კი—ძველი „ნაცნობები“, რომელთა გამოჩენას მოელოდენ ასტრონომები.

წინანდელ თეორიებს, რომელთა მიხედვით ახალი ვარსკვლავების ანთებას ხსნიდეს ორი ბნელი სხეულის დაჯახებით, მრავალი ნაკლი ჰქონდა. ამიტომ ახლა ფიქრობენ, რომ ჩამქრალ ვარსკვლავებში, შესაძლებელია, მოულოდნელად იწყება რადიო-აქტიური პროცესები, რის გამო ვარსკვლავი ჩქარა ხურდება და ანათებს.

ფეხბურთი

„ჟავშნიანი ნაწილები“—„პროლეტარი“

კვირას 27 ივნის, „დინამო“-ს მოედანზე გაიმართა მეორე კატეგორიის საუკეთესო გუნდების—„ჯავშნიანი ნაწილების“ და „პროლეტარი“-ს ამხანაგური შეჯიბრი.

შეჯიბრი გათავდა 3 : 3.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი კალენდარული შეჯიბრი პირველობაზე ამ გუნდებს შორის გათავდა 3 : 2 „ჯავშნიანი ნაწილების“ სასარგებლოთ.

ახალი სტადიონი

საქართველოს პროლეტარულ სასპორტო საზ-ბა „დინამო“-ს სტადიონი უკვე თითქმის მზათ არის. ამ დღეებში მოხდება მისი საზეიმო გახსნა. გახსნის დღეს სტადიონზე გაიმართება ამხანაგური შეჯიბრი „დინამო“-სა და პირველი კატეგორიის ერთ-ერთ გუნდის შორის.

ლენინგრადში

ლენინგრადი—ხარკოვი

20 ივნისს ლენინგრადში გაიმართა ლენინგრადის და ხარკოვის ნაკრები გუნდების შეჯიბრი. ის შეხვედრა დიდ სპორტიულ ინტერესს წარმოდგენდა. ხარკოვის ნაკრები გუნდი, რომელმაც 1924 წელში საბჭოთა კავშირის პირველობა აიღო და დაამარცხა მოსკოვის, ლენინგრადის და ამიერ-კავკასიის გუნდები, ლენინგრადში ჩავიდა თავისი საუკეთესო შემადგენლობით.

თამაში დაიწყო ლენინგრადელების შეტევით, რომლებსაც შეჯიბრის ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან ბრძოლის ინიციატივა. მიუხედავათ სასტიკი წინააღმდეგობისა, ხარკოვის გუნდმა თავის ჭიშკარში გაუშვა ხუთი ბურთი, თვითონ კი არც ერთი არ გაუტანია.

აღსანიშნავია, რომ ოთხი ბურთი ხარკოვის კარებში შეტანილი იქნა „პენალტიდან“.

ხარკოვის გუნდი დამარცხდა აგრეთვე ლენინგრადის მეორე ნაკრებ გუნდთან შეჯიბრებაში. შეჯიბრი გათავდა 4 : 0 ლენინგრადის სასარგებლოთ.

აზერბეიჯანში

„პროგრესი“—„პოლიტეხნიკუმი“

ფეხბურთის მიმდინარე სეზონი ბაქოში დამთავრდა აზერბეიჯანის საუკეთესო გუნდების—„პროგრესის“ და „პოლიტეხნიკური ინსტიტუტის“ საფინალო შეჯიბრით.

შეჯიბრი დამთავრდა 3 : 2 „პროგრესის“ სასარგებლოთ.

ამრიგად, პირველობა ბაქოში დარჩა „პროგრეს“-ს, რომელიც დაიცავს აზერბეიჯანის სახელს ამიერ-კავკასიის შეჯიბრზე ფეხფურთში.

უცხოეთი

გერმანია—ჰოლანდია

შეჯიბრი ფეხბურთში ჩრდილო-გერმანიასა და ჩრდილო-ჰოლანდიას შორის დამთავრდა გერმანიის გამარჯვებით 3 : 2.

ბაზრის ფასები

პურეულზე ფასები თბილისის ბაზარზე ეცემა. საქონლის მიწოდება აღემატება მოთხოვნილებას.

კერძოთ, ცალკე პროდუქტებზე ასეთი ფასებია: ქერი ფასობს 1 მან. 10 კაპ. ფუთი; სიმინდი—1 მან. 20 კაპ. ფუთი. მოთხოვნილებას აყენებენ მასზე უმეტესად არაყის ქარხნები. ჩრდილო-კავკასიის სიმინდზე ფასმა დაიკლო 80 კაპიკიდან—68 კაპეიკამდე; პურის ფქვილი ბაზარზე ცოტაა. მოთხოვნილებაა უმთავრესად ფქვილის პირველ ხარისხებზე.

ზეთი. მუდმივ მოთხოვნილებაშია საჭმელი ზეთი. მზესუმზირა ბლომათ მოიპოვება—ფასობს 7 მან. 75 კაპ. ფუთი.

კარაქის მხრივ ბაზარზე მტკიცე მდგომარეობაა; საქონელი ბლომად მოიპოვება.

შაქარიც ბლომადაა. ბრინჯზე მიწოდება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ხმელი ხილის მხრივ მდგომარეობა სუსტია—ნაკლებია მასზე მოთხოვნილება. დიდი სიცხოველე ემჩნევა თამბაქოს ნაწარმოების ვაჭრობას. ასეთი საკმაო რაოდენობით მოიპოვება.

საფეიქრო ნაწარმოებზე მოთხოვნილება აღემატება მიწოდებას.

ლითონის ნაწარმოებზე ზოგიერთ შემთხვევაში მტკიცე მდგომარეობაა: ზოგიერთის მხრივ ბაზარი განიცდის ნაკლებობას.

სააღმშენებლო მასალებიდან მოთხოვნილებაა ცემენტზე. ფანჯრის მინების მხრივ ბაზარზე გაცხოველებული მდგომარეობაა. ხე-ტყის მასალის ბაზარზე გაცხოველებული მდგომარეობაა, დიდია მოთხოვნილება მორებზე და სახურავ მასალებზე. ფასები მათზე მტკიცეა.

იურიდიული დახმარება

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ ჩემი ქმრით და ვაჟით მე-11-ტე სამილიციო უბანში (განაპირა უბანი) როსტოვის ქუჩა სახ. № 4. მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 24 კვად. არშინი; ვარ კავშირის წევრი (გან. მუშ. № 23.862) ჯამაგირს ვღებულობ თვეში 15 მანეთს.

სახლის პატრონი მთხოვს 5 მან. ბინის ქირად. მე-კი ამის მიცემის შეძლება არ მაქვს.

გთხოვთ გამიმარტოთ, თუ რამდენი მეკუთვნის ბინის ქირად, ანდა სად შევიტანო იგი. თუ სახლის პატრონმა ქირა არ მიიღო.

ეკატერინე მიშელაძისა.

პასუხი

ბინის ქირად საცხოვრებელ მოედნის თითოეულ კვადრატულ არშინზე გადაიხდით ერთ კაპეიკს. თუ სახლის პატრონი აღნიშნულ ქირას არ მიიღებს, შეიტანეთ იგი თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახ. კომისარის დეპოზიტში.

კითხვა

ვარ ო.-გ. პროფკავშირის წევრი. ჯამაგირს ვღებულობ 10 თანრიგით ე. ი. 50 მანეთს და 70 კაპ. ვცხოვრობ ანდრეევის ქუჩაზედ № 79 (10 სამილიციო უბანში), მიჭირავს საცხოვრებელ ბინად ორი ოთახი; რომლის სივრცე უდრის 72 კვადრატულ არშინს არის შუშაბანდის 18 კვადრ. არშინი. სახლის პატრონი მთხოვს ყოველთვიურად **ხუთ მანეთს,** მე **კი** ვაძლევ სამ მანეთს.

გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენი უნდა გადავიხადო ქირა და თუ არ მიიღო სახლის პატრონმა კანონიერი ქირა, სად შევიტანო?

კავშირის წევრი № 20815.

პასუხი

თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ოთხ ნახევარ კაპეიკს (4,5 კაპ.), თუ სახლის პატრონი მას არ მიიღებს შეიტანეთ თბილისის ხაზინაში იუსტ. სახკომის დეპოზიტში.

წყლით სარგებლობის შესახებ

კითხვა

ვარ მთავარ სახელოსნოს მუშა კავშირის წევრი (წიგნაკის № 30057) მე ვცხოვრობ ელისაბედის ქ. სახ. № 177-ში ჩვენ ეზოში სასმელი წყალი არ არის რის გამო დიდ გაჭირვებას განვიცდით უწყლობით. შორიდან ვეზიდება წყლის ზიდვა. იქვე ჩვენს ახლო მეზობელს აქვს ეზოში წყალი. მოხსენებულ ქუჩ. № 175-ში, მაქვს თუ არა უფლება ვისარგებლო მეზობლის ეზოდან წყალით და რამდენი გადავიხადო ვედრა წყალზე.

სახელოსნოს მუშა.

პასუხი

სხვა ეზოდან წყლით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ ეზოში მცხოვრებთა თანხმობით და ნებართვით; წყლის საფასურს გადაიხდით, როგორც მუშა, კავშირის წევრი და დაზღვეული, თითოეულ ვედრო წყალზე კაპეიკის ერთმეოთხედს (¼ კაპ.).

წერილი რედაქც. მიმართ

წერ რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე მოათავსოთ შემდეგი:

კიცხის თემი (შორ. მაზრა) მადლობას უცხადებს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც თავის წვლილი გადასცეს კიცხის ამხ. ფ. მახარაძის სახელობის თეატრის სასარგებლოდ ექ. პ. კავილაძეს—70 მან., გ. კვაშილავას—47 მ., მეთ. კავილაძეს—30 მან.

დავალებით გ. ქ.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს ს. ს. ს. სახალხო. კომისართა საბჭოსი

საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭოს შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის ივნისის 23-ს დადგენილების თანახმად საქართველოს ს. ს. ეკონომიური საბჭო დამტკიცდეს შემდეგ შემადგენლობით: თავმჯდომარე—ამხ. **შალვა ელიავა,** მისი მოადგილე—ამხ. **ხ. ჯუღელი,** წევრები—ამხანაგნი: **ალ. გეგეჭკორი** (მის მონაცვლედ ამხ. **ძამანაშვილი**), **გერმან მგალობლიშვილი, ინჟ. ბეს. ჭიჭინაძე, გიორგი ყურულაშვილი, არჩილ მიქაძე, ლ. სუხიშვილი** (მის მონაცვლედ ამხ. **ივანოვ-კავკასკი**), **მ. კახიანი, ლ. ქართველიშვილი** და **მ. ოკუჯავა.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელიავა.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი: **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ივნისის 26.

თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხუთშაბათს, 1 ივლისს, საღამოს 7 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი** რაიკომების, ბიუროების წევრთა და თბილისის ორგანიზაციის მსხვილ უჯრედების მდივანთა თანადასწრებით.

დღის წესრიგი: 1. მეთოთხმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავების შედეგები.

2. სახალხო განათლების განყოფილების მოხსენება.

ხუთშაბათს, 1 ივლისს, დილის სრულ 9 საათზე შესდგება საქ. ა. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის **ორგკოლეგიის სხდომა.**

ორგკოლეგიის ყველა წევრები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება,** რომ დღეს, ოთხშაბათს, 30 ივნისს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის კაბინეტის ბინაზე შესდგება უჯრედთა აგიტპროპკომისიების და აგიტპროპორგანიზატორების თათბირი.

სავალდებულოა კომისიების ყველა წევრების და უჯრედთა აგიტპროპორგანიზატორების დასწრება.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 30 ივნისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება **უჯრედთა ორგ-კომისიების სხდომა.**

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ ორგ-კომისიების ყველა წევრები.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** წინადადებას აძლევს ამხ. ლავრენტი დავითაიას სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს რაიკომის აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ბზიაშვილთან.

ხუთშაბათს, 1 ივლისს, დილის 1 ნახ. საათზე შესდგება საქ. ა. ლ. კომკავშირის **თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა.**

აუცილებლად და დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ კომკავშირის ის კანდიდატები, რომელთა ანკეტები უნდა განიხილოს თბილისის კომიტეტის მიმღებმა კომისიამ.

1 ივლისს, საღამოს 5 საათზე, საქ. **რემედასის** ც. კ. ბინაზე (კომინტერნის ქუჩა № 5 მე-2 სართული) შესდგება საქ. **რემედასის ტ. კ. პრეზიდიუმის სხდომა,** დასწრება ქვემო აღნიშნულ ამხ. სავალდებულოა.

ასრიბეგოვი, ჯიჯაძე, არაზაშვილი, ბელიაევი, მუმლაძე, ნაცვლიშვილი, გენიალიძე და ალიხანოვი.

უზომო მწუხარებაში მყოფნი მშობლები ამბაკო სიმონის-ძე და თეკლე დავითის ასული გეწაძეები, პატარა შვილები კაკალო და ქეთინო, და ოლია (ოლღა) ამბაკოს ასული და სიძე პავლე (პაპუნა) ნიკოლოზის-ძე აბაშიძეები აუწყებენ ნათესავ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ივლისის პირველს დღის 12 საათზე, გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების აღსანიშნავად გადახდილი იქნება პანაშვიდი სასაფლაოზე ქ. ზესტაფონში მათი დაუვიწყარი

ვერას (ვერიჩკას)

სულის მოსახსენებლად. 2983

დაუსრულებელი მწუხარებაში მყოფნი დედა ნინა შამშეს ასული, და მამა გრიგოლი კონსტანტინეს-ძე ჩაჩიბაიები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათთვის დაუვიწყარი ქალიშვილი

ლარისა (ლუსია) გრიგოლის ასული ჩაჩიბაიას

ორმოცი დღის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში (ალექსანდრეს ქუჩა), ოთხშაბათს, 30 ივლისში დილის 10 საათზე. 2969

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინო, შვილები მიხეილი, ივანე, იოსები, რძალი მარო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, ივნისის 26 გარდაიცვალა პირველის ქმარი და დანარჩენების მამა

ნიკოლოზ იოსების-ძე მერაბიშვილი

დაკრძალვა მოხდება დღეს, ივნისის 30 საღამოს 5 საათზე. გამოსვენება ბინიდან პეტროვის ქ. № 10. 2970

---

28 ივნისს, ქალ. ქუთაისში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ივანე ვასილის-ძე გრინიოვი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ-მეგობრებს და—ავთოდი ვასილის ასული მეძმარიაშვილისა, დისწულები—პეტრე მეძმარიაშვილისა, მელანია გველესიანისა შვილებით, ანნა ქავთარაძისა ვაჟით და ელისაბედ გეგეჭკორისა მეუღლით. 2980

ღრმად დამწუხრებული სოფიო იოსების ასული და სიმონ გრინიოვები მეუღლით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს, რომ 28 ივნისს, ქ. ქუთაისში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე, ხოლო მეორეს საყვარელი ძმა

ივანე ვასილის-ძე გრინიოვი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 1 ივლისს, საღ. 5 ს. საფირჩხიის სასაფლაოზე. 2980

სახელმწ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებსა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 28 ივნისს, საღამოს 9 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ამხანაგი, ამავე კურსის სტუდენტი

დათიკო ივანეს-ძე ონოფრიშვილი

ცხედრის გამოსვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან (ყოფ. ალექსანდრეს) დღეს, 30 ივნისს, 2 საათზე, საქართველოს სამხედრო გზით სოფელში (კავთისხევი) წასასვენებლად. 2985

გულ მოკლული პელაგია და ნატალია (ზენიკო) ონოფრიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს, რომ 28 ივნისს, გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, ხოლო მეორეს ქმარი და მეგობარი სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტუდენტი

დავით (დათიკო) ივანეს-ძე ონოფრიშვილი

გამოსვენება 30 ივნისს, 2 საათზე, ალექსანდრეს საავადმყოფოდან დაკრძალვა კავთისხევში მოხდება 1 ივლისს. 2972

საზაფხულო
აპოლო
(არტის ბაღში, პლეხ. № 105).
საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
სოლეი
ნ. 1375 0—26

მსოფლიო შედევრი 4 სერიათ
ნიბელუნგები
1 და 2 სერია ერთად
კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა. კინოს შენობა დახურულია
შეუდარებელი მერი პიკფორდი პრემიერაში
„შუქი სიბნელეში“
ცუდი ამინდის შემთხვევაში სეანსი გადატანილ იქნება არფასტოში
პოპულიარული ამერიკული მსახიობი ქალი მეჯ ბელამის მონაწილეობით
„ორი კაპიტანი“
ანონსი: შემდეგი პროგრამა „ამერიკელი ქალის თავგადასავალი“

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

საბჭოთა—სავაჭრო მუშაკების კლუბში
დღეს
სიმფონიური კრება
ვიოლონზე დამკვრელის ე. კაპელნიცკის მონაწილეობით
ორკესტრი—ს. ა. სტოლერმანის ხელმძღვანელობით
დასაწყისი საღ. 9 საათზე 2982

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან
აგარაკ მანგლისში. 25—1

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი
ამით აცხადებს გადამხდელთა საყურადღებოდ,
რომ ფინსახკომის 1922 წლის სექტემბრის 18-ს № 9639 დამტკიცებულ საბუთებზე საღერბო ნიშნების გამაბათილებელ წარწერის ფორმას აქვს სანიმუშო ხასიათი და როდესაც ასეთი, მაგალითად, არ ეტევა საბუთზე, შეცვლილ იქნეს მხოლოდ იმ პირობით კი, რომ წარწერაში აუცილებლად იქნეს ნაჩვენები გადახდილ გამოსალების რაოდენობა, მისი გადახდის დრო და იმ პირის ხელისმოწერა, რომელიც აკეთებს გამაბათილებელ წარწერას. ეს წარწერა შეიძლება იყვეს შემდეგინაირი: „გადახდილია საღერბო მარკებით ესა და ეს თანხა ამა და ამ დროს“ ხელისმოწერა.
საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი მგალობლიშვილი
გადასახადთა განყოფილების მმართველი ბეზირგანიშვილი
ნ. 1497

ქ. თბილისის 2-რე რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია
ამით აცხადებს, რომ, 3 ივლის 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 10 კომუნალური ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის იბრაგიმ ალიევის მოძრავ ქონებას: სამ ხალიჩას, ერთ საწერ მაგიდას და სხვ. შეფასებულს 133 მანეთად, თბილისის აღმ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანხმად ქ. თბილისის მე-3-ე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 11 მარტი 1926 წ. თარიღით, № 1830 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2977

დაიბეჭდა
და გამოვიდა გასასყიდათ
აკ. ი. ბერეკაშვილის
მიერ შედგენილი
„ხე-ტყის დამზადებლის თანამგზავრი“
გამოცემა საქართველოს ს.მ.უ.ს. ტყის მრეწველობის ტრესტისა. წიგნი გამოცემულია კალინკორის რბილ ყდაში, დასურათებული და შეიცავს 320 გვ.
წიგნში მოთავსებულია:
1. ზომა-წონის ცხრილები (ადგილობრივი და მეტრიული).
2. მერქნის აღწერილობა.
3. მერქნის თვისებები.
4. მნიშვნელოვანი ჯიშების აღწერილობა.
5. ხის მანკი (ნაკლი).
6. ხე-ტყის დამზადება.
7. საექსპორტო ხე-ტყის დამზადება.
8. ხე-ტყის გამოზიდვა.
9. შეშის დამზადება.
10. შპალების დამზადება.
11. ნახშირის დაწვა და სხვა მრავალი მეტად საინტერესო ცნობები და ცხრილები.
ფასი 3 მან. 50 კაპ.
მთავარი საწყობი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 1.
ნ. 1495 საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტი.

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ, დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18
შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 537

ექიმი ა. დ. კაკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8.
პლეხანოვის პროსპექტი, № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 25—12

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—2

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

სათვალეების მორიგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

გორის სამაზრო აღმასკომის მ. მ. ა. ჩ.-ის ბიურო
აცხადებს, რომ მოქ. ესტატე დავითისძე ბითაძემ შემოიტანა განცხადება თავისი სახელის „ესტატე“-ს, გამოცვლის შესახებ—„დანტე“-ზე. 2970

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 3358, შალვა იოსებისძე მალაციძეს სახელზე, ჩ. გ. 2979

დავკარგე ვინაობის წიგნაკი სააღრიცხვო ბარათი და თამასუქი გაცემული პავლე არჩვაძის მიერ გრიგოლ კიკნაძეზე 60 მანეთის, გრიგოლ ივანესძე კიკნაძეს სახელზე, ჩ. გ. 3971

დავკარგე პირადობის მოწმობა № 136 გიორგი კონსტანტინესძე სირტლაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 2974

დავკარგე პირადობის მოწმობა № 859 და სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 33 ვლადიმერ ნარიმანისძე ვარდოსანისეს სახელზე, ჩ. გ. 2973

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 6, რემედასის საწევრო წიგნაკი და პირადობის მოწმობა ვამეხ ნოდიას სახელზე, ჩ. გ. ქვ. 2984

დავკარგე ს. ქ. პ. საკანდიდატო ბარათი № 9125. სერგო კარსანიძის სახელზე, ჩ. გ, 2981

დავკარგე სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 398235 გალაქტიონ გრძელიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1496

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი პარტკანდიდატის ბილეთი № 5256 პარმენ გელაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქ. 2976

დავკარგე მეტრიკული მოწმობა რიურიკ ხაალიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2978

დავკარგე სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 7296 გრიშა კაპანაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1496

დავკარგე პასპორტი მიღებული სარატოვის საგუბ. მილიც. სამარ-ში № 25613 და მშენებელთა კავშირის წიგნაკი ფეოდორ პროკოფისძე ზელიონოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1496

დავკარგე უვადო პასპორტი, მონადირეთა კავშირის მოწმობა იარაღის სურათით, მუშკოპის საწევრო წიგნაკი მიხაკო სპირიდონისძე ბარათაშვილის სახელზე—და ორმოცი თუმნის მიმღებით ქვითარი სოლომონ გაფრინდაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1496

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68